# ლელო

№058 (12 128)

12 მარტი ორშაბათი 2007

გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოსაგებად მივდივართ

### გლაზგოს მატჩს მიხეილ სააკაშვილი და ირაკლი ოქრუაშვილიც დაესწრებიანო



**შოტლანდიასთან** გასვლით მატჩამდე ორ კვირაზე ნაკლები რჩება, მერე კი, ოთხ დღეში, ფარერებს ვუმასპინძლებთ. საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი მზადებას უკვე შეუდგა. შაბათს, კლაუს ტოპმიოლერმა პრესკონფერენცია გამართა. მთავარი იყო იმ ფეხბურთელების ჩამონათვალი, რომელთაც მწვრთნელი მომავალი შეხვედრებისთვის მოამზადებს. ტოპის სიაში 22 მოთამაშეა. პრესკონფერენცია თავად მთავარმა მწვრთნელმა გახსნა:

- შოტლანდიის ნაკრებთან მეტად საინტერესო და ცხადია, რთული გასვლითი მატჩი გველის. ჩვენ მიერ შერჩეული შემადგენლობა ძლიერია, შეიძლება ითქვას, ოპტიმალურთან მიახლოებული. იმედი მაქვს, მალხაზ ასათიანი, რომელიც ამჯერად ვერ ითამაშებს, მომდევნო შეკრებაზე შემოგვიერთდება. ალბათ, შეამჩნევდით სანაკრებო სიაშია ჯაბა კანკავაც, რომელიც დისკვალიფიკაციის გამო შოტლანდიასთან თამაშს გამოტოვებს. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მერე ფარერებს ვუმასპინძლებთ და ამ შეხვედრაში ჯაბა ნამდვილად დაგვჭირდება. ასე რომ, კანკავას გლაზგოშიც ვიახლებთ. სამწუხაროდ, დანაკლისს მაინც ვერ ავცდით. ამჯერად, ტრავმის გამო მათე ლვინიანიძესა და ოთარ მარცვალაძეს ვერ დავიხმართ... ფიფას რეიტინგს თუ გადავხედავთ, გლაზგოს მატჩში შოტლანდია უპირობო ფავორიტია. მეტოქე მე-20 საფეხურზეა, ჩვენ კი 86-ეზე. თუმცა საქართველოს ნაკრების განწყობა საბრძოლოა, არავისი გვეშინია, გლაზგოში მოსაგებად მივდივართ...

| მეკარეები |
|---|
| გიორგი ლომაია (კარლ ცაისი, გერმანია) |
| ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი) |
| გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი) |
| **მცველები** |
| კახა კალაძე (მილანი, იტალია) |
| ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია) |
| დავით კვირკველია (მეტალურგი ზაპ, უკრაინა) |
| ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი) |
| ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი) |
| ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია) |
| გიორგი შაშიაშვილი (დინამო) |
| **ნახევარმცველები** |
| ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია) |
| ლევან ცქიტიშვილი (პანიონიოსი, საბერძნეთი) |
| გოგიტა გოგუა (სატურნი, რუსეთი) |
| ზურაბ მენთეშაშვილი (შინიკი, რუსეთი) |
| დავით მუჯირი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი) |
| ჯაბა კანკავა (დნეპრო, უკრაინა) |
| ლადო ბურდული (კრივბასი, უკრაინა) |
| **თავდამსხმელები** |
| შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია) |
| ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია) |
| გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი დონ, უკრაინა) |
| მიხეილ აშვეთია (კარლ ცაისი, გერმანია) |
| დავით სირაძე (აუე, გერმანია) |

კლაუს ტოპმიოლერის პრესკონფერენცია 5



შაბათს, ვაკეში. გიორგი ფეიქრიშვილმა ანგარიში გაათანაბრა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## დინამომ ოლიმპს ახედა

### პირველი გამარჯვება მექვსე ცდიდან

XVI ტურის მიმოხილვა

2-5

### სამწვრთნელო ცვლილება ქუთაისის ტორპედოში

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 16 | 12 | 3 | 1 | 41-6 | 39 |
| 2. დინამო | 16 | 12 | 0 | 4 | 30-13 | 36 |
| 3. ზესტაფონი | 16 | 10 | 5 | 1 | 28-6 | 35 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 16 | 10 | 4 | 2 | 35-18 | 34 |
| 5. ამერი | 16 | 10 | 4 | 2 | 31-10 | 34 |
| 6. სიონი | 16 | 9 | 2 | 5 | 21-13 | 29 |
| 7. ტორპედო | 16 | 8 | 4 | 4 | 18-10 | 28 |
| 8. ბათუმი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-15 | 16 |
| 9. ლოკომოტივი | 16 | 4 | 4 | 8 | 12-22 | 16 |
| 10. ბორჯომი | 16 | 4 | 4 | 8 | 16-27 | 16 |
| 11. მერანი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-29 | 16 |
| 12. ჩიხურა | 16 | 2 | 4 | 10 | 10-27 | 10 |
| 13. დილა | 16 | 0 | 3 | 13 | 8-43 | 3 |
| 14. კახეთი | 16 | 0 | 1 | 15 | 11-50 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 9 |
| ფიფია (ზესტაფონი) | 8 |
| დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| დოლიძე (ამერი) | 7 |
| იაშვილი (დინამო) | 7 |
| ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |

## ძალიან მაგარი უქმეები










ვერდერი

1:1

### შალკე მოჩვენებით სიმშვიდეს ინარჩუნებს

მორიგი დაკარგული შანსი 8

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირველი გამარჯვება მეექვსე ცდიდან

**დინამო-ამერი**

**2:1**

10.03. თბილისი. მ. მესხი. 700 მაყურებელი

0:1 დავითაშვილი (7. დოლიძის პასით), 1:1 ფეიქრიშვილი (19. იაშვილის პასით), 2:1 იაშვილი (32. პენ.)

*84-ე წუთზე დავითაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი (ძელი)*

დინამო: ლორია - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი - ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი (71. ხუციშვილი), ხმალაძე, კობახიძე (79. ოდიკაძე), დილმელაშვილი – იაშვილი (85. სპასოევიჩი)

*სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, გ. კაშია, თომაშვილი, ლ. ნოზაძე*

ამერი: ქვაჩახია – დიდავა (60. ტატანაშვილი), დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე – მჭედლიშვილი (66. სილაგავა), დობროვოლსკი, ბოლქვაძე (46. მესხი), დოლიძე – დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, ჩიკვილაძე, გაბისკირია, ჩიმაკაძე*

გაფრთხილება: დოლიძე (8), კრშკო (33), ზელიჩი (32), ლორია (42), შაშიაშვილი (45), წინამძღვრიშვილი (50), დიდავა (57), მესხი (79), სპასოევიჩი (86)

გაძევება: დობროვოლსკი (86), სპასოევიჩი (90)

მსაჯი: გ. ვადაჭკორია



იაშვილმა საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

შაბათამდე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებმა "ამერთან" გამარჯვების გემო არ იცოდნენ, "დინამომ" სანადელს მეექვსე ცდაზეღა მიაღწია. ცხადია, ამით გლდანელებთან ყველა ნაგების კომპენსირებას ვერ მოახდენდა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ უძვირფასესი სამი ქულა შესძინა სატურნირო მონაგარს.

მზიანი დარის მიუხედავად, ტურის ერთ-ერთ გამორჩეულ მატჩს გულშემატკივართა განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუწვევია, რამაც ეშხიანი დაპირისპირება საგრძნობლად გააუფერულა. მაყურებლები საპატიო სტუმართა ლოჟამ იოლად დაიტია, ამას "დინამოსა" და "ამერის" ფანკლუბების რამდენიმე ათეული წევრი დაუმატეთ და სულ ეს იყო ამ თამაშის პუბლიკა.

თასის განმეორებითი მეოთხედფინალის შემდეგ, **უჰრინმა და ჩიხრაძემ** ივარაუდეს, შაბათს უფრო გახსნილი თამაში იქნებაო და ასეც მოხდა. შეხვედრა სწრაფ ტემპში, ყოველგვარი ურთიერთდაზვერვის გარეშე დაიწყო და პირველივე ხიფათს გოლი მოჰყვა.

**დავითაშვილმა** კარიდან წინ გამოსული **ლორია** შენიშნა და აღარ დაუყოვნებია, ერთობ ოსტატური და რთულად შესასრულებელი დარტყმით "დინამოს" ახალგაზრდა გოლკიპერს ბურთი თავზე გადაატარა – 0:1.

ამას ორივე გუნდის შემტევი ძალების კიდევ უფრო გააქტიურება მოჰყვა. გოლისშემდგომმა ათწუთიანმა მონაკვეთმა სამი დასამახსოვრებელი ეპიზოდი დაიტია – **წინამძღვრიშვილისა** და **იაშვილის** მიერ მახვილი კუთხიდან შესრულებულმა დარტყმებმა მიზანს ვერ უწია, სიჩქარეაკრეფილი და მეკარესთან მიახლოებული **დოლიძე** კი **კაშიამ** შეაჩერა.

დადგა მე-19 წუთიც. დინამოელებმა მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, **მერებაშვილმა** იაშვილი მოძებნა, ამან კი **ფეიქრიშვილი ქვაჩახიას** პირისპირ შეჰყარა. სათასო მატჩისგან განსხვავებით, "ამერის" მეკარემ "დინამოს" ახალწვეულის დარტყმისგან კარი ველარ გადაარჩინა – 1:1.

ტემპი ამის შემდეგაც არ დაცემულა, ფრე მეტოქეთათვის არცთუ სახარბიელო იქნებოდა და ისინიც სისტემატურად ცდილობდნენ ერთმანეთის საჯარიმოში სიცარიელეების პოვნას. პირველი ტაიმის დასკვნით ნაწილში უჰრინის შეგირდები უფრო აქტიურობდნენ. გასახსენებლად იაშვილის თავური ღირს, რომელიც **ქვაჩახიამ** გასაოცარი რეაქციის წყალობით მოიგერია.

"დინამოს" თავგამოდებას შედეგი კიდევ მოჰყვა. არბიტრმა იაშვილზე წესების დარღვევა დააფიქსირა და თასის მფლობელთა კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა. მის სასტვენს ამერელთა პროტესტი მოჰყვა, მაგრამ ბუნებრივია, **ვადაჭკორიას** გადაწყვეტილება არ შეუცვლია. პენალტი სანდრომ აუღელვებლად და ზუსტად შეასრულა – 2:1.

ნამდვილად იყო იმის წინაპირობა, რომ მატჩის საბოლოო შედეგად ეს ანგარიში არ დაფიქსირებულიყო, მაგრამ "დინამო" შესვენების შემდეგ უფრო პრაგმატულად ათამაშდა. მასპინძელთა დაცვის ოთხეული რიგ ეპიზოდებში დამაჯერებლად ირჯებოდა, მაგრამ რამდენიმეჯერ ამერელები მაინც გავიდნენ დასარტყამ პოზიციაზე. მათი შეჩერება დინამოელ უკანახაზელებს გაფრთხილებათა ფასად დაუჯდათ.

მობილური იყო უჰრინის გუნდის შუა ხაზიც, "დინამოს" შეტევების უმრავლესობა ფლანგებიდან განხორციელდა, არც ცენტრს ჰქონია თვალშისაცემი წუნი. ეული ფორვარდი სანდრო იაშვილი "დინამოს" რიგებში კვლავაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ პირველ ტაიმში გაცილებით უფრო სასარგებლო გახლდათ. ერთი სიტყვით, ნათლად ჩანდა, რომ გამჭრიახმა ჩეხმა სპეციალისტმა კარგად გააანალიზა წინა სათასო მეოთხედფინალის ორ მატჩში დაშვებული შეცდომები.

**დავით ბოლქვაძემ** პირველი ტაიმის შემდეგ შეცვლა ითხოვა, რამაც "ამერის" შემტევი ძალა საგრძნობლად შეასუსტა. ისე კი, მეორე ტაიმში **დოლიძე**, **დავითაშვილი**, წინამძღვრიშვილი და შეცვლაზე შესული **ტატანაშვილი** ბევრს ეცადნენ მინიმუმ ქულის მომტანი გოლის შექმნას.

სანამ "ამერი" ბოლო ძალებით მეტოქის საჯარიმოსკენ გაიწევდა (დაახლოებით ბოლო 15 წუთში), სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა ლურჯების მხარეს იყო. საქმის მომთავრება მერებაშვილს შეეძლო, მაგრამ ახლო მანძილიდან მიზანმა ოდნავ უმტყუნა – სტუმრები ხარიხამ იხსნა.

მანამდეც არცთუ დამაჯერებლად მოთამაშე ლორიამ მატჩის მიწურულს უპატიებელი შეცდომა დაუშვა, რომელიც დავითაშვილის უზუსტობა რომ არა პენალტის ნიშნულიდან, "დინამო"-"ამერის" კიდევ ერთი დაპირისპირების შედეგზე იქონიებდა გავლენას. "დინამოს" კარის დარაჯმა ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და იძულებული გახდა, დასამატებლად მომზადებული დოლიძე მოეცელა. "აზრეზამ" ძელს გაარტყა.

ორიოდ წუთში გვარიანი რაოდენობის ყვითელ ბარათებს გაწევ-გამოწევა და ორი წითელიც მოჰყვა. საბედნიეროდ, გუნდური ძიძგილაობა მალე შეწყდა, ამ მომენტში გაძევებულ **დობროვოლსკის** კი სულ ცოტა ხანში გვერდი **სპასოევიჩმა** დაუმშვენა. მოედანზე 85-ე წუთზე გასულ ჩერნოგორიელს ორი ყვითელი ბარათის "გამომუშავებას" რომ არავინ მოუწონებს, ფაქტია.

კომპენსირებულმა ოთხმა წუთმა მშვიდობით ჩაიარა და "დინამომ" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა. შაბათის ამბებმა უჰრინისა და მისი ბიჭების საჩემპიონო ამბიციები გაცილებით საფუძვლიანი გახადა, დანარჩენი ბუნებრივია, ისევ და ისევ, მათზე იქნება დამოკიდებული.

თავი არც "ამერს" დაუზოგავს, რომლის წევრებსაც ამ მარცხის მიუხედავად, არც ჩემპიონობაზე ჩაუქნევიათ ხელი და "დინამოსგან" განსხვავებით, ორი ტიტულის მოპოვების არცთუ ურიგო შანსი აქვთ.

ერთი სიტყვით, შაბათს სამი ქულა ღირსეულმა მოიპოვა, და ამავდროულად, თასის ნახევარფინალშიც ღირსეული გავიდა.

## მატჩის შემდეგ

**დუშან უჰრინი** ("დინამო"): "გაცილებით უფრო მაღალი დონის ფეხბურთი იყო, ვიდრე ოთხი დღის წინ, თასის მეოთხედფინალში. საწყენია, რომ ასეთ ბრძოლას არცთუ ბევრი მაყურებელი დაესწრო. საგოლე მომენტები დღესაც მრავლად გავანიავეთ, მაგრამ საბედნიეროდ, გამარჯვებას მაინც მივაღწიეთ. ჩემს ფეხბურთელებს თავდადებისთვის მადლობას ვუხდი.

მსაჯობაზე რა გითხრათ, ვფიქრობ, არბიტრს მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. იაშვილმა ბოლო თამაშები საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა, რის გამოც, ცოტა არ იყოს, გადაღლილია. მეკარის თემას რაც შეეხება, ამ პოზიციაზე ექსპერიმენტები გაუმართლებელია, ლორიას ვენდობით, იგი "დინამოს" კარს მომდევნო შეხვედრებშიც დაიცავს".

**გიორგი ჩიხრაძე** ("ამერი"): "მატჩი მეტად საინტერესო და შინაარსიანი გამოდგა. აქცენტი სწრაფ გოლზე გავაკეთეთ, რასაც მივაღწიეთ კიდეც, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, თამაში "ამერისთვის" არასასურველი შედეგით დასრულდა. მრავლად იყო გამოუყენებელი შანსები, თუნდაც პენალტის გაფუჭება რად ღირს. ჩემი აზრით, ჩემს მოთამაშეებს უპირველეს ყოვლისა, შემართება არ ეყოთ, სამაგიეროდ, დინამოელებმა საოცარი საბრძოლო სულისკვეთება გამოავლინეს. დაკარგული არაფერია, "ამერის" ბრძოლას ორივე ფრონტზე აგრძელებს.

მსაჯმა უხეში შეცდომები დაუშვა, მაგრამ მიკერძოებულობას ნამდვილად ვერ დავაბრალებ. ეჭვი მაქვს, რომ ჩვენს კარში თერთმეტმეტრიანი უსამართლოდ დაინიშნა, მაგრამ ვიდეოჩანაწერის ნახვამდე, ხელაღებით ვერაფერს ვიტყვი".

**ლევან ჯანეზაშვილი**



პენალტი ამერის კარში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

პირველი ლიგა. XX ტური

| | |
|---|---|
| დინამო 2-ზესტაფონი 2 | 0:0 |
| მაღაროელი-რაჭა | 1:3 |
| სამტრედია-ამერი 2 | 0:0 |
| მეშაქრე-მგლები | 1:0 |
| გურია-ვიტ ჯორჯია 2 | 2:1 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 3:0 |
| გაგრა-ნ. დინამოელი | 0:1 |
| მერცხალი-მესხეთი | 0:2 |
| მეშახტე-ჩიხურა 2 | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 20 | 16 | 2 | 2 | 35-9 | 50 |
| 2. მესხეთი | 19 | 13 | 4 | 2 | 34-10 | 43 |
| 3. მეშაქრე | 20 | 10 | 7 | 3 | 27-17 | 37 |
| 4. ოლიმპი | 20 | 10 | 4 | 6 | 39-20 | 34 |
| 5. ვიტ ჯორ. 2 | 20 | 9 | 4 | 7 | 33-17 | 31 |
| 6. ამერი 2 | 20 | 8 | 7 | 5 | 30-24 | 31 |
| 7. გაგრა | 20 | 9 | 2 | 9 | 29-27 | 29 |
| 8. ნ. დინამოელი | 20 | 9 | 2 | 9 | 30-29 | 29 |
| 9. დინამო 2 | 20 | 8 | 5 | 7 | 41-20 | 29 |
| 10. ზესტაფ. 2 | 20 | 6 | 7 | 7 | 18-17 | 25 |
| 11. მაღაროელი | 19 | 6 | 7 | 6 | 24-24 | 25 |
| 12. მეშახტე | 18 | 7 | 3 | 8 | 26-25 | 24 |
| 13. ჩიხურა 2 | 19 | 6 | 3 | 10 | 20-32 | 21 |
| 14. სამტრედია | 19 | 5 | 6 | 8 | 19-31 | 21 |
| 15. სპარტაკი | 20 | 5 | 3 | 11 | 10-29 | 18 |
| 16. გურია | 20 | 5 | 3 | 12 | 22-48 | 18 |
| 17. რაჭა | 18 | 3 | 6 | 9 | 16-32 | 15 |
| 18. მერცხალი | 20 | 2 | 3 | 15 | 14-57 | 9 |

# ელიტური დღე რუსთავში

**ოლიმპი-ზესტაფონი**

**1:1**

**10.03. რუსთავი. ფოლადი. 6000 მაყურებელი**

0:1 ბენაშვილი (74. გ. ჩხეტიანის პასით), 1:1 გოცირიძე (90. ძამსაშვილის პასით)

ოლიმპი: მერლანი - მახვილაძე, გ. ონიანი, ჭიჭვეიშვილი – სეთურიძე (76. ხუბუა), ქებაძე, აფციაური (70. ძამსაშვილი), ნავალოვსკი – დვალიშვილი, რ. გოცირიძე, გენაძე (70. კახელიშვილი).

*სათადარიგოები: მ. ალავიძე, ჩხარტიშვილი, ბერუაშვილი*

ზესტაფონი: ჭანტურია – საჯაია, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი – ნ. კვასხვაძე (61. ბენაშვილი), რ. ონიანი, გ. ჭელიძე (90. იონანიძე), ბ. ნოზაძე, ვიეირა – გ. ჩხეტიანი.

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, დაუშვილი, ხიდეშელი, დოლონაძე, ჟონატასი.*

გაფრთხილება: გ. ჩხეტიანი (54), რ. ონიანი (87), ბ. ნოზაძე (90).

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)



სტუმართა ერთადერთი ნომინალური ფორვარდი გაგა ჩხეტიანი შეუჩერებელი იყო

ნუგზარ სუარიძის ფოტო

...1997 წლის 10 სექტემბერს რუსთავში დიდი მატჩი იყო: საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა იტალიელი თანატოლები დაამარცხა. ჰოდა, იმის მერე ამდენი დრო გავიდა და აი, შაბათს, რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ "ფოლადის" სტადიონის გავსებას არც არაფერი დააკლდა. ქომაგთა ინტერესი გასაგები იყო - ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი ხომ ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს ხვდებოდა! მოკლედ, რუსთავში ძველი დრო დაბრუნდა - როცა ქალაქი ფეხბურთით ცხოვრობდა...

...ქომაგები ვახსენეთ და ნურც საპატიო სტუმრებს დავივიწყებთ - ქალაქისა და მხარის ხელმძღვანელთა ვიზიტი უკვე ჩვეულებრივი ამბავია, ამასთან რუსთავს **ნოდარ ახალკაცი, კლაუს ტოპმიოლერი** და **რალფ მინგეც** ეწვივნენ. წესითა და რიგით, ეს საპატიო სტუმრები კმაყოფილნი უნდა დარჩენილიყვნენ - ისეთი თამაში იყო, ლიდერებსაც რომ ეკადრებათ, დრამატული მომენტებიც რომ უხვად გახლდათ და ორივე გუნდის ქომაგებიც რომ გვარიანად ანერვიულეს. მოკლედ, ყველაფერი კარგი და სანახაობრივი გამოდგა, ერთადერთი, მოედნის საფარის კატასტროფულმა მდგომარეობამ მიაყენა ჩრდილი ტურის ცენტრალურ შეხვედრას, სადაც ერთმანეთს მართლაც ღირსეული მოწინააღმდეგეები შეხვდნენ. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი წრის მატჩი ფრედ (0:0) დასრულდა. გვახსოვს, იმ შეხვედრის თვითმხილველთა ეპითეტები "ზესტაფონის" მეკარის **გრიგოლ ჭანტურიას** მისამართით; ჰოდა, ამას გაგრძელება კი არა, უფრო მეტიც მოყვა: შაბათს ამ გამოცდილმა მეკარემ, ალბათ, კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მოკლედ ვიტყვით - "ოლიმპთან" მატჩში ჭანტურიას თამაშს შთამბეჭდავზე მეტი ეთქმოდა! თუგინდ ის ფაქტი ვახსენოთ, როცა პირველ ტაიმში სტუმართა მეკარე ლამის მარტო უძალიანდებოდა "ოლიმპის" შეტევებს. დიახ, შეხვედრის პირველი 45 წუთი მასპინძლების უპირობო დომინირებით აღინიშნა. მოედნის ცენტრი ხომ დაისაკუთრეს, ფლანგებზეც უპირატესობა მოიპოვეს და, როგორც იტყვიან, გოლიც დროის საქმე უნდა ყოფილიყო. თანაც, ალბათ, ბევრისთვის მოულოდნელად, ერთი შეხვედრისთვის მეტისმეტად ბევრ შეცდომას უშვებდნენ სტუმართა ცენტრალური მცველები; "ზესტაფონმა" ამ რგოლში სიტუაცია მაშინ გამოასწორა, როცა **თემურ მახარაძემ ედიკ საჯაიასა** და **სევასტი თოდუას** ადგილები შეუცვალა, მაგრამ მანამდე მასპინძლებს, სულ ცოტა, სამი ერთი-მეორეზე ჩინებული შანსი ჰქონდათ, ანგარიში რომ გაეხსნათ. არადა, ერთი შეხედვით, სამივე შემთხვევაში **ლადო დვალიშვილიც, თორნიკე აფციაურიცა** და **რევაზ გენაძეც** დამაგვირგვინებელ დარტყმებს ძლიერად და ზუსტად ასრულებდნენ. მაგრამ სამივე შემთხვევაში ჭანტურია გამოვიდა გამარჯვებული. და კიდევ პირველი ტაიმის ორი უცნაურობაც: მოედნის თითოეული მონაკვეთის დასაკუთრებისთვის მეტოქეები არც ერთმანეთს ინდობდნენ, არც - საკუთარ თავს; ოღონდ, ეს ნამეტნავად ხისტი ორთაბრძოლები უხეშობაში არ გადაზრდილა. მეორე უცნაურობა კი ის იყო, რომ სტუმრებს ერთხელაც არ შეუწუხებიათ "ოლიმპის" მეკარე **მირზა მერლანი.** აი, ამხელა უპირატესობა ჰქონდათ მასპინძლებს. ისე, ამასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა - სტუმრებმა ხომ სამი ისეთი ფეხბურთელი მოისაკლისეს, რომლებზეც დიდად არის დამოკიდებული "ზესტაფონის" შეტევითი პოტენციალი (**ფიფია, იონანიძე, ჟონატასი);** ვერ მოხერხდა ბრაზილიელი **ლეანდროს** განაცხადში შეყვანაც, არადა, ამბობენ, სერიოზული ფორვარდი არისო. ჰო, რახან ბრაზილიელები ვახსენეთ, **ვიეირაზეც** უნდა ვთქვათ. თუ ვინმე იყო გამორჩეული სტუმართა გუნდში პირველ ტაიმში (ჭანტურიას არ ვგულისხმობთ), სწორედ ბრაზილიელი მარცხენაფლანგელი. და არა მარტო პირველ ტაიმში - ვიეირამ მთელი მატჩი ჩინებულად ჩაატარა და ეფექტური დრიბლინგის გარდა ერთობ სასარგებლო თამაშითაც გამოირჩეოდა.

...მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, გასაგები გახდა სტუმართა გამოცდილი მწვრთნელის, თემურ მახარაძის ტაქტიკური ჩანაფიქრი - "ზესტაფონი" ერთპიროვნულ ლიდერთან მოსაგებად იყო ჩამოსული! დიახ, უფერული პირველი ტაიმის შემდეგ "ზესტაფონი" გარდაიქმნა და ახლა უკვე ტერიტორიული უპირატესობა მათ მხარეს გადავიდა. ეს უპირატესობა კი, უპირველეს ყოვლისა, მოედნის ცენტრში მოიპოვეს, სადაც **გიორგი ჭელიძე** და **როინ ონიანი** "გაბატონდნენ"; კარგად ჩაერთო თამაშში ახალგაზრდა **ალექსი ბენაშვილიც;** და, რაც მთავარია, შეუჩერებელი იყო სტუმართა ერთადერთი ნომინალური ფორვარდი **გაგა ჩხეტიანი**. ეს თავდამსხმელი რამდენიმე წლის წინ, ქუთაისის "ტორპედოში" თამაშობდა და სპეციალისტები დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ჩხეტიანს ბევრი დრო გაუცდა და აი, დიდ ფეხბურთშიც დაბრუნდა. თანაც, დაბრუნებას ხომ გააჩნია - მთელი მეორე ტაიმი გაუთავებელი მანევრებით (ბურთითა თუ უბურთოდ) პირდაპირ გააწამა მასპინძელთა სამი ერთი-მეორეზე უკეთესი და გამოცდილი ცენტრალური მცველი. თავისი გუნდის გოლშიც ხომ ლომის წილი დაიდო - ბოლომდე იბრძოლა მეტოქესთან და ზუსტი პასით ალექსი ბენაშვილი მოძებნა; საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების რეაქტიულმა ნახევარმცველმა კი, ასაკისათვის შეუფერებელი სიდინჯითა და ოსტატობით ყველაფერი "ხუთიანზე" შეასრულა და ბურთი მერლანისაგან შორეულ კუთხეში გაგზავნა! აი, ამას კი არავინ ელოდა - "ოლიმპს" ხომ აქამდე ყველა საშინაო მატჩი ჰქონდა მოგებული?! ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა, თუ რა უძლოდა წინ ამ გოლს. ეს, ალბათ, უფრო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა: ერთწუთიან ინტერვალში მასპინძლებს სამი ერთი-მეორეზე ბრწყინვალე შანსი ჰქონდათ, მაგრამ ჭანტურიამ მორიგი სასწაული ჩაიდინა და **რევაზ გოცირიძის, გიორგი ნავალოვსკისა** და **ლაშა ქებაძის** დარტყმები თუ როგორ მოიგერია, ალბათ, მხოლოდ მან იცის...

... არანაკლები მოულოდნელობა იყო მოედნიდან თორნიკე აფციაურისა და რევაზ გენაძის გასვლაც - პირველ ტაიმში უდავოდ გამორჩეულები რომ იყვნენ თავის გუნდში. მოკლედ, სენსაციაზე მეტი მწიფდებოდა და უნდა გენახათ, როგორი თავგანწირვით იცავდა "ზესტაფონი" საკუთარი კარის მისადგომებს და საპირისპიროდ - როგორი შეტევების ქარიშხალი დაატეხა მეტოქეს "ოლიმპმა". **რევაზ ძოძუაშვილი** შეცვლებით შეეცადა სიტუაციის გამოსწორებას: ჯერ **ზურაბ ძამსაშვილმა** გაისროლა ძლიერად, მაგრამ კვლავ ჭანტურიამ ივარგა; მერე კი **გიორგი კახელიშვილის** იდეალური პასი და ლაშა ქებაძის თავური დარტყმა იყო, თანაც მეკარისაგან დაუცველ კუთხეში, მაგრამ ჭანტურიამ შეუძლებელი შეძლო და ეს ბურთიც მოიგერია!

... მატჩის ბოლო წუთი მიმდინარეობდა, "ზესტაფონი" ტაქტიკურ ცვლილებას ამზადებდა, მაგრამ ძამსაშვილის ზუსტმა პასმა გოცირიძე მეკარესთან პირისპირ დატოვა - აი, აქ კი ჭანტურია უძლური იყო. ძალიან, ძალიან უცნაური იყო, თუ როგორ აღმოჩნდა მარტოდმარტო მასპინძელთა ცენტრფორვარდი მეტოქის კართან. გულახდილად ვიტყვით - სადაც ვიჯექით, იმ ადგილიდან ვერ გავარკვევდით იყო თუ არა თამაშგარე. რა თქმა უნდა, ძნელი გადასატანია, როცა ბურთს ბოლო წამებზე გაუშვებ; მაგრამ, მეორეს მხრივ, "ოლიმპი" წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდა - ბოლოს და ბოლოს, "ზესტაფონთან" ექვს-შვიდ საგოლე მომენტს რომ შექმნი, პატარა ამბავი ნამდვილად არ არის. მოკლედ, მაინც მიმაჩნია, რომ ფრე ლოგიკური შედეგი იყო იმ მატჩისა, რომელმაც მართლაც გაამართლა!

## მატჩის შემდეგ

**თემურ მახარაძე ("ზესტაფონი"):** "დაძაბული და რთული მატჩი იყო, თანაც სამი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. პირველ ტაიმში მეტოქემ აშკარად გვაჯობა, მეორეში კი ჩემმა გუნდმა მოუმატა და ეს უპირატესობა ფიზიკურ მომზადებაშიც აისახა. სამწუხაროდ, თითქმის მოგებული თამაში ჩვენთვის სასურველ შედეგამდე ვერ მივიყვანეთ და ბოლო წუთზე დასანანი გოლი გავუშვით. ოღონდ, ისიც უნდა ვთქვა, რომ ახლა ვნახე ვიდეოჩანაწერი და ეს გოლი აშკარა "თამაშგარედან" არის გასული. თუმცა ჩივილს რა აზრი აქვს... რაც შეეხება გაგა ჩხეტიანს, მას ჩვენთან ერთად მოსამზადებელი შეკრება არ გაუვლია და მხოლოდ მეორე მატჩია, რაც თამაშობს. თქვენი არ იყოს, მეც სასიამოვნოდ გაკვირვებული და კმაყოფილი ვარ მისი თამაშით და მჯერა, რომ კიდევ მოუმატებს."

**რევაზ ძოძუაშვილი ("ოლიმპი"):** მართლაც ლამაზი დღე იყო და ეს ის შემთხვევაა, ყველამ რომ ისიამოვნა - ფეხბურთელებმაც, მწვრთნელებმაც, გულშემატკივრებმაც და საპატიო სტუმრებმაც. ამას ელიტურ დღეს დავარქმევდით... სამწუხაროდ, მინდორი კარგი რომ ყოფილიყო, უფრო მეტ სანახაობას ვიხილავდით. რაც შეეხება ცვლილებებს, ჩავთვალე, რომ ფიზიკურად უფრო ძლიერი მოთამაშეები უნდა გამომეყვანა მოედანზე, ანუ მოედნის ცენტრი გავაძლიერე. ისეთი თამაში წავიდა, რომ გოლი არ უნდა გაგვეშვა. არადა, გასატანი ჩვენ უფრო მეტი გვქონდა. მაგრამ, რას ვიზამთ, ეს ხომ ფეხბურთია. ხოლო თუ ჩვენი გოლი "თამაშგარედან" გავიდა, მაშინ, მთლად ელიტური დღე აღარ ყოფილა..."

**გია ტუხაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფორტუნა ბორჯომისკენ

**ბორჯომი-დილა**

**1:0**

10.03. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
1000 მაყურებელი

1:0 ჯიქია (41. ქარქუზაშვილის პასით)

ბორჯომი: კოდალაევი — ქარქუზაშვილი, მერებაშვილი, ლონლაძე, ნადირაშვილი — კოშკაძე, ჯიქია (85. თედიაშვილი), საყვარელიძე (56. რ.კვერნაძე), ავალიანი — კაკალაძე, კაიდარაშვილი (66. გოგიჩაიშვილი)

სათადარიგოები: შეყრილაძე, ლაზარაშვილი, ლომიძე

დილა: თევდორაძე — ყველაშვილი, ლომაშვილი, კობახიძე, ბალაშვილი — ნოზაძე (46. სადალაშვილი), ბურნაძე (46. ტლაშაძე), კ. ხანიშვილი, დ. ხანიშვილი — სულთანიშვილი, გონჩაროვი (74. ბალიაშვილი)

სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, ვარდოსანიძე, სამადაშვილი, ჩიტაია

გაფრთხილება: ჯიქია (12), კ. ხანიშვილი (21), ბურნაძე (28), კობახიძე (38), საყვარელიძე (54), დ. ხანიშვილი (79), კვერნაძე (90)

გაძევება: კობახიძე (68)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

აღნიშნულ შეხვედრაში 3 ქულა ორივე გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. გამარჯვების შემთხვევაში "ბორჯომი" კიდევ უფრო დაცილდებოდა სახიფათო ზონას, „დილა" კი უმაღლესში ადგილის შენარჩუნების იმედს გაილვივებდა. აქედან გამომდინარე, მათ შორის უშელავათო ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მით უმეტეს, სეზონის განახლებამდე ორივე გუნდი რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელით გაძლიერდა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ბორჯომულ მატჩში ბრძოლა მართლაც იყო, თუმცა სანახაობრივ მხარეს რაც შეეხება, ამ კომპონენტში თამაში მოიკოჭლებდა. მატჩის სანახაობრივი მხარის გაუარესებას **ლევან ფანიაშვილის** მიერ მატჩის ძალიან მკაცრად განსჯამაც შეუწყო ხელი. მსაჯმა ფეხბურთელებს 7 ყვითელი და ერთი წითელი ბარათი უჩვენა. არადა, განსაკუთრებულად უხეში თამაში ნამდვილად არ ყოფილა. მასპინძლებს ორი წამყვანი ფეხბურთელი, **გრიგალაშვილი** და **მემარნიშვილი** აკლდათ. ალბათ, ამითაც იყო გამოწვეული, რომ მატჩის უმეტესი დრო სტუმრების ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა „ბორჯომმა" გაცილებით მეტი სახიფათო მომენტი შექმნა.

დებიუტი სტუმრების აქტიურობით წარიმართა. გორელები ბევრს კი ცდილობდნენ, მაგრამ სერიოზულ ხიფათამდე საქმე ვერ მიიყვანეს. ტაიმის შუაწელიდან მასპინძლებიც გამოცოცხლდნენ და თანდათან უპირატესობასაც დაეუფლნენ. პირველად მატჩის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა, **გივი ქარქუზაშვილმა** შორეული დარტყმით სცადა სიტუაციის გამწვავება, მაგრამ ააცილა.

34-ე წუთზე მასპინძლებს ანგარიშის გახსნა შეეძლოთ: სტანდარტულის გათამაშების შემდეგ მარჯვნიდან ქარქუზაშვილმა კარის გასწვრივ გამჭოლი გადაცემა გააკეთა, **კაიდარაშვილი** ვარდნაში შეეგება ბურთს, მაგრამ მცირედით ააცილა. მომნიფებული გოლი 41-წუთზე გავიდა: მარჯვენა ფლანგზე კვლავ ქარქუზაშვილმა იაქტიურა და მეტოქის საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, პირველად **კაკალაძემ** სცადა დარტყმა, მაგრამ ვერ მოახერხა. ბურთი უყურადღებოდ დატოვებულ **შოთა ჯიქიას** მიუვიდა, რომელსაც ორიოდე მეტრიდან ცარიელი კარის დალაშქვრა არ გასჭირვებია.

თუკი პირველ ტაიმში „დილას" რეალური საგოლე მომენტი არ შეუქმნია, მატჩის მეორე ნახევარი მთლიანად მისი კარნახით წარიმართა. თუმცაღა, დებიუტში მასპინძლებმა ორი მწვავე იერიში განახორციელეს: 49-ე წუთზე **ავალიანი-კოშკაძე**-კაიდარაშვილის სამსვლიანი კომბინაციის შედეგად ეს უკანასკნელი დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ურტყამდა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. თითქმის მაშინვე კუთხურის გათამაშების შემდეგ კაიდარაშვილმა უკვე თავით დაარტყა, მაგრამ ერთ-ერთმა მცველმა ბურთი კარის ხაზიდან მოიგერია. ეს იყო და ეს, მატჩის დარჩენილი დრო სტუმართა დიდი უპირატესობით წარიმართა და რომ არა ფორტუნა და მეკარე **კოდალაევის** ბრწყინვალე თამაში, გორელები ბორჯომიდან სულ მცირე, ქულის წაღებას მოახერხებდნენ.

68-ე წუთზე გორელები ათი კაცის ამარა დარჩნენ. კობახიძემ ცენტრში სრულიად უწყინარ სიტუაციაში უხეშად ითამაშა და მსაჯისგან მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა. ამის შემდეგ **ვლადიმე ხაჩიძის** შეგირდებმა ცოტათი ამოისუნთქეს და მეტოქის კარისკენაც გაიწიეს. თუმცა კაკალაძისა და გოგიჩაიშვილის დარტყმები **თევდორაძემ** მოიგერია.

მატჩის მიწურულს გორელებს ერთხელაც მიეცათ ქულის გადარჩენის შანსი, მაგრამ **სულთანიშვილის** დარტყმის შემდეგ ბურთი ძელმა აისხლიტა. გამოვარდნილ ბურთს ჯაბამ თავი შეაგება, მაგრამ ამჯერად ააცილა.

## მატჩის შემდეგ

**მამუკა ვარდოსანიძე (დილა):** „დღევანდელ მატჩში მინიმუმ ფრეს მაინც ვიმსახურებდით, მაგრამ ფორტუნამ ზურგი გვაქცია და დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. მიუხედავად ჩვენი უიმედო მდგომარეობისა, ხელი არ ჩაგვიქნევია და ყველა დარჩენილ თამაშში ბოლომდე ვიბრძოლებთ"

**ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომი):** „ვეთანხმები ჩემს კოლეგას, დღეს ფორტუნა მართლაც ჩვენს მხარეს იყო. ვიცოდი, რომ „დილასთან" რთული ბრძოლა გვექნებოდა. რამდენიმე დღით ადრე თასზე „ზესტაფონთან" მატჩს ბიჭებმა დიდი ენერგია დახარჯეს და ძალების აღდგენა ბოლომდე ვერ მოასწრეს. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ ორი წამყვანი ფეხბურთელი მემარნიშვილი და გრიგალაშვილი გვაკლდა. შედეგით გახარებული ვარ. იმედი გვაქვს, რომ სახიფათო ზონას საბოლოოდ დავაღწევთ თავს."

**დავით კოხრეიძე**
ბორჯომიდან

**ბათუმი-ტორპედო**

**2:0**

10.03. ბათუმი. ადელი
300 მაყურებელი

1:0 ბეჟანიძე (69); 2:0 ნერგაძე (89. კერესელიძის პასით)

ბათუმი: სომხიშვილი - თედორაძე, გალოგრე, ლობჟანიძე, ხოხონიშვილი - შალამბერიძე, ნერგაძე, ცანავა, დარჩიძე (50. კერესელიძე), კუნჭულია (56. ბეჟანიძე) - კვარაცხელია (75. ფარტენაძე).

*სათადარიგოები: ბექთაშევი, ბაციკაძე, ბაჯელიძე, ტულუში.*

ტორპედო: ქვილითაია - კილასონია (87. გურული), ხურცილავა, ბარაბაძე, ფარულავა - ჭედია, კვეტენაძე, ლაღაძე (88. ნადირაძე), ლონლაძე, ჯანაშია (64. ქუთათელაძე) - იმედაძე.

*სათადარიგოები: კირკიტაძე, კვერნაძე, ზივზივაძე, ოდიშარია.*

გაფრთხილება: კილასონია (12), ხურცილავა (31), თედორაძე (43), ფარულავა (84)

არბიტრი: მ. მაისურაძე


გურამ ტურაშვილის ფოტო

# იღბლიანი ცვლილება და სამი ქულა

ზღვისპირელების მიერ თასის გათამაშებიდან გამოთიშულ ქუთათურებს რევანში სწყუროდათ, მოედანზეც შემართულები გამოვიდნენ და პირველი წუთებიდანვე შემტევი ფეხბურთი დაიწყო. „ტორპედო" მოედანზე **ჯემალ ხერხაძემ** გამოიყვანა.

სტუმარ-მასპინძელმა ერთნაირი 4-5-1 სქემა აირჩია. **გოგიტიძემ** თავდასხმაში მხოლოდ და მხოლოდ **კვარაცხელია** გაამწესა, გუნდს კი ცენტრის გამაგრება უბრძანა. ნახევარმცველებმაც შესანიშნავად გაართვეს თავი მოვალეობას და ფაქტობრივად, პირველი წუთებიდანვე დაეუფლნენ ტერიტორიულ უპირატესობას. ერთი ეს იყო, რომ კვარაცხელიასთვის ბოლო პასის გადაცემა ჭირდა, ვინაიდან ეულად მდგომს მცველები იოლად უმკლავდებოდნენ. მართალია, მას ფლანგებიდან **კუნჭულია** და **შალამბერიძე** ეხმარებოდნენ, მაგრამ „ტორპედოს" დაცვა აქაც ყოჩაღად იდგა. ანალოგიური სიტუაცია გახლდათ სტუმართა ბანაკშიც. წინ მხოლოდ **იმედაძე** იყო, მის უკან კი ერთ დროს მცველთა და მეკარეთა რისხვა **დავით ჯანაშია** მოქმედებდა, რომელიც თამაშის დალაგებას ცდილობდა. მას კარგად უბამდა მხარს მასსავით ვეტერანი **კვეტენაძე** და რომ არა ბათუმელთა სიფხიზლე, შედეგი ალბათ სულ სხვა იქნებოდა.

პირველი ხიფათი მასპინძლებმა მეათე წუთზე შექმნეს - კვარაცხელიამ **კილასონიას** ბურთი საჯარიმოს ხაზთან აართვა და კარისკენ დაიძრა. სანამ დასახმარებლად წამოსული მეორე მცველი მიუსწრებდა, ფორვარდმა დაარტყა, მაგრამ **ქვილითაიამ** მოიგერია. მასპინძელთაგან მარცხენა ფლანგზე შალამბერიძე აქტიურობდა, რომლის ფლანგურმა გარღვევებმა სტუმრებს არაერთი თავსატეხი გაუჩინა. 28-ე წუთზე უკვე სტუმრებს მიეცათ ანგარიშის გახსნის შანსი - ჯანაშიას მიერ ჩაწოდებულ კუთხურს იმედაძემ ოდნავ შეუცვალა თავით მიმართულება და სომხიშვილს მოუწია ოსტატობის გამოვლენა.

ამის შემდეგ ქუთათურები გააქტიურდნენ და ბათუმელთა კარისკენ ზედიზედ ორჯერ დაარტყეს. **ჭედიას** დარტყმულს ლობჟანიძე ჩაუწვა, ჯანაშიას შორეული დარტყმა კი მეკარემ მოიგერია.

მეორე ტაიმი სახიფათო მომენტთა სიმწირით, თუმცა ორი გოლით გამოირჩა. გოგიტიძემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც მოედანზე კვარაცხელიას დასახმარებლად **კერესელიძე** შეუშვა, მერე კი შემტევი ნახევარმცველი **ბეჟანიძეც** დაამატა. ორი ფორვარდის გამო, სტუმართა მცველებს უკან დაწევა მოუხდათ, რითაც ბათუმელთა ნახევარდაცვამ ისარგებლა და შეტევის ხაზი მთელს მოედანზე გაშალა. შედეგმაც არ დააყოვნა, 69-ე წუთზე ანგარიში ბეჟანიძემ გახსნა. 85-ე წუთზე მას დუბლის გაკეთება შეეძლო, მაგრამ სტუმრები ძელმა იხსნა. ანგარიშს წერტილი კი 89-ე წუთზე დაესვა, როდესაც **ნერგაძემ** კერესელიძის ჩაწოდებული ბურთი შეირგო და მიწაზე დაუშვებლად კარში გაგზავნა. დარტყმა არც ისე ძლიერი, მაგრამ რაც მთავარია, ზუსტი გამოდგა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ბათუმელთა მთავარი მწვრთნელი ამირან გოგიტიძე აშკარად კმაყოფილი ჩანდა და მცირე ინტერვიუზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

- პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ბიჭებმა ჩინებულად ითამაშეს. ბოლომდე დაიხარჯნენ და შედეგიც სახეზეა. კოლექტიურ თამაშს აჩვენებს გუნდი, რაც წარმატებისთვის აუცილებელია.

**- „დინამოსგან" ბევრი არ მოელოდა მეორე წრეში ასეთ სტარტს, თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმ ფინანსურ სიძნელეებს, რომელსაც გუნდი განიცდის... რაიმე განსაკუთრებულს ხომ არ ეუბნებით ბიჭებს?**

- ხელფასი ნოემბრის შემდეგ არ აგვილია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიჭები მოედანზე თავს არ ზოგავენ, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო. აქვე ყურადღებას მათ პიროვნულ თვისებებზე გავამახვილებ - ისინი გუნდის ჭეშმარიტი პატრიოტები არიან და კი არ წუწუნებენ, არამედ თამაშობენ. პირადად მე ბედნიერი ვარ, ასეთ ბიჭებთან რომ ვმუშაობ.

**- არც არაფერს გპირდებიან?**

- ვნახოთ.

**- თასის ნახევარფინალში გასვლა, რაც ბევრისთვის საკმაოდ მოულოდნელი გამოდგა...**

- თამაში ყველასთან შეიძლება. როგორც აღვნიშნე, მოვინდომეთ და შედეგიც სახეზეა.

**- წილისყრით თუ ხართ კმაყოფილი?**

- ფავორიტი, ბუნებრივია, „ზესტაფონია" ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. თუმცა ჩვენ არავისთვის არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

**მერანი-ლოკომოტივი**

**1:1**

10.03. თბილისი. შევარდენი
100 მაყურებელი

1:0 ბესარაშვილი (37. პენ.) 1:1 გოჩაშვილი (39)

მერანი: სეფიაშვილი, თურქია (57. ოქრუაშვილი), გრიგალაშვილი, აფშილავა, ოსიტაშვილი, კობერიძე, ბესარაშვილი, ფურცელაძე, ჩივაძე, ნოზაძე (69. დეისაძე), მოდებაძე

სათადარიგოები: ჯანგიძე, ნაკაიძე, გლუჩაძე, სახვაძე

ლოკომოტივი: გვარამაძე, კუპრეიშვილი (71. კირკიტაძე), კვახაძე, ფოფხაძე, ჩომახიძე, ელიზბარაშვილი, გუშარაშვილი, გულორდავა (52. ჟღენტი), გოჩაშვილი (57. თუთბერიძე), მალიჩავა, ყენია

სათადარიგოები: მიგინეიშვილი, სოსელია, ებრალიძე, ციკურიშვილი

გაფრთხილება: ბესარაშვილი (20), მალიჩავა (35), თურქია (43),

გაძევება: მალიჩავა (45)

არბიტრი. მ. ბეჟქლიშვილი

# მეტოქეობა მოედანზე

მართალია, ამ უქმეებზე გამართული მატჩებიდან ყველაზე დიდი ყურადღებას, „დინამო"- „ამერისა" და „ოლიმპი"-„ზესტაფონი" იწვევდა, მაგრამ არც „მერანი"-„ლოკომოტივის" თამაში გამოვიდა ურიგო.

ამ მატჩში საგოლე მომენტებიც ბევრი იყო და უხეშობაც. თავიდან „ლოკომოტივის" ნახევარდაცვა არადამაჯერებლად გამოიყურებოდა, რაც დიდ პრობლემას უქმნიდა დაცვას. ამის მიუხედავად, სტუმრებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი მაინც შექმნეს. **ყენია-გოჩაშვილის** კომბინაცია, გოჩაშვილმა არაზუსტი დარტყმით დაასრულა. მასპინძელთა კარისკენ თავად ყენიამაც არაერთხელ დაარტყა. "მერანი" მეტი აქტიურობით გამოირჩეოდა და დაუფასდა კიდეც გარჯა - მრავალსვლიან კომბინაციას პენალტი მოჰყვა, რომელიც **ბესარაშვილმა** გამოიყენა. აქედან ერთ წუთში კი ანგარიში გათანაბრდა - მეკარე **სეფიაშვილის და აფშილავას** შეუთანხმებლობით კარგად ისარგებლა გოჩაშვილმა - 1:1.

ამის მერე უპირატესობას უკვე სტუმრები დაეუფლნენ, რომლებიც მალე კაცნაკლულნი დარჩნენ. ბოლო წუთზე კი "მერანს" შეეძლო დაწინაურება, მაგრამ **კობერიძის** დარტყმული **გვარამაძემ** მოიგერია.

მეორე ტაიმში გუნდები უფრო გააქტიურდნენ და უხეშობასაც უმატეს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რიცხობრივ უმცირესობაში მოთამაშე „ლოკომოტივმა" ტოლი არაფერში დაუდო მეტოქეს და საგოლე მომენტებიც შექმნა. ეპიზოდებში მერანელებს ისლა დარჩენოდათ, მოწინააღმდეგე უწესოდ შეეჩერებინათ. ერთ-ერთ ეპიზოდში **გრიგალაშვილმა** გოჩაშვილი ისე მოცელა, რომ მან თამაში ვალარ გააგრძელა. „მერანი" დრო და დრო აქტიურობდა, ასე მაგალითად, ბესარაშვილმა **დეისაძე** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ გვარამაძემ ითამაშა კარგად. საერთოდ ბესარაშვილი თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. რკინიგზელთაგან კი ყენია გამოირჩეოდა, კარშიც ურტყამდა და ბურთსაც კარგად ანაწილებდა.

**ავთო ცეცხლაძე**


კიკნაძემ ტორპედო დატოვა

# ტორპედოს ხერხაძე გაწვრთნის

"ტორპედოს" თავს არსებულმა გაურკვეველმა ფინანსურმა მდგომარეობამ, ქუთაისური კლუბიდან მწვრთნელების **გიორგი კიკნაძის** და **ზაზა ზამთარაძის** წასვლა გამოიწვია. მეორე წრის წინ "ტორპედოში" გადასულ ახალგაზრდა მწვრთნელებს იმედი ჰქონდათ, რომ კლუბში მყარი ფინანსური მდგომარეობა იქნებოდა და შესაბამისად, ამბიციაც დიდი იქნებოდა. საამისო საფუძველი კი ნამდვილად არსებობდა, თუმცა დღემდე არაფერი შეცვლილა უკეთესობისკენ.

"*კლუბი უკვე დავტოვეთ. მიზეზი მძიმე ფინანსური მდგომარეობაა*", - გვითხრა გუშინ ზაზა ზამთარაძემ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა - ვინ გაწვრთნის "ტორპედოს"? გასულ უქმეებზე "ბათუმთან" კალენდარულ მატჩში გუნდი ჯემალ ხერხაძემ გაიყვანა. როგორც შევიტყვეთ გუნდს სწორედ ხერხაძე უხელმძღვანელებს. ეს ცნობა "ტორპედოს" გუნდის უფროსმა **პაპუნა მელაძემაც** დაგვიდასტურა.

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# გორში ისევ სიონმა იმარჯვა

**ჩიხურა-სიონი**

**0:1**

10.03. გორი. ქართლი
100 მაყურებელი

0:1 ბოიომო (72. ალავიძის პასით)

ჩიხურა: სტურუა - ბარამიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ვაშაკიძე - ი. ზაბახიძე, ბუცხრიკიძე, თავბერიძე, ქუცურუა (78. მ. მიქაძე) - გ. მიქაძე, დვალი

*სათადარიგოები: დოლაძე, ვ. ზაბახიძე, გვეტაძე, სტეფანიშვილი*

სიონი: ბობლიაშვილი - ექონია, ბოიომო, სილაგაძე, ოქროპირიძე – სანიკიძე, კორლალიძე, ბაბუნაშვილი (65. კვიტაიშვილი), ალავიძე – ევოჩე (46. ცხადაძე), ჩასემი

*სათადარიგოები: გავაშელი, სვანიძე, ჭელიძე, ქარდავა, ბაჯელიძე*

გაფრთხილება: ბუცხრიკიძე (49), ბოიომო (54)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ეს გუნდები სეზონის განახლებიდან უკვე მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს. აქამდე ორჯერ თასის გათამაშებაზე მოუწიათ პაექრობა, ამჯერად კი ჩემპიონატზე.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში და გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. თავდაპირველად იმერლები უფრო აქტიურნიც იყვნენ და გოლის გატანა მე-2 წუთზევე შეეძლოთ - **ქუცურუას** ნაქცევისათვის საჯარიმოს მისადგომებთან დანიშნული სახიფათო ჯარიმა **დვალმა** დაარტყა კარგად, თუმცა **ბობლიაშვილმა** ივაჟკაცა. აქვე აღვნიშნოთ ბოლნისელთა გოლკიპერის საიმედო გარჯა მთელი შეხვედრის განმავლობაში. მისმა ოსტატობამ იხსნა „სიონი" მე-10 წუთზეც, როცა პირისპირ დარჩენილი დვალის დარტყმა მოიგერია. ასეთი დასაწყისი რასაკვირველია კარგს არაფერს უქადდა **ცხადაძის** შეგირდებს და მწვრთნელმაც გააქტიურება მოსთხოვა მათ. „სიონმა" მართლაც იგდო ხელთ უპირატესობა და თამაში დაამშვიდა, ბურთსაც უმეტესწილ ის ფლობდა, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი ბოლნისელებს არაფერი შეუქმნიათ.

თუკი **ჩასემმა** რამდენჯერმე მაინც შეაწუხა მოწინააღმდეგის დაცვა, საერთოდ არ ჩანდა მისი თანამემამულე და რამდენიმე დღის წინ ამავე სტადიონზე, ამავე მეტოქესთან ჰეთ-თრიკის შემსრულებელი **ევოჩე**. სამაგიეროდ ტაიმის ბოლოსკენ კიდევ ერთი მომენტი შეექმნა დვალს და ისევ ამაო გამოდგა მისი მცდელობა.

მეორე ტაიმის დასაწყისი „სიონის" უპირატესობით წარიმართა, რადგან სამი ქულის დამგეგმავი სტუმრების ამბიცია აშკარა საფრთხის წინაშე იდგა. ევოჩეს ნაცვლად შემოსულ **ბაჩანა ცხადაძეს** მცველებმა არ გაატანინეს. ამის შემდეგ თამაშის ტემპმაც იმატა და საინტერესოც გახდა. 64-ე წუთზე „ჩიხურას" მორიგი შეტევა **ვაშაკიძემ** წამოიწყო ფლანგიდან და ბურთი **მიქაძეს** მიაწოდა, რომელმაც კარგ პოზიციაში მდგარი დვალი შენიშნა და მას შეაყოლა ბურთი, ჯაბამ კი მართალია ძლივს, მაგრამ მაინც მოახერხა დარტყმა და ბობლიაშვილს კიდევ ერთხელ დასჭირდა ოსტატობის გამოვლენა. მცირე ჩავარდნის მერე სტუმრები ისევ ათამაშდნენ. კონტრშეტევებზე გადართული ჩემპიონები **სტურუას** კარსაც დაემუქრნენ - ჯერ ჩასემის ახლოდან დარტყმულს გადაეფარნენ მცველები, შემდეგ **კორლალიძის** უძლიერესი დარტყმული სტურუამ მარჯვენა დაბალ კუთხეში დიდი გაჭირვებით მოიგერია. ერთ წუთში კი სტურუა უკვე უძლური აღმოჩნდა - **ალავიძის** მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი **ბოიომოს** მიუვიდა და ხუთიოდე მეტრიდან აუღებელი დაურტყა მეკარეს.

„ჩიხურას"კლასი და იღბალი არ ეყო ქულის მოსაპოვებლად, თორემ ნამდვილად იმსახურებდა ამას, თუნდაც გოლის შემდეგ შექმნილი რამდენიმე სახიფათო მომენტის გამო.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# გლაზგოში მოსაგებად მივდივართ

*პირველი გვერდიდან*

ურუგვაისა და თურქეთთან თუმცა კი ამხანაგური, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მატჩები მოვიგეთ. მუხტი, რომელიც ამ გამარჯვებებმა მოგვცა, დიდხანს უნდა გაგვყვეს. ფეხბურთელებში თვითრწმენაც ამაღლდა. ჟურნალისტებს ეროვნული გუნდის მოთამაშეებთან ურთიერთობის საშუალება სისტემატურად გაქვთ და, ალბათ, დამეთანხმებით, რომ მოთამაშეებიც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი... კიდევ რამდენიმე დეტალია, რომელზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ, მთავარია, მეტი არავინ დაგვაკლდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია... ისე, ტრავმები მხოლოდ საქართველოს ნაკრების პრობლემა არაა. აგერ, ტიერი ანრი 3 თვე ვერ ითამაშებსო, გამოაცხადეს. შესაბამისად, ვერც ჩვენთან, 6 ივნისის შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, ჩვენი შემადგენლობა ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს... ცალკე სასაუბრო თემაა შოტლანდიის ნაკრები. ბრიტანელებმა მხოლოდ ფარერებთან აირჩიეს შემტევი ტაქტიკა, ანუ 4-3-3. დანარჩენ მატჩებში დაცვითი ფეხბურთი ითამაშეს და მეტოქეს ერთბაშად 5 მცველი დაუპირისპირეს. 24 მარტს მათგან ყველა გამარჯვებას ელის, ჩვენთან მოგება ბრიტანელებს შესარჩევი ციკლის ერთ-ერთ გამოკვეთილ ფავორიტად აქცევს. აქედან გამომდინარე, მეტოქე ერთგვარი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშაც იქნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შოტლანდიის ნაკრებს სხვა გუნდებისგან ერთი უმთავრესი კომპონენტი გამოარჩევს. ეს არის არნახული საბრძოლო სულისკვეთება. საფრანგეთს სწორედ ამით მოუგეს... არის კიდევ ერთი მომენტი. ჯერჯერობით, გაურკვეველია, თუ რომელ სათამაშო მოდელს აირჩევს შოტლანდიის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ალექს მაკლიში. ჩვენთან მატჩში მას დებიუტი ექნება. საერთოდ კი, მაკლიშის საყვარელი ტაქტიკური სქემა 4-4-2-ია. ვფიქრობ, ის შემტევ ტაქტიკას აირჩევს. მომავალ მატჩს განსაკუთრებულ ხიბლს ის ფაქტორიც სძენს, რომ "ჰემპდენ პარკზე" უკვე ყველა ბილეთი გაყიდულია. ასეთ სიტუაციაში თამაში დიდი ტვირთიცაა და სიამოვნებაც. გვინდა, წარმატებით ვითამაშოთ და ქომაგებს, მათ შორის ბრიტანელებსაც, თავი ლამაზი ფეხბურთით დავამახსოვროთ.

**- ყველა ბილეთი გაყიდულიაო, თქვით. შოტლანდიის ნაკრების ერთ-ერთი კოზირიც სწორედ მაყურებლის მხარდაჭერაა. მზად არის თუ არა საქართველოს ნაკრები, ამ ფსიქოლოგიურ წნეხს გაუძლოს?**

- ჩვენი ნაკრების წევრთა უმრავლესობა ევროპულ კლუბებში თამაშობს და მათთვის ამგვარი სიტუაცია უცხო არ არის. მიმაჩნია, რომ მაყურებლის ფაქტორი ჩვენი გუნდისთვის დამატებითი მოტივაცია იქნება, თუმცა სპეციალური ფსიქოლოგიური მომზადებაც მნიშვნელოვანია. მთავარი ისაა, თუ როგორი განწყობით გავალთ მოედანზე. შიში არ უნდა შეგვეტყოს. მეტოქემ თავიდანვე უნდა იგრძნოს, რომ პირველიდან ბოლო წუთებამდე თავდაუზოგავი ბრძოლისთვის მზად ვართ. შოტლანდიელებზე ერთსაც გეტყვით: მათ მხოლოდ ფარერებთან ითამაშეს კომბინაციური ფეხბურთი, ერთ შეტევაში ხშირად 15-20 ზუსტ პასს აკეთებდნენ. რაც შეეხება შესარჩევი ციკლის სხვა მატჩებს, ბევრი ტექნიკური წუნი ჰქონდათ და თამაშსაც სანახაობრივი ნამდვილად არ ეთქმოდათ. მჯერა, საქართველოს ნაკრების თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად იცის, რომ გლაზგოში ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ მოგებაა. მწარედ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ განწირულები ვართ. ურუგვაისა და თურქეთის ძლევის შემდეგ, ჩვენი საერთაშორისო ავტორიტეტი გაცილებით გაიზარდა, ამას გაფრთხილება და განმტკიცება სჭირდება... გავიგე, ურუგვაისა და თურქეთთან გამარჯვებების შემდეგ ზოგს უთქვამს, ამხანაგურ შეხვედრებში მოგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთო. ეს ასე არაა. ნებისმიერი ფეხბურთელი, ნებისმიერ მატჩში, მინდორზე გასვლისას მაქსიმალური მონდომებით იბრძვის გამარჯვებისთვის. საქართველოს ნაკრები პროგრესის გზაზეა და გლაზგოს მატჩი, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება. ჩვენ დიდი გზის დასაწყისში ვართ, ამ გზაზე არაერთი დაბრკოლებაა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია წარმატებების მიღწევა და მჯერა, მოვახერხებთ კიდეც.

**- მეტოქეს რაიმე სიურპრიზს ხომ არ უმზადებთ?**

- სიურპრიზზე რა გითხრათ... უბრალოდ, ჩვენი ორიენტირი არ უნდა შევცვალოთ. შოტლანდია, როგორც საფეხბურთო ქვეყანა, ძალიან ჰგავს საქართველოს... ამ რამდენიმე დღის წინ, უეფას წარმომადგენელ ბრუნო ვოლფისბერგთან ერთად, კახეთში გახლდით. ევროპელი სტუმარი აღტაცებული დარჩა, როცა ნახა, თუ როგორ უყვართ ფეხბურთი საქართველოში. თქვა კიდეც, ასეთი ქვეყანა არასდროს მინახავსო.

**- საქართველოსთან მატჩში სკოტებს რამდენიმე წამყვანი ფიგურა არ ეყოლებათ. რამდენად ზრდის ეს ჩვენს შანსებს?**

- მეტოქე, უპირველეს ყოვლისა, გუნდური სულით გამოირჩევა. გავიხსენოთ საფრანგეთთან მატჩი. იმ შეხვედრაშიც აკლდათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მაგრამ მოიგეს. საერთოდ, ფეხბურთში ტრავმა ჩვეულებრივი ამბავია. თითქმის ყველა თამაში გაკლია ესა თუ ის ფეხბურთელი. როცა შოტლანდიელთა დანაკლისზე ვსაუბრობთ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ანალოგიური პრობლემა ჩვენც გვაქვს და ამაზე უკვე გითხარით.

**- "ჰემპდენ პარკთან" არცთუ სასიამოვნო მოგონება გაკავშირებთ. რამდენიმე წლის წინ, სწორედ ამ სტადიონზე, თქვენ მიერ გაწვრთნილი "ლევერკუზენი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში "რეალთან" დამარცხდა. რევანშის წყურვილი ერთვარად დამატებითი მოტივაციაა და რამდენად დაეხმარება ეს ფაქტორი საქართველოს ნაკრებს?**

- "რეალთან" მატჩი უკვე წარსულია. მე ახლა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარ და მხოლოდ ამ გუნდის წარმატებაზე ვფიქრობ. ისე, ჩემი პირადი მოტივაცია თუ ოდნავ მაინც დაეხმარება ბიჭებს, ამას რა სჯობს. იმ თამაშში გადამწყვეტი გოლი ზინედინ ზიდანმა გაიტანა. უზომოდ გავიხარებ, თუ "ჰემპდენ პარკზე" იგივეს შოთა არველაძეც გააკეთებს.

**- ნაკრების მზადების განრიგზე რას გვეტყოდით?**

- 20 მარტს, ნაშუადღევს, გლაზგოში შევიკრიბებით და პირველ ვარჯიშსაც ჩავატარებთ. ცოტა ხნის წინ, შოტლანდიაში იყვნენ რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი. ისინი მოედნის ხარისხმა არ დააკმაყოფილა. იმედია, მარტის ბოლომდე ჩვენი მასპინძლები ამ პრობლემას მოაგვარებენ... გლაზგოდან თბილისში 25 მარტს დავბრუნდებით და ფარერებთან თამაშისთვის მზადებას აქ გავაგრძელებთ.

**- ეროვნული ჩემპიონატის რომელ მატჩს დაესწრებით (პრესკონფერენცია შაბათის მატჩებამდე გაიმართა - რედ)?**

– ოთხშაბათს, "დინამო"-"ამერის' სათასო მატჩი ვნახე. ამჯერად კი, რუსთავში, "ოლიმპი"-"ზესტაფონის" თამაშს რალფ მინგესთან ერთად ვნახავ. "დინამო"-"ამერის" მატჩს კი პეტარ სეგრტი და ჰაინც ტოპმიოლერი დაესწრებიან.

პრესკონფერენციის ბოლოს, სიტყვა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** ითხოვა: *"9 მარტს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობა შეიკრიბა და მიიღო დოკუმენტი, რომლის დასამტკიცებლადაც უკვე მიმართეს ფედერაციის აღმასკომს. ბოლო ხანებში საფეხბურთო მოედნებზე ძალადობამ იმატა. ამ თემას მიშელ პლატინიმ თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზეც საგანგებო ყურადღება დაუთმო. ჯანსაღ კრიტიკას ჩვენ ყოველთვის მოვისმენთ, თუმცა შეურაცხმყოფელი, უსაფუძვლო და წილისმნამებლური განცხადებები არავის შერჩება. ყველას ვურჩევ, ასეთი განცხადებებისგან თავი შეიკავოს. ფრთხილად იყვნენ, თორემ კისერს წაიმტვრევენ"* - განაცხადა ახალკაცმა.

**დავით ცაბაძე**

# შოტლანდიაში ნაკრებს მიხეილ სააკაშვილიც უქომაგებსო

24 მარტს "ჰემპდენ პარკზე" შოტლანდია-საქართველოს მატჩს, შესაძლოა, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** დაესწროს. დაუზუსტებელი ინფორმაცია ჩვენთვის გუშინ გახდა ცნობილი. ალბათობა ამის საკმაოდ დიდია, რაკილა ინფორმაციამ ბრიტანეთამდეც მიაღწია.

კიდევ უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ამ მატჩს ინგლისში მყოფი თავდაცვის ყოფილი მინისტრი **ირაკლი ოქრუაშვილიც** დაესწროს. საჭირო სამზადისი მას უკვე გაწეული ჰქონია. ამაში ალბათ იგულისხმება ბილეთების ყიდვა თუ სტუმართა ლოჟის მოსაწვევის მიღება.

# გოლების წვიმა არმაზზე

**ვიტ ჯორჯია-კახეთი**

**5:1**

10.03. მცხეთა. არმაზი
200 მაყურებელი

1:0 კლიმიაშვილი (41. სახოკიას პასით), 2:0 კვახაძე (43. გელაშვილის პასით), 3:0 მელქაძე (76.), 4:0 ბერიაშვილი (77. ბექვაიას პასით), 5:0 გელაშვილი (80. ბერიაშვილის პასით), 5:1 ტეტიაშვილი (88. ნ. დავითაშვილის პასით).

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი – პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე – კვალიწიძე (55. ბექვაია), გ. მელქაძე – სახოკია (65. ბერიაშვილი), გელაშვილი, კიკნაძე (40. კლიმიაშვილი).

*სათადაროგოები: მიქაბერიძე, კობიაშვილი, ინჯია, ადამაძე.*

კახეთი: გ. იაშვილი – კვირკველია, კობაიძე, მურველაშვილი (46. მაჩაიძე), გერგიშვილი – კუპრაშვილი, ძამუკაშვილი (57. გ. ბარბაქაძე), ჩუთლაშვილი, ნ. დავითაშვილი. ბ. ბურნაძე (70. მედოევი) – ტეტიაშვილი.

*სათადარიგოები: ქუფრაშვილი, მ. ხიდეშელი, გ. ხიდეშელი, ა. ბურნაძე.*

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

მიმდინარე სეზონი "ვიტ ჯორჯიამ" უგოლოდ განაახლა. **რამაზ მუმლაძის** გუნდმა ჯერ იყო და შინ, "ტორპედოსთან" უგოლო ფრე ითამაშა, მერე კი ბოლნისში "სიონთან" მინიმალურად წააგო. ზამთრის პაუზიდან რიგით მესამე ტურში კი ვეტერინარებმა ნავსი გატეხეს და "კახეთთან" შინ, ერთბაშად, 5 გოლით მოიწონეს თავი.

მცხეთაში გამართული ეს შეხვედრა საშუალო ტემპში დაიწყო და ასევე ჩამთავრდა. პირველისგან განსხვავებით მეორე ტაიმი სანახაობრივი თვალსაზრისით უკეთესი იყო. შესვენებამდე თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. პირველი ხიფათი 39-ე წუთზე შეიქმნა, როცა **ნიკა გელაშვილმა** კარგად დაარტყა, მაგრამ მეკარე **გიგა იაშვილმა** საიმედოდ ითამაშა და ბურთი მოიგერია. ის-ის იყო ტაიმი უგოლოდ უნდა დასრულებულიყო, რომ **მუმლაძემ** იგრძნო, რაღაც უნდა შეეცვალა და მოედანზე **კლიმიაშვილი** შეუშვა, რომელმაც ზუსტად ერთ წუთში **სახოკიას** პასით ანგარიში გახსნა - 1:0. შესვენებამდე კი **კვახაძემ** სხვაობა ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმშიც მასპინძლები დომინირებდნენ და ეს საბოლოო ანგარიშშიც სათანადოდ აისახა. თელაველებს 54-ე წუთზე ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე შემცირების შანსი მიეცათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს – **ტეტიაშვილს ბედიაშვილმა** აუღო. მერე ვიტელები გამოცოცხლდნენ. ტაიმის შუანელს კახელებს დაღლა დაეტყოთ, ფიზიკურად კარგად მომზადებულმა ვეტერინარებმა კი ვითარება ხელიდან არ გაუშვეს და ანგარიშს ბევრად უფრო სოლიდური სახე მისცეს.

76-ე წუთზე **მელქაძემ** ჩინებული სოლო-რეიდი გოლით დააგვირგვინა - 3:0. ერთ წუთში კი **ბექვაიას** კარგი გადაცემა ასევე შეცვლაზე შესულმა **ბერიაშვილმა** გამოიყენა და 4:0. სამიოდე წუთში კი ბერიაშვილი უკვე საგოლე პასის ავტორად მოგვევლინა, როცა **გელაშვილმა** კიდევ ერთი ბურთი შეაგორა მეტოქის კარში. 5:0.

სტუმართაგან გოლის ავტორ ტეტიაშვილის გარდა **მაჩაიძის** გამორჩევა შეიძლება. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა თამაში გაამწვავა და კახელთა ერთადერთი გოლიც სწორედ მის მიერ წამოწყებულ შეტევას მოჰყვა. ეგაა მხოლოდ, რომ 18 წლის ნახევარცველს მთელი მარჯვენა ფლანგის კონტროლი დაევალა, არადა მის უკან მცველი რომ ყოფილიყო, შეტევაში უფრო მეტ სიმწვავეს შეიტანდა.

**დავით ცაბაძე**
მცხეთა-თბილისი




ქართული ლეგიონის უიქენდი

# გოგუა გააგდეს, კანკავა ვალში არ დარჩა



გოგიტა გოგუა (77) ჩემპიონატის პირველივე მატჩში გააძევეს

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | |
| თასი, მეოთხედფინალი | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-სიტი | 2:0 | 45 წთ (შეცვლაზე) | 16 თ, 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A, XXVII ტური | | | | |
| კახა კალაძე | ინტერი-მილანი | 2:1 | არ უთამაშია, ტრავმა | 12 თ, 1 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XXV ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ჰანოვერი-შალკე | 1:1 | 90 წუთი | 19 თ, 3 გ. |
| II ბუნდესლიგა, XXV ტური | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ბურგჰაუზენი-ფრაიბურგი | 2:2 | 90 წთ. გააფრთხილეს | 23 თ, 5 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ბურგჰაუზენი-ფრაიბურგი | 2:2 | 90 წუთი | 12 თ, 1 გ. |
| დავით სირაძე | ბრაუნშვაიგი-აუე | 1:0 | 36 წთ (შეცვლაზე) | 21 თ, 2 გ. |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი-კარლსრუე | 1:3 | 90 წთ | 6 თ, -7 გ. |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი-კარლსრუე | 1:3 | 90 წთ, საგოლე პასი | 6 თ, 3 გ. |
| მათე ღვინიანიძე | კაიზერი-მიუნხენი | - | დღეს | 12 თ, 0 გ. |
| **ჰოლანდია** | | | | |
| ერედივიზიე, XXVIII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი-ფეიენოორდი | 0:0 | 71 წთ (შეცვალეს) | 24 თ, 12 გ. |
| **საბერძნეთი** | | | | |
| სუპერლიგა, XXIV ტური | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი-იონიკოსი | 2:0 | 83 წთ (შეცვალეს), 1 გოლი | 15 თ, 2 გ |
| ლევან მაღრაძე | ატრომიტოსი-ქსანთი | 3:3 | 90 წუთი | 18 თ, 0 |
| **კვიპროსი** | | | | |
| A დივიზიონი, თასი | | | | |
| თემურ ქეცბაია | პარალიმნი-ანორთოსისი | 1:3 | არ უთამაშია | -. |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ეთნიკოსი-აეკ | 2:1 | 90 წუთი | - |
| ლევან ქებაძე | ეთნიკოსი-აეკ | 2:1 | 3 წთ (შეცვლაზე) | - |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, XXVIII ტური | | | | |
| კახა ალადაშვილი | კრივბასი-დინამო | 1:1 | არ უთამაშია | 5 თ, 0 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | კრივბასი-დინამო | 1:1 | არ უთამაშია, ტრავმა | 3 თ, 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | ვორსკლა-დნეპრო | 0:1 | 78 წუთი, საგოლე პასი, გააძევეს | 16 თ, 4 გ. |
| რევაზ ბარაბაძე | ვორსკლა-დნეპრო | 0:1 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | მეტალურგი ზ.-ჩერნომორეცი | 1:0 | არ უთამაშია (სათადარიგო) | 16 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | მეტალურგი-ხარკოვი | 1:2 | არ უთამაშია | 13 თ, 2 გ. |
| ლადო ბურდული | კრივბასი-დინამო | 1:1 | 82 წთ (შეცვალეს), საგოლე პასი | 16 თ, 1 გ. |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი-დინამო | 1:1 | 90 წთ. (შეცვალეს), გააფრთხილეს | 18 თ, 8 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩივეცი-სტალი | 0:0 | 16 წთ. (შეცვლაზე) | 13 თ, 0 გ. |
| დავით კვირკველია | მეტალურგი-ჩერნომორეცი | 1:0 | 90 წუთი | 13 თ, 3 გ. |
| ირაკლი მოდებაძე | მეტალურგი-ჩერნომორეცი | 1:0 | არ უთამაშია (ტრავმა) | 14 თ, 3 გ. |
| გიორგი ჭელიძე | ზარია-კარპატი | 1:0 | 77წთ (შეცვალეს) | 2 თ, 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი-ტავრია | 0:1 | 25 წთ (შეცვლაზე) | 7 თ, 2 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა, I ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | ზენიტი-სატურნი | 1:1 | 48 წთ. გააძევეს | 1 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | ცსკა-რუბინი | 3:1 | არ უთამაშია, სათადარიგო | 0 თ, 0 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | ცსკა-რუბინი | 3:1 | 90 წუთი | 1 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | კრილია სოვეტოვი-ხიმკი | 1:0 | 70 წუთი (შეცვალეს) | 1 თ, 0 გ. |
| მალხაზ ასათიანი | კუბანი-ლოკომოტივი | 0:0 | არ უთამაშია, ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | ტომი-სპარტაკი ნ. | 2:0 | 90 წუთი | 1 თ, 0 გ. |
| ლევან გვაზავა | ტომი-სპარტაკი ნ. | 2:0 | 7 წუთი (შეცვლაზე) | 1 თ, 0 გ. |
| **პოლონეთი** | | | | |
| ვიშა ლიგა, XXVII ტური | | | | |
| მამია ჯიქია | გურნიკი-ლკს | 0:1 | არ უთამაშია | 4 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XVII ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ოლბორგი-ვიბორგი | 0:2 | 90 წუთი | 3 თ, 0 გ. |

ამ უქმეებზე სტარტი აიღო რუსეთის პრემიერლიგამ, სადაც შვიდი ქართველი ფეხბურთელი იასპარეზებს. ჯერჯერობით თავმოსაწონი არაფერია, "სატურნის" ახალწვეულმა გოგიტა გოგუამ სეზონის პირველი წითელი ბარათის "მოსაპოვებლად" 48 წუთი იკმარა. გოგუას არც უკრაინულ "დნეპრში" მოთამაშე ჯაბა კანკავა ჩამორჩენია. ორივე საყრდენი ნახევარმცველი თავიანთ ახალ კლუბებში პირველად გააძევეს. ინგლისში თასის ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს ზურაბ ხიზანიშვილმა და მისმა "ბლექბერნმა", ლევან ცქიტიშვილმა კი ზედიზედ მეორე ტურში გაიტანა საბერძნეთში. საგოლე პასები იკმარეს ლადო ბურდულმა, ჯაბა კანკავამ და მიხეილ აშვეთიამ...

## მალდონინა კალაძის გარეშე

**კალაძეს** ტრავმებმა სეზონის დიდი ნაწილი გაუცდინეს. გუშინ მან მილანური დერბი გამოტოვა, რომელშიც "ინტერმა" 2:1 მოიგო. ეს უკვე საგანგაშოა, მით უფრო, რომ ნაკრებს შოტლანდიაში თამაში კარს მოადგა, კაპიტანი კი "ჰემპდენ პარკზე" უაღრესად საჭიროა. ინგლისში ასოციაციის თასზე "ბლექბერნმა" "მანჩესტერ სიტის" უმასპინძლა. შესვენებაზე **ხიზანიშვილმა** ზელანდიელი **ნელსენი** შეცვალა. პირველ ტაიმში მასპინძელთა მცველმა **მოკოენამ** ანგარიში გახსნა, მეორეში კი გუნდი დაალალატა - წითელი ბარათი მიიღო და "ბლექბერნი" უმცირესობაში დატოვა. მიუხედავად ამისა, კლუბმა შეძლო თასის ნახევარფინალში გასვლა, **დერბიშირმა** მეორე გოლიც გაიტანა 2:0.

## აშვეთიას საგოლე პასმაც ვერ უშველათ

**ლევან კობიაშვილის** "შალკეს" ძალიან გაუმართლა, როცა უშუალო კონკურენტებმა "ბაიერნმა" და "ვერდერმა" ფრედ ითამაშეს. მანამდე "შალკე" "ჰანოვერს" ესტუმრა და ორი ქულა დაკარგა - 1:1. 25 ტურის შემდეგ კობიაშვილის კლუბი მაინც ლიდერია 50 ქულით. ლევანმა 90 წუთი ითამაშა და "შპორტალისგან" 4,5 ბალი დაიმსახურა. მეორე ბუნდესლიგაში "ფრაიბურგმა" სტუმრად 2:2 ითამაშა ერთ-ერთ აუტსაიდერ "ბურგჰაუზენთან". ეს "ქართველთა კლუბებიდან" ტურში საუკეთესო შედეგი იყო. **ოთარ ხიზანეიშვილმა** და **ალექსანდრე იაშვილმა** 90-90 წუთი ითამაშეს. "შპორტალმა" ჩვენების თამაშს ნორმალური შეფასება მისცა - ხიზანეიშვილმა 3 ქულა მიიღო, იაშვილმა - 3,5. "ბრაუნშვაიგთან" 0:1 დამარცხა "აუე", **დავით სირაძე** მეორე ტაიმში გამოჩნდა. "შპორტალმა" ქართველ ფორვარდს ოთხიანი დაუწერა. გუშინ "კარლსრუესთან" შინ 1:3 დამარცხდა "კარლ ცაისი". **გიორგი ლომაიას** თამაში 4 ბალით შეაფასეს, ხოლო **მიხეილ აშვეთიასი** - 3-ით. აშვეთიამ **ციმერმანს** საგოლე პასი გაუკეთა.

## ახალაია ბუქარესტის დინამოში

რუმინეთში ბუქარესტის "დინამოში" სინჯებზეა თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი **ლადო ახალაია**. 25 წლის ფორვარდი პირველ წრეში ქართული ფეხბურთის ფლაგმანის რიგებში სულ ერთიორჯერ გამოჩნდა. ლადოს მოლდოვურ "ზიმბრუსა" და შვეიცარიულ "ციურიხში" უთამაშია. ბუქარესტის "დინამო" რუმინეთის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია 57 ქულით. "დინამო", რომელსაც **მირჩა რედნიჩი** წვრთნის, 13 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ "კლუჟს".

## ჩხაიძის თავური

ქართველი ნახევარმცველი **ლაშა ჩხაიძე** ფინეთის პირველი დივიზიონის კლუბ ტპ-47-ში ისინჯება. იმ კლუბში, რომლის კარსაც ჩვენი თანამემამულე **გიორგი ნიკურაძე** იცავს. ლაშამ თავი შვედეთში გამოიჩინა, ტპ-47 შვედეთის პირველი დივიზიონის ლიდერ "ბოდენს" ესტუმრა და 2:1 მოუგო, ქართველებმა სრულად ითამაშეს. მატჩის მე-16 წუთზე ჩხაიძემ თავურით გახსნა ანგარიში. კლუბის [illegible]

## ფოფხაძემ მოგებით განაახლა

ტურის ცენტრალური მატჩი ალკმაარში გაიმართა, სადაც აზ-მ "ფეიენოორდს" უმასპინძლა, შეხვედრა უგოლოდ დასრულდა - 0:0. **შოთა არველაძე** მატჩის 71-ე წუთზე შეცვალეს. ამ ფრის შემდეგ აზ და "აიაქსი" 59-59 ქულით მეორე-მესამე ადგილზე არიან. დანიაში ზამთრის შესვენების შემდეგ განახლდა ადგილობრივი პირველობა. **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგმა" სტუმრად "ოლბორგი" 2:0 დამარცხა. "ვიბორგი" 21 ქულით ცხრილში მეცხრეა. ფოფხაძემ 90 წუთი ითამაშა.



ცქიტიშვილმა ისევ გაიტანა

## კიდევ გოლი

საბერძნეთში კვლავ გამოიჩინა თავი **ლევან ცქიტიშვილმა** - "პანიონიოსმა" 2:0 მოუგო "იონიკოსს", ლევანმა კი 54-ე წუთზე პენალტით გახსნა ანგარიში. წინა დღით "ქსანთი" "ატრომიტოსს" ეწვია და 3:3 დაუზავდა, **მაღრაძემ** სრულად ითამაშა. კვიპროსში თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისმა" სტუმრად 3:1 მოუგო "პარალიმნის" და, ფაქტობრივად, ნახევარფინალში გავიდა. ქეცბაია მოედანზე არ შესულა, ჰეტ-თრიკი **ფრუსოსმა** შეასრულა. "ეთნიკოსმა" შინ 2:1 მოუგო აეკ-ს.



შოთა და ალკმაარი ფეიენოორდთან უგოლო ფრეს დასჯერდნენ

## გოგუას 48 და ...

რუსეთი ჩემპიონატს შვიდი ქართველით იწყებს - ზუსტად ამდენი ჩვენი თანამემამულეა რუსული პრემიერლიგის კლუბების განაცხადში. ნალჩიკის "სპარტაკში" მარცხიანი დებიუტი გამოუვიდა **ალექსანდრე ამისულაშვილს**, რომელმაც სრულად ითამაშა "ტომთან" გასვლით მატჩში. ციმბირში მატჩის ბოლოსკენ, 83-ე წუთზე გამოჩნდა **ლევან გვაზავა**. "კრილია სოვეტოვმა" 1:0 მოუგო დებიუტანტ "ხიმკის", **დავით მუჯირმა** 70-ე წუთამდე ითამაშა. გოგიტა გოგუამ "სატურნი" დაალალატა და მეორე ტაიმის დასაწყისში მეორე ყვითელი ბარათის გამო მოედანი ნაადრევად დატოვა, მატჩი 1:1 დასრულდა. "რუბინი" სტუმრად ჩემპიონ ცსკა-სთან დამარცხდა - 1:3. **ლაშა სალუქვაძემ** სრულად ითამაშა, **ნუკრი რევიშვილი** სათადარიგო იყო.

## ... კანკავას 78 წუთი

გოგიტა გოგუას ვალში არც ჯაბა კანკავა დარჩენია, "ვორსკლასთან" მატჩის 78-ე წუთზე ჯაბას მასპინძელი ფეხბურთელი ეუხეშა, რასაც ქართველის მხრიდან ჩხუბი მოჰყვა. კანკავა ეგრევე გააძევეს. თუმცა მანამდე მან მოასწრო საგოლე პასის მიცემა. ტურში ქართველთაგან თავი **ვასილ გიგიაძემ** და **ლადო ბურდულმა** გამოიჩინეს, რომელთაც კიევის "დინამოსთან" მატჩში (1:1) საგოლე კომბინაციაში მიიღეს მონაწილეობა. გიგიაძემ ფლანგზე ბურდულს გაუჭრა ბურთი, ბურდულის ჩაწოდებულს კი **საჩკომ** მიუსწრო. კიეველთა განაცხადში ქართველები არ ყოფილან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გოგუას მსგავსად, კანკავაც გააძევეს

მწვანე სამყარო
GREEN WORLD
გამწვანება
ფილების დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ქვის სამუშაოები
განათება
შადრევნები
ახალი ეპოქა
ჩვენთან ერთად
მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXVI ტური

# მესი, მესი, მესი-ა!

## კამპ ნოუზე არგენტინელის ბენეფისი შედგა, თუმცა ისტორია უფრო ლამაზადაც შეიძლებოდა დასრულებულიყო



ლიონელ მესი

როცა ერთფეროვანი ტაქტიკით, საშინლად პრაგმატული სტრატეგიით, მწვრთნელების ჭირვეულობითა და უსახური ფეხბურთით ძალიან დაილლები, სულზე "ბარსელონა" - "რეალი" მოგისწრებს. ასეთი სუპერკლასიკო დიდი ხანია არავის უნახავს. ეს ფეხბურთის დღესასწაული იყო. თამაში, რომლის ნახვით მიღებული სიამოვნება, შეიძლება რამდენიმე წელი გაგყვეს. ორი საათით **ფაბიო კაპელოც** კი რომანტიკოსი გახდა.

მისი ბედი ამ თამაშზე ეკიდა. კაპელო კარიერის ერთ-ერთი ყველაზე პრაგმატული, ანგარებიანი და წინასწარ გათვლილი შეხვედრისთვის ემზადებოდა, მაგრამ "კამპ ნოუს" ჯადოსნურმა აურამ, "ბარსასა" და "რეალის" ფეხბურთელების თავდავიწყებამ და გატაცებამ იტალიელს სამუშაოს დაკარგვის საფრთხე დაავიწყა. კაპელო ცდუნებას შეეკრა, ორი საათით ის ყველაფრისგან გათავისუფლდა. ამით არავის წაუგია, განსაკუთრებით მადრიდის "რეალს". სამეფო კლუბმა საკუთარ გულშემატკივრებს შეახსენა, რომ ის უდიდესი გუნდია და ლამაზი ფეხბურთის თამაში შეუძლია. იმ დღეს, "კამპ ნოუზე" არავინ მუშაობდა, ყველა თამაშობდა... სუპერკლასიკომ ახალი გმირი შვა. ეს **ლიონელ მესის** დღე იყო. "ბარსელონასა" და არგენტინას გენია ჰყავთ. ლეომ "ბარსას" მაისურით პირველი ჰეთ თრიკი შეასრულა.

ვისაც გაუმართლა, პირადმა პრობლემებმა ხელი არ შეუშალა და ეს თამაში ნახა ბედნიერია. იმათ კი, ვისაც სხვადასხვა გარემოების გამო საშუალება არ ჰქონდათ, ტელევიზორთან დამსხდარიყვნენ და გენიალური შეხვედრა ერთი ამოსუნთქვით ენახათ, ჩვენს სტატიას ვთავაზობთ. სხვაგან, შესაძლოა, უკეთ ან პირიქით, უარესად ეწეროს, მაგრამ ერთი რამ უდავოა, იმ დიდ ფიესტას ვერც ერთი სტატია ვერ შეგიცვლით. სუპერკლასიკო უნდა გენახათ. გვჯერა, ადამიანებს, რომელთაც ფეხბურთი სულსა და ხორცში აქვთ გამჯდარი, არ ეძინათ. სასწაულს მხოლოდ ისინი დააკლდნენ, ვისაც განსაკუთრებული, ჯერ არ ნახული პრობლემები ჰქონდათ.

სუპერკლასიკოს ორივე კლუბი გულდაწყვეტილი შეხვდა. ესპანური ფეხბურთის გიგანტები "ლივერპულმა" და "ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგას ჩამოაშორეს. სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მათთვის გადაუჭრელი დარჩა. ყველა კანონის მიხედვით, ფეხბურთელებს დრო არ უნდა ჰყოფნოდათ იმისთვის, რომ ხალისი დაებრუნებინათ, თუმცა საქმე ხომ სუპერკლასიკოს ეხებოდა. შაბათს წაფორხილება მომაკვდინებელი ცოდვა იქნებოდა. არავინ არავის მისცემდა იმის უფლებას, რომ მისი პატივმოყვარეობა ფეხქვეშ გაეთელათ. შაბათს, საღამოს 10 საათზე იმედგაცრუებულმა გუნდებმა ცხოვრება ცარიელი ფურცლიდან დაიწყეს. ყველა ტკივილი წარსულში დარჩა. წინ დიდი მატჩი იყო...

წელს "კამპ ნოუზე" ამდენი ხალხი პირველად მივიდა. კატალონიელ ინჩასებს საკუთარი ფეხბურთელებისთვის "ლივერპულთან" დამარცხებით გამოწვეული წყენა წამითაც არ უგრძნობინებიათ. Tot al camp, es un clam, som la gent blaugrana - *"ყველანი მოედანზე, ეს ღირსების საქმეა, ჩვენ "ბარსელონის" ხალხი ვართ"*, კატალონიელები ამ ლოზუნგით სუნთქავდნენ და მოსისხლე მტერთან შერკინების წინ კლუბის ჰიმნს განსაკუთრებული შემართებით მღეროდნენ. "კამპ ნოუ" საძულველი "რეალის" დამარცხებისთვის ემზადებოდა, მაგრამ მადრიდელებმა დაუჯერებლად კარგად ითამაშეს. შეხვედრა მათ საოცრად დაიწყეს და ანგარიში მალევე გახსნეს. მე-5 წუთზე **გუტიმ** სწრაფი შეტევა წამოიწყო. მან **იგუაინი** მონახა. არგენტინელმა კი **რუუდ ვან ნისტელროის** გადააწოდა. ჰოლანდიელმა დარტყმა არ დააყოვნა. **ვიქტორ ვალდესი** სუპერკლასიკოს ასეთ დასაწყისს არ ელოდა.

ჰოლანდიელის სწრაფმა გოლმა ორთაბრძოლის შემდგომ მსვლელობაზე უდიდესი გავლენა იქონია. სტუმართა სისწრაფითა და შემართებით გაოცებულმა "ბარსამ" იმავე წამს შურისძიებაზე ფიქრი დაიწყო. ინჩასებს დიდ ხანს ლოდინი არ მოუხდათ. მე-10 წუთზე **სამუელ ეტოომ ტორესს** შეცდომა დააშვებინა. ახალგაზრდა მცველმა პოზიცია დაკარგა. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ **იკერ კასილიასსთან** პირისპირ გასულ ლიონელ მესის პირველი ბურთი შეეგდო.

სამეფო კლუბმა მეხუთე წუთზე აღძრული მადის დაოკება არ ისურვა. კაპელო აზარტში შევიდა და ბიჭები არ შებოჭა. სტუმრები სახიფათო კონტრშეტევებს აწყობდნენ. მალე გუტი საჯარიმოში აღმოჩნდა. **ოლეგერმა** ვერ ივარგა და პენალტთან ერთად ყვითელი ბარათი აიკიდა. ვან ნისტელროიმ დუბლი შეასრულა.

არავითარი შოკი, არავითარი თავშეკავება. მოედანზე სიგიჟე გამეფდა. არ არსებობდა დაცვა, ტაქტიკაც დავიწყებას მიეცა. თითქმის ყოველი შეტევა საგოლე მომენტი გახლდათ. განსაკუთრებით, კასილიასს უჭირდა. **რონალდინიო** მარცხნიდან უტევდა, მესი კი მარჯვენიდან. **მიჩელ სალგადოსა** და ტორესს დიდი განსაცდელი დაატყდათ თავს. კატალონიელები მიხვდნენ, რომ ფლანგებიდან შეტევით მოწინააღმდეგის წელში გატეხვას შეძლებდნენ. ეტოო მეკარესთან ორჯერ დარჩა პირისპირ, მაგრამ კამერუნელს ერთხელაც არ გაუმართლა. იმ დღეს იღბალი მესის სწყალობდა. არგენტინელმა რონალდინიოს დარტყმის შემდეგ დასწრებაზე იყოჩაღა და ანგარიში მეორედ გაათანაბრა. **ფრანკ რიიკაარდის** ბიჭებმა დიდი ფეხბურთის მოტკბო ნაზი გემო იგრძნეს. თითოეული მათგანის სხეულში გამაოგნებელმა ვნებამ დაისადგურა. ტემპის დაგდებასა და შესვენებაზე არავინ ფიქრობდა. კატალონია შეტევას აგრძელებდა. ეტოომ კიდევ ერთი ფანტასტიკური მომენტი ვერ გამოიყენა. ალტყინება იმდენად დიდი იყო, რომ მოთამაშეები ზონების გადაკეტვას ვეღარ ასწრებდნენ. ამიტომ, ხშირი იყო ჯარიმები. ტაიმის მიწურულს, "ბარსას" დიდი უბედურება შეემთხვა. ოლეგერმა **გახოს** დაუნდობლად ჩაარტყა და მეორე გაფრთხილება მიიღო. პატრიოტი კატალონიელი (ის დღემდე ჯიუტად უარს ამბობს ესპანეთის ნაკრებში თამაშზე) გასახდელში გაისტუმრეს. რიიკაარდის ბიჭებს არსაიდან მართლაც უდიდესი უბედურება დაატყდათ თავს. მთელი ტაიმის განმავლობაში 10 კაცით თამაში სერიოზულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული...

რიცხვობრივმა უპირატესობამ მალე იჩინა თავი. მეორე ნახევარში "რეალი" საგრძნობლად გააქტიურდა. გუტი სტუმართა თითქმის ყველა შეტევის სულისჩამდგმელად გვევლინებოდა. **ხოსე მარიას** გამჭოლი პასები მცველებს უამრავ თავსატეხს უჩენდა. პარალელურად, გახოსა და **დიარას** ტანდემი ნახევარდაცვაში საოცრად ნაყოფიერად მოქმედებდა. ბარსელონელებს შეტევების დამაგვირგვინებელ ფაზაში გადაყვანის შესაძლებლობა აღარ ეძლეოდათ. მთავარი პრობლემა კი მაინც ვალდესის კართან გახშირებული სახიფათო მომენტები გახლდათ. ჰაერშიც კი იგრძნობოდა, რომ სამეფო კლუბი მესამე ბურთს შეაგდებდა. ასეც მოხდა, 72-ე წუთზე, გუტიმ საჯარიმო ჩააწოდა. **სერხიო რამოსმა კარლეს პუიოლს** საჰაერო დუელი პირწმინდად მოუგო და ვალდესს აუღებელი დაურტყა. საბრალო მეკარე სასოწარკვეთილებისგან ადგილს ვერ პოულობდა, რადგან გოლამდე და შემდგომაც "ბარსელონა" მან უამრავჯერ იხსნა. აქ კი ისიც უძლური აღმოჩნდა.

ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, სწამდა ლეო მესის. რიიკაარდი ვა-ბანკზე წავიდა, როცა **მარკესი გუდიონსენით** შეცვალა. ბოლო წუთები კოშმარულად დაძაბული და სანახაობრივი იყო. ორივე კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა. ვან ნისტელროიმ ორი 100-პროცენტიანი გოლი ვერ გაიტანა. მსაჯმა ძირითად დროს ოთხი წუთი დაამატა. მესიმ შეუძლებელი შესაძლებელი გახადა. არგენტინელმა რონალდინიოს პასი მიიღო და შემდეგ ისეთი რამ გააკეთა, რაც ადამიანს ძარღვებში სისხლს გაუყინავს. მესი "ბარსას" მესია გახდა...

ფეხბურთელები, გულშემატკივრები და მწვრთნელები მხოლოდ საფინალო სასტვენის შემდეგ მიხვდნენ, რომ სრულიად დაცარიელებულები იყვნენ, ეს ემოციური გამოფიტვა გახლდათ. ინჩასების ნაწილი მსაჯს პროტესტის ნიშნად თეთრ ცხვირსახოცებს უფრიალებდა, ნაწილი კი ერთმანეთს გაოგნებით უყურებდა. როცა ადამიანი რაიმე დიადს, გენიალურს ქმნის, ის კაცობრიობის კუთვნილება ხდება. განურჩევლად რასისა, ნაციონალობისა და აღმსარებლობისა სიდიადით ყველა აღფრთოვანდება. იმ დღეს "ბარსა" და "რეალი" ჩვენი გუნდებიც იყვნენ...

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისული ფაბიო კაპელო გამოუყენებელ მომენტებს მისტიროდა: *"ათასპროცენტიანი საგოლე მომენტები გვქონდა. შეგვეძლო, დიდი ანგარიშითაც მოგვეგო, მაგრამ "ბარსელონის" მეკარემ ურთულესი დარტყმები მოიგერია. ამასთან, როცა ისეთი ზღაპრული ფეხბურთელები თამაშობენ, როგორებიც მესი და რონალდინიო არიან, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. არგენტინელი შეუდარებელი გახლდათ."*

ფრანკ რიიკაარდი ბოლო წამზე გადარჩენილი ქულით კმაყოფილი დარჩა, თუმცა თამაშამდე მას სულ სხვა გეგმები ჰქონდა: *"როცა გასახდელიდან გავდიოდით, ფრეზე არავინ ფიქრობდა. რა თქმა უნდა, ერთადერთ მისაღებ შედეგად გამარჯვებას მივიჩნევდით, მაგრამ იმ ყოველივეს შემდეგ, რაც ვნახეთ, ყაიმით კმაყოფილი გახლავართ. ბედნიერი ვარ, რომ ლეო მესი ამდენად გაიზარდა. ასევე სამუელ ეტოოს პროგრესიც დიდად მახარებს. მან ტრავმის შემდეგ გაათმაგებული ენერგიით ვარჯიში დაიწყო. უნდა ვაღიარო, რომ უბურთოდ თამაში კარგად არ გამოგვდის. პოზიციურ შეცდომებს ვუშვებდით და "რეალს" საგოლე მომენტების შექმნის საშუალებას ვაძლევდით. ეს ხარვეზი სასწრაფოთ უნდა აღმოიფხვრას."*

მკრეხელობა იქნებოდა, თქვენთვის გმირის მოსაზრებები არ გაგვეცნო: *"დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ ცუდად ვგრძნობდი თავს. ტრავმამდე ჩინებულად ვიყავი, მაგრამ შემდეგ პრობლემები შემექმნა. დავბრუნდი, მაგრამ საქმეები ისე ვერ ამეწყო, როგორც მსურდა. ვგონებ, არ მიმართლებდა, რადგან საგოლე მომენტების გამოყენებას ვერ ვახერხებდი. ახლა კი "რეალს" ერთბაშად სამჯერ შევუგდე. დაუჯერებელია! ცხადია, პირადი მიღწევით მეტისმეტად კმაყოფილი გახლავართ, მაგრამ რომ მოგვეგო, ეს ისტორია უფრო ლამაზი იქნებოდა."*

ამ დიდ თამაშთან სხვა თამაშები რა მოსატანია, მაგრამ ვალდებულები ვართ, "სევილიის" მარცხი აღვნიშნოთ. ბოლოსწინა ადგილზე მყოფ "ხიმნასტიკთან" წაგებით, **ხუანდე რამოსის** ბიჭებმა ლიდერობის განმტკიცების შანსი ხელიდან გაუშვეს და იმდენი ქნეს, რომ ლიდერობა "ბარსელონას" გადაულოცეს.

**მომდევნო ტური**

17 მარტი. ვალენსია-რასინგი, მალიორკა-ბეტისი, რეკრეატივო-ბარსელონა, ბილბაო-ოსასუნა. 18 მარტი. დეპორტივო-ხეტაფე, ესპანიოლი-ლევანტე, სარაგოსა-ატლეტიკო, ვილიარეალი-სოსიედადი, რეალი-ხიმნასტიკი, სევილია-სელტა.

### ლევანტე-ვილიარეალი 0:2

**ლევანტე:** მოლინა, მანოლო, სერანო, ალექსისი, კურტუა, ეტიენი (46. რეჯი), კამაჩო, ტომაზი (70. ნ'დიაიე), კაპო, რიგა, სალვა.

**ვილიარეალი:** ვიეირა, ხოსემი, ფუენტესი, სიგანი, ხოსე ენრიკე, მატი ფერნანდესი, სენა, ხოსიკო (72. სომოსა), მარკოსი, ფორლანი (64. ფრანკო), ტომასონი (82. კანი).

**გოლები:** 0:1 ფორლანი (9), 0:2 ტომასონი (72)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 19(6)-13(6); **კუთხური:** 7-1; **თამაშგარე:** 2-4; **ჯარიმა:** 30-24; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 18 598

### ბარსელონა-რეალი 3:3

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, ტიურამი, მარკესი (81. გუდიონსენი), დეკუ (71. ბელეტი), ჩავი, ინიესტა, მესი, რონალდინიო, ეტო'ო (46. სილვინიო).

**რეალი:** კასილიასი, მიჩელ სალგადო, სერხიო რამოსი, ივან ელგერა, ტორესი, გახო, დიარა, რაული (61. რობინიო), გუტი (82. დე ლა რედი), იგუაინი, ვან ნისტელროი.

**გოლები:** 0:1 ვან ნისტელროი (5), 1:1 მესი (10), 1:2 ვან ნისტელროი (13-პენ), 2:2 მესი (28), 2:3 სერხიო რამოსი (72), 3:3 მესი (90)

**გაძევება:** ოლეგერი (45. ბარსელონა)

**გაფრთხილება:** 5-5; **დარტყმა:** 19(10)-13(8); **კუთხური:** 2-3; **თამაშგარე:** 2-3; **ჯარიმა:** 21-23; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 97 823

### ბეტისი-სარაგოსა 1:1

**ბეტისი:** დობლასი, ილიჩი, ხუანიტო, ნანო, ფერნანდო ვეგა, არსუ (76. კაპი), ასუნსაო, მიგელ ანხელი, კაფა (56. რობერტი), პანკრატი, დანი (46. ედუ).

**სარაგოსა:** სესარი, პიკე, გაბი მილიტო, ხუანფრანი, ჩუს ერერო, საპატერი, სელადესი, დ'ალესანდრო (86. ლაფიტა), აიმარი (60. ოსკარი), სერხიო გარსია (60. ევერტონი), დიეგო მილიტო.

**გოლები:** 0:1 დიეგო მილიტო (22), 1:1 ასუნსაო (45-პენ)

**გაძევება:** ნანო (90. ბეტისი)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 11(5)-9(3); **კუთხური:** 7-2; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 20-15; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 30 000

### სელტა-ბილბაო 1:1

**სელტა:** პინტო, იაგო, ლეკი, პლასენტე, ანხელი, პაბლო გარსია, გუსტავო ლოპესი (84. ჯონათან ვილა), კანობიო, ნუნიესი (80. ნენე), ჯონათანი, ბაიანო (74. ბამოგო).

**ბილბაო:** არანსუბია, ესპოზიტო, სარიეგი, ამორებიეტა, ხავი გონსალესი, მურილიო, დანობეიტია (46. გაბილონდო), ირაოლა, ხავი მარტინესი, იესტე, ურსაისი (60. ადურისი/88. ლორენტე).

**გოლები:** 1:0 ანხელი (35), 1:1 ადურისი (70)

**გაძევება:** პაბლო გარსია (62. სელტა)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 15(6)-8(3); **კუთხური:** 4-4; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 20-25; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 25 000

### რასინგი-ესპანიოლი 1:1

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი, რუბენი, გარაი, კრისტიანი, ვიტოლო, კოლსა (73. მომო), სკალონი, მუნიტისი, ოსკარ სერანო (73. ბალბოა), ჟიგიჩი.

**ესპანიოლი:** კამენი, ლაკრუსი, სერანი, ხარკე, ველასკო, დე ლა პენია (90+1. ტორეხონი), იტო, რიერა, კორო (78. ანხელი), ტამუდო, პანდიანი (61. ლუის გარსია).

**გოლები:** 0:1 რიერა (5), 1:1 გარაი (9-პენ)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 13(5)-5(3); **კუთხური:** 6-2; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 20-22; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 18 000

### სოსიედადი-მალიორკა 3:1

**სოსიედადი:** ბრავო, ვიქტორ ლოპესი, გარიდო, ხერარდო, მიკელ გონსალესი, გარიტანო, არანბურუ (75. ანსოტეგი), ჩაბი პრიეტო, სავიო, კოვაჩევიჩი (81. დიას დე სერიო), ერერა (64. მიკელ ალონსო).

**მალიორკა:** მოია, ვარელა, ბალესტეროსი, რამისი, დორადო (69. ხორდი), პერეირა, იბაგასა, იანკოვიჩი (68. მაქსი ლოპესი), ვიქტორი, არანგო, იონას გუტიერესი.

**გოლები:** 1:0 სავიო (26), 1:1 იბაგასა (39), 2:1 კოვაჩევიჩი (44), 3:1 ჩაბი პრიეტო (90+5)

**გაძევება:** მიკელ გონსალესი (73. სოსიედადი)

**გაფრთხილება:** 4-1; **დარტყმა:** 13(8)-18(4); **კუთხური:** 6-6; **თამაშგარე:** 9-1; **ჯარიმა:** 14-15; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 27 000

### ხეტაფე-რეკრეატივო 1:1

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კორტესი, ბელენგერი, ტენა, პარედესი, სელესტინი, კასკერო, მარიო კოტელო, ნაჩო (78. რედონდო), პაჩონი (72. ალბანი), გუისა.

**რეკრეატივო:** ლოპეს ვალიეხო, მერინო, ბეტო, მარიო, პოლი, ხესუს ვასკესი (68. ვიკეირა), ბარბერი, ხუანმა (73. ჩელი), აიტორი, როსუ (83. არსო), უჩე.

**გოლები:** 0:1 უჩე (3), 1:1 გუისა (23)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 13(3)-17(7); **კუთხური:** 8-6; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 21-13; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 16 000

### ხიმნასტიკი-სევილია 1:0

**ხიმნასტიკი:** ბისარი, კალვო, დავიდ გარსია, სესარ ნავასი, მარკო, მორალესი (72. ხუან დიასი), შაბოდი, რუბენ კასტრო (60. ირურსუნი), კუელარი, პინილია (72. კამპანიო), პორტილიო.

**სევილია:** პალოპი, დანი ალვესი, ხავი ნავარო, დრაგუტინოვიჩი, დავიდი (80. დუდა), მარტი, მარესკა (73. პოულსენი), ხესუს ნავასი, პუერტა, ლუიშ ფაბიანო (65. ჩევანტონი), კანუტე.

**გოლი:** 1:0 პორტილიო (75)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 9(4)-13(6); **კუთხური:** 7-7; **თამაშგარე:** 4-2; **ჯარიმა:** 21-16; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 20 000

### ატლეტიკო-დეპორტივო 2:0

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, ელერი, ანტონიო ლოპესი, ზე კასტრო, ლუქსენი, მანიშე, გალეტი, ვალერა (5. სეიტარიდისი), ხურადო (75. გაბი), ფერნანდო ტორესი, აგუერო (68. მისტა).

**დეპორტივო:** ავატე, ლოპო, კოლოჩინი, კაპდევილა, მანუელ პაბლო (79. ტაბორდა), სერხიო, დე გუსმანი (46. ხუან როდრიგესი), ესტოიანოფი, არისმენდი, რიკი, კრისტიანი (60. ვერდუ).

**გოლები:** 1:0 გალეტი (1), 2:0 მისტა (84)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 16(5)-15(5); **კუთხური:** 7-5; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 19-15; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 40 000

### ოსასუნა-ვალენსია 1:1

**ოსასუნა:** რიკარდო, ხავიერ ფლანიო, კრუჩაგა, ხოსეტო, კორალესი, პუნიალი, ნექუნამი, რაულ გარსია, დავიდ ლოპესი, ხუანფრანი (87. მუნიოსი), სოლდადო (59. ვებო).

**ვალენსია:** კანისარესი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, მარჩენა, კურო ტორესი (68. მიგელი), ხოაკინი, უგო ვიანა, ანგულო, ალბელდა (59. მორიენტესი), ვილია.

**გოლები:** 1:0 პუნიალი (34), 1:1 მორიენტესი (90+2)

**გაძევება:** ანგულო (79. ვალენსია)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 10(4)-12(6); **კუთხური:** 3-5; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 16-16; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 21 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 26 | 14 | 8 | 4 | 53-25 | 50 |
| 2. სევილია | 26 | 15 | 5 | 6 | 46-24 | 50 |
| 3. ვალენსია | 26 | 14 | 5 | 7 | 37-24 | 47 |
| 4. რეალი | 26 | 13 | 6 | 7 | 35-24 | 45 |
| 5. სარაგოსა | 26 | 12 | 7 | 7 | 39-27 | 43 |
| 6. ატლეტიკო | 26 | 12 | 7 | 7 | 32-22 | 43 |
| 7. რეკრეატივო | 26 | 12 | 5 | 9 | 35-31 | 41 |
| 8. ხეტაფე | 26 | 10 | 8 | 8 | 23-18 | 38 |
| 9. ესპანიოლი | 26 | 9 | 10 | 7 | 28-27 | 37 |
| 10. რასინგი | 26 | 9 | 10 | 7 | 28-30 | 37 |
| 11. ვილიარეალი | 26 | 10 | 6 | 10 | 25-31 | 36 |
| 12. დეპორტივო | 26 | 8 | 9 | 9 | 19-28 | 33 |
| 13. ოსასუნა | 26 | 9 | 4 | 13 | 31-33 | 31 |
| 14. ბეტისი | 26 | 7 | 10 | 9 | 25-29 | 31 |
| 15. მალიორკა | 25 | 8 | 5 | 12 | 25-36 | 29 |
| 16. სელტა | 26 | 6 | 9 | 11 | 27-36 | 27 |
| 17. ლევანტე | 26 | 6 | 9 | 11 | 22-36 | 27 |
| 18. ბილბაო | 26 | 6 | 8 | 12 | 27-37 | 26 |
| 19. ხიმნასტიკი | 26 | 5 | 5 | 16 | 28-48 | 20 |
| 20. სოსიედადი | 26 | 3 | 8 | 15 | 18-35 | 17 |

**ბომბარდირები:** 18 -კანუტე (სევილია); 17 - რონალდინიო (ბარსელონა), დიეგო მილიტო (სარაგოსა); 12 - ვან ნისტელროი (რეალი); 10 - მორიენტესი (ვალენსია), ვილია (ვალენსია), ტამუდო (ესპანიოლი); 9 - ბაიანო (სელტა); 7 - ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო), ლუიშ ფაბიანო (სევილია).

### II დივიზიონი

XXVIII ტური

**ელჩე-ეხიდო** 2:0

გოლები: 1:0 კასასი (25), 2:0 პერაგონი (29)

**რეალი B-ლას პალმასი** 0:3

გოლები: 0:1 მარკესი (55), 0:2 გარო (80), 0:3 მარკესი (90)

**ვესინდარიო-სპორტინგი** 0:2

გოლები: 0:1 კარანკა (35), 0:2 პედრო (69)

**მურსია-ალბასეტე** 0:1

გოლი: 0:1 კალე (65)

**კადისი-ერკულესი** 1:1

გოლები: 1:0 მ. გარსია (26), 1:1 მონტენეგრო (83)

**კასტელონი-სალამანკა** 1:2

გოლები: 0:1 ტორტოლერო (5), 1:1 ნატალიო (24), 1:2 ბრაულიო (60)

**ლორკა-ვალიადოლიდი** 0:2

გოლები: 0:1 მანჩევი (50), 0:2 ბარახა (58)

**პონფერადინა-ხერესი** 1:1

გოლები: 0:1 პრიეტო (4), 1:1 ბაა (70)

**ალმერია-ალავესი** 2:2

გოლები: 1:0 ორტისი (33), 2:0 მიჩელი (63-პენ), 2:1 ოგბეჩე (70-პენ), 2:2 ასტუდილიო (73)

**მალაგა-სიუდადი** 0:0

**ტენერიფე-ნუმანსია** 1:0

გოლი: 1:0 კრისტო (70)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალიადოლიდი | 28 | 17 | 8 | 3 | 45-21 | 59 |
| 2. ალმერია | 28 | 15 | 6 | 7 | 46-30 | 51 |
| 3. მურსია | 28 | 14 | 9 | 5 | 41-29 | 51 |
| 4. ნუმანსია | 28 | 12 | 8 | 8 | 32-25 | 44 |
| 5. კადისი | 28 | 11 | 10 | 7 | 32-28 | 43 |
| 6. ხერესი | 28 | 11 | 8 | 9 | 31-24 | 41 |
| 7. სიუდადი | 28 | 12 | 5 | 11 | 29-27 | 41 |
| 8. სალამანკა | 28 | 11 | 7 | 10 | 36-31 | 40 |
| 9. სპორტინგი | 28 | 12 | 3 | 13 | 33-28 | 39 |
| 10. ეხიდო | 28 | 10 | 9 | 9 | 33-30 | 39 |
| 11. ალბასეტე | 28 | 11 | 6 | 11 | 33-33 | 39 |
| 12. ალავესი | 28 | 10 | 9 | 9 | 33-34 | 39 |
| 13. ერკულესი | 28 | 10 | 7 | 11 | 31-31 | 37 |
| 14. ელჩე | 28 | 9 | 10 | 9 | 31-31 | 37 |
| 15. ლას პალმასი | 28 | 8 | 11 | 9 | 33-33 | 35 |
| 16. ტენერიფე | 28 | 10 | 5 | 13 | 25-33 | 35 |
| 17. რეალი B | 28 | 9 | 7 | 12 | 30-40 | 34 |
| 18. მალაგა | 28 | 8 | 9 | 11 | 28-33 | 33 |
| 19. კასტელონი | 28 | 8 | 7 | 13 | 25-31 | 31 |
| 20. პონფერადინა | 28 | 7 | 9 | 12 | 24-34 | 30 |
| 21. ლორკა | 28 | 6 | 7 | 15 | 23-38 | 25 |
| 22. ვესინდარიო | 28 | 5 | 4 | 19 | 24-54 | 19 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXV ტური

# ბაიერნი ვერდერმა შეაჩერა!

## შალკემ ისევ ვერ მოიგო, მაგრამ...



კობი და შალკე 4 ტურია ველარ იმარჯვებენ

გერმანიის პირველობა დასკვნით ფაზაში შედის, "შალკე" კი ქულას ქულაზე ანიავებს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდის გაჩემპიონება უკვე ძალიან საეჭვოა. გელზენკირხენელებს ბოლოს 4 თამაშში 12 ქულის მოპოვება შეეძლოთ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ 2 ქულა (!) აიღეს და თავი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდეს. ახლა ნახეთ, თუ რაოდენ მძიმე თამაშები ელის კობის გუნდს: მომდევნო ტურში "შტუტგარტს" მასპინძლობს, მერე კი "ბაიერნს" ესტუმრება.

კობიმ და კომპანიამ შაბათს ჰანოვერში დაკარგა 2 ქულა. მართალია, "შალკემ" ისევ შესუსტებული შემადგენლობით ითამაშა, მაგრამ გელზენკირხენულ კლუბს ამის გამო ვერ გავამართლებთ, რადგან **მირკო სლომკას** გუნდი ისევ ცუდად გამოიყურებოდა და ის, რომ საერთოდ არ დამარცხდა, მეკარე **მანუელ ნოიერის** დამსახურებაა, რომელმაც ჯერ **ფარენჰორსტის** დარტყმა მოიგერია, მერე კი **ჰუშტისაც** აულო სასწაულებრივ ნახტომში. სლომკა იძულებული გახლდათ, ძირითად შემადგენლობაში ორი ახალგაზრდა და გამოუცდელი ფეხბურთელი გაემწესებინა: მარცხენა მცველის პოზიციაზე **ბოენიში**, თავდასხმაში კი **იოზილი**, რომლებმაც თავი ვერც ვერაფრით დაგვამახსოვრეს - ისევე როგორც დანარჩენებმა (მათ შორის, კობიმაც).

ცნობილი ფაქტია, რომ სლომკა "ჰანოვერის" თავკაც **დიტერ ჰეკინგის** ახლო მეგობარია, მაგრამ მოედანზე მეგობრული არაფერი ხდებოდა. თამაში სანახაობრივი არ გამოვიდა, საგოლე მომენტებიც ძალიან ცოტა იყო, სამაგიეროდ ხშირი გახლდათ წესების დარღვევა და უხეშობები - ფეხბურთელები იბრძოდნენ, თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ სახეიროს ვერაფერს ქმნიდნენ. გელზენკირხენელები ბევრ შეცდომას უშვებდნენ და თუ ვინმეზე უნდა ვთქვათ, მოგებას იმსახურებდაო, პირველ რიგში "ჰანოვერზე", თუნდაც იმ მომენტების გამო, ზემოთ რომ ვახსენეთ. მართალია, იმ დროს ნოიერმა გუნდი იხსნა, სამაგიეროდ გაშვებული გოლის დროს დაუშვა უპატიებელი შეცდომა. "შალკემ" ანგარიში მე-2 წუთზე გახსნა (იოზილის ჯარიმას **ჰალილ ალთინთოფი** გამოეხმაურა და ბურთი **რობერტ ენკეს** კარში გადაგზავნა) და ამ გოლიდან მხოლოდ და მხოლოდ 100 წამის შემდეგ, ნოიერმა ჰუშტის მიერ ჩაწოდებული კუთხურის დროს ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და პირდაპირ **ტარნატს** დაუგდო, რომელმაც გელზენკირხენელთა ახალგაზრდა მეკარეს მადლობა გადაუხადა და წონასწორობა სწრაფადვე აღადგინა. ნოიერმა გოლი გააპროტესტა, ტარნატი წესებს არღვევდაო, მაგრამ მსაჯმა მას ყურადღება არ მიაქცია და გოლი ჩათვალა. გამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ტარნატი წესებს არ არღვევდა.

ბარემ აქვე მოგაწვდით ინფორმაციას, რომელიც გუშინ გავრცელდა: გელზენკირხენელები არმინიელი **ვეშტერმანისა** და აინტრახტელი **ჯოუნსის** შემდეგ, მომავალი სეზონისთვის კიდევ ერთ ტრანსფერს გეგმავენ: მათ "დეპორტივოს" მარცხენა მცველის, **ხუან კაპდევილას** (ლაკორუნიულ კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება) უფასოდ გადაბირება სურთ.

ერთადერთი, რაც გელზენკირხენელ გულშემატკივრებს ასეთ მძიმე პერიოდში უხარიათ, "შალკეს" მოსისხლე მტრის, დორტმუნდის "ბორუსიის" კრიზისია. თუმცა ამას უკვე კრიზისიც აღარ ეთქმის: BVB უბრალოდ კატასტროფულ მდგომარეობაშია. შაბათს დორტმუნდელთათვის ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა დაიწყო. ეს იმიტომ, რომ ვესტფალიელები ძალიან მიუახლოვდნენ გასავარდნ ზონას. მაგრამ "ბორუსიამ" ბოლო 8 მატჩიდან მე-6 წააგო (ბოხუმში 0:2) და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, შავ-ყვითლები მომავალ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში ვიხილოთ. დორტმუნდელთა მწვრთნელმა **იურგენ რიობერმა** უკვე ყველაფერი ცადა, მაგრამ ფაქტია, რომ არაფერი გამოსდის. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ რიობერის საქმე გათავებულია და რომ არა ერთი პრობლემა, BVB-ს შეფები მას ახლავე დაიფრენდნენ. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ რიობერის სავარაუდო შემცვლელ **თომას ფონ ჰეეზენს** დორტმუნდში მუშაობის დაწყება მხოლოდ და მხოლოდ ზაფხულიდან უნდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სპეციალისტი უმუშევარია ("არმინიიდან" გააგდეს).

თუ როგორ უნდა მოიპოვოს ელიტაში დარჩენისთვის მებრძოლმა გუნდმა ქულები, ძალიან კარგად აჩვენა "ბოხუმმა" და მისმა გოლეადორმა **თეოფანის გეკასმა**, რომელმაც BVB-ს დუბლი შეუსრულა და ახლა უკვე 12 გოლი აქვს გატანილი (ბერძენი საუკეთესო ბომბარდირთა მარაქაშიც გაერია). "პანათინაიკოსიდან" არენდით აყვანილმა თავდამსხმელმა ორი ერთმანეთზე უკეთესი გოლი გაიტანა და ჩვეულებისამებრ იცეკვა ტრადიციული სირტაკი. 48-ე წუთზე მან შეტევა საკუთარი ნახევრიდან წამოიწყო, **მიშიმოვიჩთან** ჩინებული კომბინაცია გაითამაშა, მერე კი სისწრაფე აკრიფა, რის შედეგადაც "ბორუსიის" მცველები **ფილიპ დეგენი** და **კრისტოფ მეტცელდერი** უკან მოიტოვა. 40 მეტრიანი სპურტის შემდეგ გეკასმა **ვაიდენფელერს** 12 მეტრიდან დაურტყა და ამ უკანასკნელს ბურთის მოგერიების შანსი არ დაუტოვა. 83-ე წუთზე კი, ისევ მიშიმოვჩის პასით იხეირა და ამჯერადაც დაჯაბნა მეტცელდერი (კრისტოფმა ისევ დააგვიანა), რომელიც "რეალთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს. "ბორუსიამ" მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთი დასამახსოვრებელი მომენტი შექმნა: 59-ე წუთზე **ნელსონ ვალდესმა** ბურთი ძელს მოარტყა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს უკვე 20 თამაშია, გოლი არ გაუტანია, არადა თავდამსხმელი გახლავთ. მატჩის შემდეგ BVB-ს 200-მდე ფანმა გუნდის ავტობუსი ალყაში მოაქცია და ფეხბურთელები იძულებულები გახდნენ, განრისხებულ გულშემატკივრებთან პირისპირ ესაუბრათ...

"შტუტგარტმა" ვერაფერი გააწყო "ვოლფსბურგის" წინააღმდეგ (0:0), თუმცა შვაბებისთვის ორი ქულის დაკარგვაზე უფრო მტკივნეული ის გახლავთ, რომ მათმა გოლეადორმა **მარიო გომესმა** საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და 6 კვირიანი შვებულება გამოიწერა. "მაინცი" მეორე წრის საუკეთესო გუნდად რჩება - **იურგენ კლოპის** შეგირდებმა ამჯერად "არმინიას" მოუგეს მინიმალური სხვაობით. ერთადერთი გოლი **ლეონ ანდრეასენმა** პენალტით გაიტანა. ბოლოადგილოსანმა "გლადბახმა," როგორც იქნა, გამარჯვების გემო გაიხსენა და არც მეტი, არც ნაკლები, ბერლინის "ჰერტას" მოუგო (3:1). აღსანიშნავია, რომ დედაქალაქელებს სამიდან ორი გოლი "ჰერტას" ექსფორვარდმა **ნანდო რაფაელმა** გაუტანა.

"შალკეს" იღბლიანობაზე საუბარი ცოტა არ იყოს, სასაცილოც კია, მაგრამ მაინც: ბედი ჰქონია გელზენკირხენულ კლუბს, რადგან გუშინ ბუნდესლიგის კლასიკური დაპირისპირება "ბაიერნსა" და "ვერდერს" შორის ფრედ, 1:1 დასრულდა. "რეალის" დამარცხების შემდეგ ბევრი მოელოდა, რომ ბავარიელები "ვერდერსაც" გაამწარებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ **ოტმარ ჰიტცფელდის** შეგირდებმა ისევ ძალიან კარგადაც ითამაშეს. ბრემენელებს კი გაუმართლათ, მიუნხენიდან ქულის წაღება რომ შეძლეს.

ჰიტცფელდმა სასტარტო შემადგენლობაში **როი მაკაის** ნაცვლად **კლაუდიო პისარო** ათამაშა, "მუსიკოსებს" კი **მიროსლავ კლოზე** არ ჰყავდათ, რადგან ეს უკანასკნელი ისევ ზურგმა შეაწუხა - მიროს თამაში უკანასკნელ მომენტში გამოირიცხა. ბავარიელები მე-7 წუთზე დაწინაურდნენ - **შვაინშტაიგერმა** მარცხენა ფლანგიდან ჩინებული პასი მისცა **ვან ბომელს**, რომელმაც თავის მხრივ ასევე მახვილგონივრულად იმოქმედა და მოძებნა **პოდოლსკი**, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალი გახლდათ. პოლდის ისღა დარჩენოდა, რომ ბურთი კარში გადაეგზავნა, რაც უპრობლემოდ გააკეთა. პირველი ტაიმით თუ ვიმსჯელებთ, "ვერდერს" ანგარიშის გათანაბრების შანსი არ უნდა ჰქონოდა - პოლდის გოლის შემდეგ თუ ვინმეს უნდა ეხეირა, პირველ რიგში ისევ "ბაიერნს". 21-ე წუთზე შვაინშტაიგერის თავური დარტყმა (ახლო მანძილიდან) **ტიმ ვიზეს** კარის ძელს მოხვდა. ზუსტად 7 წუთის შემდეგ კი შვაინიმ ჯარიმა შეასრულა და შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით ხარიხა შეაზანზარა.

ბრემენელები მეორე ტაიმში გამოსწორდნენ და უფრო თავისუფლად შეუტიეს, თუმცა არც რეკორდმაისტერმა მოუკლო და შესაბამისად უფრო საინტერესო თამაში გაჩაღდა. 66-ე წუთზე კი ანგარიშიც გათანაბრდა: **ფრინგსის** გრძელი პასის შემდეგ **უგო ალმეიდამ** **ვან ბუიტენსა** და **ლუსიოს** დაასწრო და **კანს** თავზე გადაუგდო ბურთი, რომელსაც ზედ კარის ხაზთან შეცვლაზე შესულმა **მარკუს როზენბერგმა** მიასწრო და თავი შეუშვირა - 1:1. მიუნხენელებს წინ გასვლის შანსი 71-ე წუთზე მიეცათ, როცა მაკაის პასის შემდეგ **სალიჰამიჯიჩმა** ფრინგსი გააცურა, მაგრამ ვიზესთან პირისპირ დარჩენილმა კარს მცირე მანძილით ააცილა. შემდეგ იყო ლუსიოს გარღვევა, რომლის შემდეგაც პოდოლსკის მიეცა დუბლის შესრულების შანსი, მაგრამ ვერ ივარგა. საბოლოოდ კი ფრე, რაც "შალკეს" წისქვილზე ასხამს წყალს - გელზენკირხენელები "მუსიკოსებს" ისევ 3 ქულით უსწრებენ, რეკორდმაისტერს კი 6 ქულით.

გუშინვე "ჰამბურგმა" ოთხმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა და საკუთარ მოედანზე "ლევერკუზენთან" ნულოვან ფრეს დასჯერდა. არადა, HSV-მ ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ ისევ საუკეთესო იყო "ფარმაცევტების" მეკარე **რენე ადლერი**, რომელმაც არაერთი მკვდარი ბურთის მოგერიების გარდა, **რაფაელ ვან დერ ვაარტს** პენალტიც აულო...

### მომდევნო ტური

16 მარტი. ჰერტა-კოტბუსი. 17 მარტი. ჰანოვერი-ჰამბურგი, აინტრახტი-ბაიერნი, ბორუსია (დ)-ნიურნბერგი, ვოლფსბურგი-ბოხუმი, შალკე-შტუტგარტი, ალემანია-არმინია. 18 მარტი. ვერდერი-მაინცი, ლევერკუზენი-ბორუსია (მ).

### ნიურნბერგი-აინტრახტი 2:2

**ნიურნბერგი:** შეფერი-3.5, დ. რაინჰარდტი-4, ვოლფი-2.5, ბოშამი-3.5, პინოლა-3, გალაშეკი-4, ბანოვიჩი-4.5 (46. ენგელჰარდტი-3), გრეშკო-4 (65. სიბონი-3), პოლაკი-3.5 (78. პაგენბურგი), ვიტეკი-3.5, საენკო-3.

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-4.5, ოხსი-3, კირიაკოსი-2.5, რუსი-4, შპიხერი-4, შტრაიტი-3.5 (68. ჰუგელი-4), ა. მაიერი-3, ფინკი-4, პროისი-2.5, თურკი-4.5 (88. კრისი), ტაკაჰარა-3.5.

**გოლები:** 0:1 კირიაკოსი (26), 0:2 ტაკაჰარა (69), 1:2 შპიხერი (81-საკ. კარში), 2:2 ვიტეკი (87).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 20-4; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 12-20; **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 44 055.

### ბორუსია(მ)-ჰერტა 3:1

**ბორუსია (მ):** კელერი-2.5, ბიოგელუნდი-4, გოჰური-4, ზე ანტონიო-4, იანსენი-4 (79. კომპერი), დ. დეგენი-3.5 (63. სფერდი-4), ელ ფაკირი-4.5, კლუგე-2, დელურა-3, ინსუა-3.5 (79. სვენსონი), რაფაელი-2.

**ჰერტა:** ფიდლერი-4, ჯ. ბოატენგი-4, ა. ფრიდრიხი-4, ვან ბურიკი-4, ჟილბერტო-4, მინეირო-4 (85. შმიდტი), დარდაი-4, ებერტი-3.5 (63. ბაშთურქი-4.5), დეიაგა-3.5, ედე-3 (74. კ. ბოატენგი), ხიმენესი-2.5.

**გოლები:** 1:0 რაფაელი (32), 1:1 ხიმენესი (56), 2:1 რაფაელი (69), 3:1 დელურა (86).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 18-19; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 22-13; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 40 518.

### ბოხუმი-ბორუსია (დ) 2:0

**ბოხუმი:** დრობნი-3, შრიოდერი-3, მალტრიტცი-3.5, იაია-3.5, მაიხელბეკი-2.5, ცდებელი-3.5, ბეხმანი-2.5 (65. ფაბიო ჟუნიორი-3.5), მიშიმოვიჩი-2, გროტე-3 (76. დრშეკი), ეპალე-3.5 (68. ილიჩევიჩი-4.5), გეკასი-1.5.

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3, ფ. დეგენი-5.5, ვიორნსი-5, კ. მეტცელდერი-5.5, კრინგე-4.5 (76. ფრაი), ტინგა-5, ამედიკი-3.5, კელი-5 (65. საკა-3), დედე-3.5, სმოლიარეკი-5, ვალდესი-4.

**გოლები:** 1:0 გეკასი (47), 2:0 გეკასი (83).

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 16-16; **კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 16-16; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 31 278.

### ჰანოვერი-შალკე 1:1

**ჰანოვერი:** ენკე-3, ჩერუნდოლო-3.5, ფარენჰორსტი-3.5, ვინიციუსი-3, ტარნატი-3, ბალიტში-3, ლალა-4, როზენტალი-3.5 (90. ბრუგინკი), იანკოვი-4.5 (46. შრიოტერი-4), ჰუშტი-3, თორვალდსონი-4 (72. შტაინერი).

**შალკე:** ნოიერი-4, რაფინია-3.5, ბორდონი-2.5, კრსტაიჩი-3, ბოენიში-3, ბაირამოვიჩი-4 (75. ჰამით ალთინთოპი), ფ. ერნსტი-4, კობიაშვილი-4.5, ჰალილ ალთინთოპი-3.5, კურანი-4.5 (81. ლარსენი), იოზილი-3.

**გოლები:** 0:1 ჰალილ ალთინთოპი (2), 1:1 ტარნატი (4).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 15-12; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 22-15; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 44 000.

### მაინცი-არმინია 1:0

**მაინცი:** ვახე-3.5, დემირტასი-4, მ. ფრიდრიხი-3, ნოვესკი-2.5, როზე-3.5, გერბერი-4, ანდრეასენი-2, აზაუაგი-4, ფოილნერი-3.5 (78. პეკოვიჩი), ზიდანი-3 (84. ნიკულაე), რუმანი-3 (80. იოვანოვიჩი).

**არმინია:** ციგლერი-3, კორზინიტცი-4, ბოლმანი-4, გაბრიელი-3 (24. შულერი-4), ვეშტერმანი-4.5, დანებერგი-5 (54. კამპერი-3.5), კაუფი-4.5, კუჩერა-4 (66. ნდიენგი-4), ბიომე-4, ვატა-4.5, ვიხნიარეკი-5.

**გოლი:** 1:0 ანდრეასენი (51-პენ).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 13-9; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 23-16; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 20 200.

### კოტბუსი-ალემანია 0:2

**კოტბუსი:** პიპლიცა-2, და სილვა-4.5 (58. რივიჩი-4), მაკენა-4, კუკიელკა-3, კვიტანოვიჩი-4, ტ. როსტი-4 (80. სკელა), ბაუმგარტი-4, შაო-4.5 (80. გუნკელი), მუნტეანუ-3.5, კიოიო-3.5, რადუ-3.

**ალემანია:** შტრაუბი-2.5, შტელე-3.5, კლიტცპერა-3.5, ჰერციგი-3, ლეივაკაბესი-3.5, მ. ლემანი-3.5, რეგეკამპფი-3, რიოსლერი-2.5, ფილი (13. დუმი-4), შლაუდრაფი-2.5, იბიშევიჩი-4 (62. პინტუ-3).

**გოლები:** 0:1 რიოსლერი (28), 0:2 პინტუ (92).

37-ე წუთზე შლაუდრაფმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე).

**გაძევება:** დუმი (38. ალემანია).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 19-11; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 19-15; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 15 200.

### შტუტგარტი-ვოლფსბურგი 0:0

**შტუტგარტი:** ლანგერი-2.5, ოსორიო-3, ტასკი-4 (77. ბოკა), დელპიერი-2.5, მანინი-3.5, პარდო-3, ჰილბერტი-4, ჰიტცლშპერგერი-3.5, ხედირა-5 (63. ბიროფკა-3.5), კაკაუ-3.5, გომესი-4.5 (45. ლაუთი-4.5).

**ვოლფსბურგი:** იენტცში-3, კიროგა-3, მადლუნგი-3, ჰოფლანდი-3, ვან დერ ჰეიდენი-3.5, მაკიადი-4.5 (82. მენსეგესი), სანტანა-3.5 (57. შარპეი-3.5), ვან დერ ლეეგტე-3.5, კრჟინოვეკი-4.5, მარსელინიო-3.5 (91. ბოაკი), კლიმოვიჩი-4.

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 16-8; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 16-18; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 44 000.

### ბაიერნი-ვერდერი 1:1

**ბაიერნი:** კანი-3.5, სანიოლი-3, ლუსიო-1.5, ვან ბუიტენი-3.5 (73. დემიკელისი), ლამი-2.5, სალიჰამიჯიჩი-2.5, ვან ბომელი-2.5, ჰარგრივსი-3, შვაინშტაიგერი-1.5 (82. სანტა კრუსი), პისარო-3.5 (46. მაკაი-3), პოდოლსკი-2.5.

**ვერდერი:** ვიზე-2, ფრიტცი-4, ნალდო-4, მერტეზაკერი-4, ვომე-3.5, ფრინგსი-3, დ. იენსენი-4 (46. შულცი-3.5), ერანიეში-5 (61. როზენბერგი-2), დიეგო-4, უგო ალმეიდა-3 (80. ოვომოიელა), ჰანტი-5.

**გოლები:** 1:0 პოდოლსკი (7), 1:1 როზენბერგი (66).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 19-11; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 17-26; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 69 000.

### ჰამბურგი-ლევერკუზენი 0:0

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-2, ბენჯამინი-3.5, ბ. რაინჰარდტი-3.5, მატიისენი-3, ატუბა-3.5, ვიკი-3.5, დე იონგი-4, მაჰდავიკია-3.5 (80. ტროხოვსკი), ლაასი-2 (75. სანოგო), ვან დერ ვაარტი-3.5, ოლიჩი-4 (83. ბენ ჰატირა).

**ლევერკუზენი:** ადლერი-1.5, კასტრო-3.5, ჰაგი-3, ჟუანი-3.5, ბაბიჩი-3, შნაიდერი-3, როლფესი-3.5, ფრაიერი-3.5 (72. ვორონინი), ბარბარესი-3.5, ბარნეტა-3 (88. შვეგლერი), კისლინგი-4.

71-ე წუთზე ვან დერ ვაარტმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 10-15; **კუთხური:** 12-10; **ჯარიმა:** 10-18; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 55 000.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 25 | 15 | 5 | 5 | 41-25 | 50 |
| 2. ვერდერი | 25 | 14 | 5 | 6 | 59-33 | 47 |
| 3. შტუტგარტი | 25 | 13 | 7 | 5 | 42-29 | 46 |
| 4. ბაიერნი | 25 | 13 | 5 | 7 | 39-30 | 44 |
| 5. ნიურნბერგი | 25 | 8 | 13 | 4 | 36-24 | 37 |
| 6. ლევერკუზენი | 25 | 10 | 6 | 9 | 39-35 | 36 |
| 7. ჰანოვერი | 25 | 9 | 7 | 9 | 33-37 | 34 |
| 8. ჰერტა | 25 | 9 | 7 | 9 | 36-41 | 34 |
| 9. ალემანია | 25 | 8 | 6 | 11 | 39-45 | 30 |
| 10. მაინცი | 25 | 7 | 9 | 9 | 23-35 | 30 |
| 11. ვოლფსბურგი | 25 | 6 | 11 | 8 | 24-28 | 29 |
| 12. ჰამბურგი | 25 | 5 | 13 | 7 | 29-27 | 28 |
| 13. ბორუსია (დ) | 25 | 7 | 7 | 11 | 29-37 | 28 |
| 14. კოტბუსი | 25 | 7 | 7 | 11 | 28-36 | 28 |
| 15. ბოხუმი | 25 | 7 | 6 | 12 | 29-39 | 27 |
| 16. აინტრახტი | 25 | 5 | 12 | 8 | 32-44 | 27 |
| 17. არმინია | 25 | 6 | 8 | 11 | 31-34 | 26 |
| 18. ბორუსია (მ) | 25 | 6 | 6 | 13 | 21-31 | 24 |

**ბომბარდირები:** 13 - გომესი (შტუტგარტი); 12 - მაკაი (ბაიერნი), გეკასი (ბოხუმი); 11 - ფრაი (ბორუსია დ), კურანი (შალკე), კლოზე (ვერდერი), პანტელიჩი (ჰერტა); 10 - ტაკაჰარა (აინტრახტი); 9 - დიეგო (ვერდერი), რადუ (კოტბუსი), მუნტეანუ (კოტბუსი), საენკო (ნიურნბერგი).

### II ბუნდესლიგა

XXV ტური

**აუგსბურგი-კობლენცი 2:0**

გოლები: 1:0 ჰდიუადი (54-პენ), 2:0 ჰაასი (79)

**ბრაუნშვაიგი-აუე 1:0**

გოლი: 1:0 ატემი (50)

**ბურგჰაუზენი-ფრაიბურგი 2:2**

ჰარტლპული-ლინკოლნი 1:1; რექსჰემი-ბერი 1:1; ბარნეტი-სტოკპორტი 3:1; ბოსტონი-როვერსი 2:1; ჰერეფორდი-გრიმსბი 0:1; მაკლსფილდი-შრიუსბერი 2:2; ნოტსი-მენსფილდი 0:0; პიტერბრო-მილტონი 4:0; როჩდეილი-დარლინგტონი 0:0; სუინდონი-აკრინგტონი 2:0; ტორკი-უიკომბი 3:0; უოლსოლი-ჩესტერი 1:0.

### კონფერენსი

XXXVII ტური

ალდერშოტი-იორკი 0:2; ბარტონი-უოკინგი 2:1; ჰალიფაქსი-ექსეტერი 2:1; მორეკამბი-ქროული 1:0; ოქსფორდი-ფორესტ გრინი 0:2; სტ. ალბანსი-საუთპორტი 2:2; სტეფორდი-ტამუორტი 0:4; უეიმაუთი-ალტრინჩემი 1:2; ბარტონი-ფორესტ გრინი დღეს.

## სლოვაკეთი

### ფინალური ზონა

II ტური

| | |
|---|---|
| ნიტრა-შენიცა | 1:1 |
| სლოვანი-ბისტრიცა | 1:0 |
| ჟილინა-კოშიცე | 2:0 |
| რუჟომბეროკი-არტმედია | 0:2 |

### გასავარდნი ზონა

II ტური

| | |
|---|---|
| ტრენჩინი-სობოტა | 1:0 |
| დუსლო-ინტერი | 0:0 |
| მოჩენოკი-დუბნიცა | 1:1 |
| მორავცე-ტრნავა | 0:1 |

## ირლანდია

I ტური

| | |
|---|---|
| დერი-ბრეი | 1:0 |
| გალვეი-სლიგო | 0:2 |
| დუბლინი-შემროკი | 0:0 |
| უოტერფორდი-კორკი | 1:0 |
| ბოჰემიანსი-დროგედა | 0:0 |
| ლონგფორდი-სტ. პატსი | 1:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი

# ახალი ჩემპიონი გვეყოლება!

ამ უქმეებზე საქართველოს ქალთა ჩემპიონატზე მერვე და მეცხრე ტურის პარტიები გათამაშდა და მართალია, ჯერაც ბევრი რამ არ გარკვეულა, იმის თქმა კი ნამდვილად შეიძლება, რომ ქალებს ახალი ჩემპიონი ეყოლებათ.

ბოლო ოთხი წლის შემდეგ, როცა ოქროს მედლები წყვილ-წყვილად **ნანა ძაგნიძემ** და **ნინო ხურციძემ** მოიპოვეს, ამჯერად საუკეთესო ან **სოფიკო ხუხაშვილი** იქნება, ან **სოფიო გვეტაძე**, ანაც **ლელა ჯავახიშვილი**. არცერთი მათგანი აქამდე ჩემპიონი არ ყოფილა.

სულ მცირე შანსი აქვს **მაია ლომინეიშვილსაც**, ხოლო მთლად თეორიული - ძაგნიძესა და ხურციძეს. ორივემ დარჩენილი ორი პარტია უნდა მოიგოს და მეტოქეებმაც ზუსტად ისე უნდა ითამაშონ, როგორც მათ აწყობთ, ამის შემდეგ კი უპირატესობით დადგენილ გადათამაშებაში მოხვდნენ...

როგორც ვთქვი, შანსები მიზერულია, თუმცა ჩვენი მსჯელობა კონკრეტულ გაანგარიშებას ეფუძნება. იმავეში დასარწმუნებლად მკითხველს შევთავაზებთ ცხრილსა და ბოლო ორი ტურის განრიგს.

იქამდე კი მოგახსენებთ, როგორ დასრულდა შაბათსა და კვირას მერვე და მეცხრე ტურები.



ლელა ჯავახიშვილი

შაბათს მაია ლომინეიშვილმა თეთრებით **მირანდა მიქაძეს** ვერ მოუგო, ყაიმით ითამაშა. როგორც ჩანს, მაია კაზუსური ქულათა კარგვისგან მიღებული შოკისგან ბოლომდე ვერ გამოერკვა და კვლავ დაკარგა ძვირფასი ნახევარი ქულა, ის კი არადა ვიდრე ყიმზე შეთანხმდებოდნენ, მიქაძეს უპირატესობა ჰქონდა, მალე პაიკსაც მოიგებდა, თუმც საბოლოო გამარჯვებაზე საუბარი რთული იქნებოდა, უკეთეს პოზიციას კი მიიღებდა. თუმცა, სრულიად მოულოდნელად, მირანდამ თავად შესთავაზა მაიას ყაიმი და ეს უკანასკნელიც უმალ დათანხმდა. მიქაძე საკმაოდ კარგი მოჭადრაკეა და ამ ჩემპიონატშიც კარგად თამაშობს, მაგრამ აშკარად უფრთხის ავტორიტეტებს და ბრძოლის გაგრძელებისა ეშინია, - მას სხვებთანაც შეეძლო უკეთ თამაში, მაგრამ თავი აარიდა ბრძოლას. იმედია, მირანდა უფრო შეუპოვარი და თამამი იქნება მომავალში და უკან აღარ დაიხევს. ამის მაგალითი მეცხრე ტურშივე მოგვცა, როცა ძალიან საინტერესო დაპირისპირებაში თანაქალაქელ და ლიდერთა ზონაში მყოფ **ნინო ბაციაშვილს** ლამაზად მოუგო.

ლომინეიშვილმა ვერც კვირას შეძლო გამარჯვება და კვლავ უარესი პოზიციის გადარჩენა მოუწია, - ზედიზედ ორი მარცხის და ჩემპიონობაზე ხელის ჩაქნევის შემდეგ განბილებულ, მაგრამ საკმაოდ მოტივირებულ **ინგა ჭარხალაშვილთან** შავებით ნახევარი ქულის მოპოვება შეძლო. ჭარხალაშვილმა, იცით, მეშვიდე ტურში ხუხაშვილთან წააგო თეთრებით, მერვეში კი შავებით დამარცხდა აუტსაიდერ **თამარ წერეთელთან**.

ტურნირის ნამდვილი აღმოჩენაა ხუხაშვილის თამაში. სოფო 22 წლისაა და აქამდეც კარგ მოჭადრაკედ ითვლებოდა, მაგრამ მის ჩემპიონობაზე არავინ ფიქრობდა, ამას ჩვენი წინასატურნირო გამოკითხვაც მოწმობდა. არადა, ხუხაშვილი ბოლო 2 ტურის წინ 6.5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს და თუკი დღეს შავებით ლომინეიშვილის შეტევებსაც გაუძლო, მის ჩემპიონობაზე ფსონს აუცილებლად ჩავიდოდი. სოფომ შაბათს ძალიან დრამატულ პაექრობაში შავებით აჯობა **ნანა ძაგნიძეს**.

სიმართლე ითქვას, ძაგნიძეს შუა თამაშში გამარჯვება მართებდა - დიდი შეხლა-შემოხლისა და ტაქტიკური დარტყმების შემდეგ, სადაც ფიგურის შეწირვაც იყო და დაბრუნებაც (ხუხაშვილმა შესწირა კუ და ძაგნიძემ რამდენიმე სვლაში დააბრუნა), თეთრების უპირატესობა გამოიკვეთა - ნანას სამი ზედმეტი პაიკი დარჩა. თუმცა პოზიცია ისეთი იყო, ძაგნიძესაც მართებდა ყურადღება - მეტოქეს კონტშეტევის საშუალებები ჰქონდა და ასეც მოხდა. ნანამ ნაჩქარევი სვლა გააკეთა და სამი ზედმეტი პაიკიდან და მოსაგები პოზიციიდან აღარაფერი დარჩა - ხუხაშვილმა მორიგი ქულა ჩაიწერა.

კვირას სოფიკომ უკვე ყოველგვარი გართულების გარეშე აჯობა თამარ წერეთელს და რადგანაც სოფიო გვეტაძემ ძაგნიძეს ვერ მოუგო (ყაიმი) ნახევარი ქულით გაასწრო უახლოეს მდევრებს.

მდევრები კი გვეტაძე და ჯავახიშვილი არიან. გვეტაძის თამაშიც ყურადსაღებია ტურნირზე და ამიტომაც არის ლიდერთა შორის. მერვე ტურში **მაკა ფურცელაძეს** შავებით მოუგო, თუმც დებიუტში უპირატესობას თეთრები ფლობდნენ. მეცხრეში კი, როგორც უკვე ვთქვით, ძაგნიძეს თეთრებით შეხვდა და დაუზავდა.

ჯავახიშვილის ლიდერობა გასაკვირი არავისთვისაა, თუმცა ლელას სტარტი ჩაუვარდა და ტურნირის შუაწელში მოახერხა დანაკარგის ანაზღაურება. მას გვეტაძის მსგავსად 6 ქულა აქვს და დღეს სწორედ სოფიოს ხვდება შავებით. ვინც ამ წყვილში გაიმარჯვებს, დიდწილად გადაწყვეტს საქართველოს ნაკრებში მოხვედრის პრობლემას, ყაიმის შემთხვევაში კი ყველაფერს ბოლო ტური გადაწყვეტს. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებში ჩემპიონი და მეორეადგილოსანი ხვდებიან, შანსი უჩნდება მესამეზე გასულსაც - ის იმ შემთხვევაში შეავსებს ნაკრების შემადგენლობას, თუკი დრეზდენის ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე, რომელიც სამიოდ კვირაში დაიწყება, რომელიმე ქართველი ხუთეულში არ მოხვდება. ალბათ მიხვდით, რომ დრეზდენში ხუთეულში გასვლაც ნაკრებში მოხვედრის გარანტიაა.

სრულიად მოულოდნელია აწ უკვე ექსჩემპიონის, **ნინო ხურციძის** ცუდი თამაში. ნინოს მხოლოდ 4.5 ქულა აქვს და ალბათ მესამე ადგილისთვისღა თუ იბრძოლებს. რა არის ჩავარდნის მიზეზი, რთული სათქმელია, თუმცა ერთი რამ უნდა აღინიშნოს - მონაწილენი ჯანმრთელობას უჩივიან და ხურციძეც ვერ გრძნობს თავს კარგად. სხვათა შორის, ასეთივე მდგომარეობაში არიან მაკა ფურცელაძე (ორი კვირის წინ საშუალო სიმძიმის ტვინის შერყევა მიიღო) და მაია ლომინეიშვილი (ერთი თვის წინ ავტოავარიაში მოხვდა და მცირე ოპერაციაც დასჭირდა, ახლა კი გრიპი აწუხებს). ცუდად გრძნობს თავს ლელა ჯავახიშვილიც, რომელსაც ასევე გრიპი უქმნის დისკომფორტს.

დაბოლოს, **მირანდა მიქაძემ** ნინო ბაციაშვილის დამარცხებით 4 ქულა დააგროვა, რაც საერთაშორისო ოსტატის ბალის შესრულებას უდრის. მირანდას ქალთა დიდოსტატობის ბალის მოპოვების შანსიც გააჩნია, - ორივე შეხვედრას თუ მოიგებს, 6 ქულა სრულიად საკმარისი იქნება. დიდოსტატის ნორმის შესრულებამდე ქულანახევარი უკლია ნინო ბაციაშვილს, სოფიკო ხუხაშვილს კი კაცთა საერთაშორისო ოსტატის ნორმამდე ნახევარი ქულა აშორებს. ამ ნორმის შესრულება შეუძლია სოფიო გვეტაძესაც - მიზნამდე ერთი ქულის მოხვეჭაა საჭირო.

**ზვიად შათირიშვილი**

მერვე ტური: ლომინეიშვილი-მიქაძე 0.5:0.5; ბაციაშვილი-ხურციძე 0.5:0.5; მელია-ჯავახიშვილი 0:1; ფურცელაძე-გვეტაძე 0:1; წერეთელი-ჭარხალაშვილი 1:0; ძაგნიძე-ხუხაშვილი 0:1

მეცხრე ტური: ჭარხალაშვილი-ლომინეიშვილი 0.5:0.5; მიქაძე-ბაციაშვილი 1:0; ხურციძე-მელია 1:0; ჯავახიშვილი-ფურცელაძე 1:0; გვეტაძე-ძაგნიძე 0.5:0.5; ხუხაშვილი-წერეთელი 1:0.

| | |
|---|---|
| სოფიკო ხუხაშვილი | - 6.5 |
| ლელა ჯავახიშვილი | - 6.0 |
| სოფიო გვეტაძე | - 6.0 |
| მაია ლომინეიშვილი | - 5.0 |
| ინგა ჭარხალაშვილი | - 4.5 |
| ნანა ძაგნიძე | - 4.5 |
| ნინო ხურციძე | - 4.5 |
| ნინო ბაციაშვილი | - 4.5 |
| მირანდა მიქაძე | - 4.0 |
| თამარ წერეთელი | - 3.5 |
| სალომე მელია | - 2.5 |
| მაკა ფურცელაძე | - 2.5 |

მეათე ტურში: ლომინეიშვილი-ხუხაშვილი; ბაციაშვილი-ჭარხალაშვილი; მელია-მიქაძე; ფურცელაძე-ხურციძე; გვეტაძე-ჯავახიშვილი; ძაგნიძე-წერეთელი

ბოლო ტურში: წერეთელი-ლომინეიშვილი; ხუხაშვილი-ბაციაშვილი; ჭარხალაშვილი-მელია; მიქაძე-ფურცელაძე; ხურციძე-გვეტაძე; ჯავახიშვილი-ძაგნიძე

## ჩოგბურთი



ლადო ჩიხლაძე ფინალის შემდეგ

# ზედიზედ მეორე ტიტული

ზედიზედ მეორე კვირაა, **ლადო ჩიხლაძე** საერთაშორისო ტურნირს იგებს. შვეიცარიაში ლოიგერნის ტურნირში (10 ათასი დოლარი) გამარჯვების შემდეგ, ჩვენმა თანამემამულემ ასეთივე საპრიზო ფონდის "რეიფაიზენ ტროფი" მოიგო, რომელიც ჯუჯა-სახელმწიფო ლიხტენშტაინის დედაქალაქ ვადუცში გაიმართა. 21 წლის ჩიხლაძემ კარიერაში მეოთხე ტიტული მოიგო: პირველად მან 2005 წლის თებერვალში ავსტრიაში იმარჯვა, შარშან ივნისში ლადომ რუმინეთში იყოჩაღა, წლეულს კი ზედიზედ ორ ტიტულს ალპებში დაეუფლა.

"რეიფაიზენ ტროფის" ნახევარფინალში ჩიხლაძემ მე-8 ნომრად განთესილი **იან მინარი** (493) დაამარცხა - 6:3, 4:6, 6:4. ფინალში მისი მეტოქე, როგორც ერთი კვირის წინ ლოიგერნში, შვეიცარიელი **სვენ სვინენი** იყო. ეს ამ ჩოგბურთელთა მეოთხე შეხვედრა იყო, ლადომ კვლავ იმარჯვა - 4:6, 7:6 (1), 6:4.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კალაშნიკოვას ფინალი

ძალიან კარგად იასპარეზა მისთვის წლის პირველ ტურნირზე ქართული ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა, 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ**. ოქსანა უთამაშებლობამ 18-წლამდელთა მსოფლიო კლასიფიკაციაში 41-ე ადგილამდე დახია, თუმცა ლუქსემბურგის ღია პირველობის დასრულების შემდეგ ის შესამჩნევად წაიწევს წინ. ლუქსემბრგის ღია ახალგაზრდული პირველობა მე-2 კატეგორიის ტურნირია. კალაშნიკოვა ორგანიზატორებმა მე-2 ნომრად განთესეს. ეშში ოქსანა კალაშნიკოვამ ოთხი მატჩი ზედიზედ ისე მოიგო სეტი არ დაუთმია. ბოლოს მან ნახევარფინალში ძალიან იოლად მე-5 ნომრად განთესილი შვედი **სანდრა რომა** დაამარცხა - 6:3, 6:2. ოქსანა ფინალში გავიდა, სადაც მას პოლონელი **კატარჟინა პიტერი** შეხვდა (მე-4 ნომერი, 49-ე ჩოგანი). თანატოლთა ფინალი, სამწუხაროდ, პიტერის გამარჯვებით დასრულდა - 6:2, 4:6, 4:6.

## ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# არ ვიცოდითო?!

სამთვიანი პაუზის შემდეგ, 15 მარტს განახლდება ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. როგორც იცით, ჩემპიონატი შარშან, დეკემბრის პირველ რიცხვებში შეწყდა ეროვნული ნაკრების ინტერესების გამო და მაშინვე ითქვა, რომ შეჯიბრება გაზაფხულზე განახლდებოდა.

პარასკევს, საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ ჩემპიონატში მონაწილე კლუბების ხელმძღვანელობა შეკრიბა და კალენდარი გააცნო. სამწუხაროდ, გაუგებრობებსა და აზრთა სხვადასხვაობას კვლავ ვერ ავცდით. მართალია, კლუბების უმეტესობა ჩემპიონატის 15 მარტს განახლებაზე თანახმაა, მაგრამ გამოითქვა საპირისპირო მოსაზრებებიც.

მაგალითად, ქვეყნის 16-გზის ჩემპიონ სტუ-"შევარდენის" ხელმძღვანელობას განუცხადებია, რომ თურმე, არაფერი იცოდნენ ჩემპიონატის მარტში განახლების შესახებ და ამისთვის კლუბი მზად არ არის. არადა, ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში რამდენჯერმე დავწერეთ, რომ საქართველოს ჩემპიონატი თებერვლის ბოლოს, ან მარტის დასაწყისში განახლდებოდა...

ასეა თუ ისე, ხმათა უმრავლესობით მაინც გადაწყვეტილია, რომ ეროვნული ჩემპიონატი განახლდება 15 მარტს. ხელბურთის ასოციაცია პრინციპულად უდგება საქმეს და ამბობს, რომ ვინც ამისთვის მზად არაა და ჩემპიონატის განახლების შემდეგ, კალენდარულ მატჩებზე არ გამოცხადდება, შეჯიბრებიდან მოიკვეთება.

როგორც იცით, შარშან, სრულად ჩატარდა პირველი წრე, მეორე წრეში კი დარჩა 8 მატჩი. შესაბამისად, ჩემპიონატი ჯერ ამ შეხვედრებით განახლდება, მერე კი საგაზაფხულო ეტაპები, ანუ მესამე და მეოთხე წრეები დაიწყება. რეგულარული პირველობა დასრულდება 5 მაისს, რის შემდეგაც, ჩემპიონ-პრიზიორთა ვინაობა გაირკვევა ფლეიოფებით. შეგახსენებთ, რომ წრენახევრის შემდეგ, სატურნირო ცხრილს ლიდერობს ოთხიდან ოთხივე მატჩის მომგები "თბილისი". მას ორი ქულით ჩამორჩება სტუ-"შევარდენი", "იმედს" 5 ქულა აქვს, "ქარიშხალა" სამქულიანია, ხოლო "მამულმა" ხუთივე მატჩი წააგო.

**კობა ხატისაშვილი**

15 მარტი, სტუ. შევარდენი-მამული
15 მარტი, ასკ. თბილისი-იმედი
16 მარტი, გლდანი. მამული-ქარიშხალა
16 მარტი, ასკ. იმედი-სტუ
22 მარტი, ასკ. იმედი-ქარიშხალა
22 მარტი, სტუ. შევარდენი-თბილისი
23 მარტი, ასკ. თბილისი-მამული
23 მარტი, გლდანი. ქარიშხალა-შევარდენი

## ქართული ჭიდაობა

# დავიწყებულის აღორძინება

მაღალმთიანი შუახევი იშვიათი გამონაკლისია, სადაც ქართული ჭიდაობის ჭაბუკთა ჯგუფი მუშაობს. ორ წელიწადზე მეტია აქაურებს ფიზკულტურის ტექნიკუმდამთავრებული **გელა ზოიძე** წვრთნის. სწორედ შუახევში გაიმართა ამ დღეებში აჭარის ჭაბუკთა პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შემთხვევით არ იყო, რომ შეჯიბრებაზე საგანგებოდ ჩავიდა თბილისიდან შუახევში ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი ჯიქიაც**, რომელმაც გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ფულადი ჯილდოები გადასცა.

აჭარაში ქართული ჭიდაობა დიდი ხნის მივიწყებული იყო. ჩვენს ძირძველ საუნჯეს რამდენიმე წლის წინათ მხსნელად მოევლინა ახალგზარდა კაცი, წარმოშობით ხაშურელი **პაატა ურიადმყოფელი**, რომელიც წმინდა ენთუზიაზმით ცდილობს ქართული ჭიდაობის აღორძინებას აჭარაში. ის 2004 წლიდან აჭარის ქართული ჭიდაობის რეგიონალურ ფედერაციას უდგას სათავეში.

მდინარე აჭარისწყლის ხეობაში, მთის ულამაზეს კალთებზე შეფენილ შუახევში, დიდიხანია ჭიდაობაში შეჯიბრება არ მოწყობილა. უფრო ზუსტად აქაურებმა კომუნისტების დროს თავისუფალ ჭიდაობაში აქ გამართულ ერთადერთი ასპარეზობა გაიხსენეს მხოლოდ...

ქართული ჭიდაობის ამ ტურნირს კი ექვსიდან ორი რაიონი გამოაკლდა - ქედა და ქობულეთი. ბათუმის, ხულოს, შუახევისა და ხელვაჩაურის ჭაბუკი მოჭიდავეები ცხრა წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ. აჭარის ჩემპიონები კი გახდნენ: **ლერი ბედინაძე, ნუკრი ბოლქვაძე** (ბათუმი), **მიხეილ ზოიძე** (შუახევი), **რეზო წულუკიძე, გოგიტა იაკობიძე** (ბათუმი), **მერაბ ზოიძე** (შუახევი), **არჩილ აბულაძე** (ხულო), **რამაზ მუთიძე** (ხელვაჩაური), **დავით იაკობიძე** (ბათუმი). აბსოლუტური პირველობა და ჭედილა დავით იაკობიძემ მოიგო.

ქართული ჭიდაობის მუსიკის ჰანგებმა და ჭაბუკ მოჭიდავეთა ფიცხელმა და უშელავათო შერკინებებმა შუახეველთა და არამარტო აქაურ გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენთან საუბარში აჭარის პარლამენტის დეპუტატმა **რაულ თავართქილაძემ** თქვა, რომ იზრუნებს ხულოსა და ბათუმში ქართული ჭიდაობის სექციების გახსნაზე. ასე რომ, დიდი ჭიდაობების დედაბოძი - ქართული ჭიდაობა აჭარაშიც მკვიდრდება...

**გაბრიელ ბარჯაძე**
შუახევიდან



დავით იაკობიძე ჯილდოთი

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ლეგიონერები

# ისევ 17 ქულაა

საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში, ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ კვლავ მოიგო გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა, **ილია ზედგინიძის** "ოშმა" და უახლოეს მდევართან 17-ქულიანი სხვაობა აღადგინა. გასკონელებმა საკუთარ მოედანზე ფლეი ოფისთვის მებრძოლ "დაქსს" უმასპინძლეს - 19:17. საქართველოს ნაკრების კაპიტანს ტრავმის გამო არ უთამაშია.

მეორე ქართული კლუბი, რომელმაც განვლილ ტურში გაიმარჯვა, **ლევან ღვაბერიძის** "გრენობლია". ალპელებმა საკუთარ მოედანზე **მერაბ კვირიკაშვილის** "პო" დაამარცხეს 25:19. ღვაბერიძეს არ უთამაშია, კვირიკაშვილი მოედანზე იყო და ორი საჯარიმოთი გუნდს 6 ქულა შესძინა.

მარცხი იწვნია პლეიოფში გასვლისთვის მებრძოლმა ორივე "ქართულმა" კლუბმა. **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიე" სტუმრად აუტსაიდერ "ლიმოჟთან" დამარცხდა - 24:30, ირაკლი კი ტრავმის გამო 25-ე წუთზე შეცვალეს; უშუალო კონკურენტ "ლიონს" სტუმრობდა **გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონი"- 6:11. ლაბაძეს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია, კუთარაშვილი სათადარიგოთა შორის იყო.

საკუთარ მოედანზე "ბორდოსთან" დამარცხდა **მამუკა მაგრაქველიძისა** და **დავით აშვეთიას** "მეტრო რასინგი" 12:16. ორივე ქართველმა თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო. მაგრაქველიძე 65-ე წუთზე შეცვალეს, აშვეთია 72-ზე.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**1. ოში-86ქულა / 2. ტულონი-69,** 3. ლა როშელი-68, **4. ბეზიე-65,** 5. დაქსი-65 / 6. ლიონი-64, 7. ოიონაქსი-56, 8. გაიაკი-48, 9. ბორდო-48, **10. მეტრო რასინგი- 47, 11. გრენობლი-45,** 12. მონ დე მარსანი-44, **13. პო-43** / 14. ტარბი-43, 15. ლიმოჟი-40, 16.კოლომიე-28.

### ევროპის ერთა თასი

**რუმინეთი-ესპანეთი 50:14**

რუმინეთი: 8ლ (პეტრე, ფერკუ-2, დუმიტრაში-2, კალაფეტიანუ, სოკოლი, ტინკუ); 5გ: (ვლაიკუ-3; კალაფეტიანუ, დუმბრავა)

ესპანეთი: 2ლ (მოტა, სალასარი) 2გ (ოლივარესი)

**17 მარტი**

**ესპანეთი-საქართველო**

**ჩეხეთი-რუმინეთი**

### მსოფლიო თასი. რეპეშაჟი

**პორტუგალია-ურუგვაი 12:5**

პორტუგალია: 2ლ (გამა, კოუტინიო) გ (ლეალი)

ურუგვაი: ლ (როდრიგო კაპო)

მსოფლიო თასის ბოლო, მეოცე ფინალისტი 24 მარტს გამოვლინდება მონტევიდეოში. საპასუხო მატჩის წინ პორტუგალიელებს საკმაოდ მყიფე, 7-ქულიანი უპირატესობა აქვთ.

ექვსი ერი. IV ტური

# სხვაობა გადაწყვეტს?

ბოლოსწინა ტურში ლიდერი, საფრანგეთი ინგლისში დამარცხდა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, წლევანდელ ჩემპიონს ბოლო ტურის შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა გამოავლენს. ინგლისელები ფრანგებისა და ირლანდიელების დავაში ალბათ ვერ ჩაერევიან, რადგანაც ბევრად უარესი სხვაობა აქვთ, ფრანგები კი სულ 4 ქულით უსწრებენ ირლანდიას. ირლანდიამ ბოლო წუთებზე, 13:18 ჩამორჩენის შემდეგ დაამარცხა სტუმრად შოტლანდია და სამივე მეზობლის ძლევით ზედიზედ მეორედ შეასრულა სიმბოლური "სამმაგი გვირგვინი". თავისთვის ისტორიული შედეგი აჩვენა იტალიამ, რომელმაც ერთ სეზონში პირველად მოიგო "ექვსი ერის" ორი მატჩი.

**შოტლანდია-ირლანდია 18:19**

შოტ: (15-9) საუსველი, შ. ლემონი, დიროლო, დუი, პატერსონი, პარქსი, კაზიტერი; (1-8) ქერი, ჰოლი, ი. მარი, ჰაინსი (სბ 42), ს.მარი, ტეილორი, ბრაუნი, კალემი / (16-22) ფორდი, ჯეკობსენი, ჰამილტონი, ჰოგი; ლოუსონი, ჰენდერსონი, რ. ლემონი - 6ს (პატერსონი)

ირლ: (15-9) დემპსი, ჰორგანი, ოდრისკოლი, დარსი, ჰიკი, ოგარა, სტრინგერი (1-8) ჰორანი, რ.ბესტი, ჰეიესი, ოკალაჰანი, ოკონელი, ისტერბი, დ. ვოლისი, ლიმი / (16-22) ფლენერი, ს.ბესტი, ნ. ბესტი, მ.ოდრისკოლი; რედანი, პ. ვოლისი, თრიმბლი - ლ,გ,4ს (ოგარა)

**იტალია-უელსი 23:20**

იტა: (15-9) დემარინი, რობერტსონი, კანალე, მირკო ბერგამასკო, პრატიკეტი, პესი, ტრონკონი (1-8) ლოჩიჩერო, ფესტუჩა, ნიეტო, დელაპე, ბორტოლამი, ძანი, მაურო ბერგამასკო, პარისე / (16-22) გირალდინი,პერუჯინი, სტაიბანო, ბერნაბო; ძაფირი, გრიფენი, სკანავაკა - 2ლ (რობერტსონი, მაურო ბერგამასკო); 2გ,3ს (პესი)

უელ: (15-9) მორგანი, მ.ჯოუნზი, შენკლინი, ჰუკი, შ.ვილიამსი, ს. ჯოუნზი, პილი (1-8) ჯენკინსი, რიისი, ჰორსმენი, გაფი, ა.ვ. ჯოუნზი, პოპემი, მ. ვილიამსი, რ. ჯოუნზი / (16-22) რ.თომასი, დ.ჯოუნზი, ა.ჯოუნზი, კოკბეინი, ჯ.თომასი; ფილიპსი, გ.თომასი - 2ლ (შ.ვილიამსი, ჰუკი); 2გ (ს.ჯოუნზი, ჰუკი), 2ს (ჰუკი)

**ინგლისი-საფრანგეთი 26:18**

ინგ: (15-9) ლუსი, რობინსონი, თინდოლი, ქეთი, სტრეტლი, ფლუდი, ელისი (1-8) პეინი, ჩატერი, ვაითი, ქორი, პალმერი, ვორსლი, რიისი, ისტერი / (16-22) მეირსი, ტერნერი, დიკონი ლუნდი; პერი, ჯერათი, ტეიტი - 2ლ (ფლუდი, თინდოლი); 2გ (ფლუდი-3, ჯერათი), 4ს (ფლუდი-3, ჯერათი)

საფ: (15-9) პუატრენო, კლერი, მარტი, ჟოზიონი, დომინისი, სკრელა, იაშვილი (1-8) მილუ, იბანესი, დევილიე, ნალე, თიონი, ბეტსენი, ბონერი, შაბალი / (16-22) ბრუნო, მასი, პაპე, არინორდოკი; მინიონი, ბოსი, ემონსი - 6ს (სკრელა-3, იაშვილი-3)

4 ტურის შემდეგ: საფრანგეთი (+42), ირლანდია (+38), ინგლისი (+13) -6, იტალია-4, შოტლანდია-2, უელსი-0; ბოლო ტური. 17 მარტი: იტალია-ირლანდია, საფრანგეთი-შოტლანდია, უელსი-ინგლისი

ზე-14

# შარქსი არ აგებს

ზე-14-ის გათამაშების მეექვსე ტური ნაკლული გახლდათ - ისვენებდნენ ჩემპიონი "კრუსეიდერსი" და "ჩიფსი". "შარქსი" კვლავ დაუმარცხებელია, მეხუთე მატჩში აფრიკულმა გუნდმა მეხუთე გამარჯვება იზეიმა. სტუმრად, ბლუმფონტეინში "შარქსმა" 30:14 დაამარცხა "ჩიტაზი". ოკლენდში "ბლუზმა" ყველაფერში დაჩაგრა გამოუცდელი "ლომები", 6 ლელო გაუტანა და ამით ოთხმატჩიანი მოგებათა სერია შეუწყვიტა. ლომის წილი "ბლუზის" გამარჯვებაში ბეკმა **დაგ ჰაულიტმა** დაიდო, მის ანგარიშზე ორი ლელო, 4 გარდასახვა და საჯარიმოა.

**ჰაილენდერზი-რედსი 33:17**

ჰაილ. (ზელ): 4ლ (ბენკროფტი, მულიპოლა, ჰორტონი, მაკდონალდი), 2გ, 2ს (ევანსი), ა (ბენკროფტი); რედსი (ავს): 2ლ (ბარნსი, როუ), 2გ (კუპერი, ბარნსი), ს (ბარნსი)

**ბრამბიზი-სტორმერსი 26:13**

ბრამ (ავს): 3ლ. (ჩიზჰოლმი, მორტლოკი, ეშლი-კუპერი), გ, 3ს (მორტლოკი); სტორმერსი (აფრ): ლ (ეიპლონი), გ, 2ს. (გრანტი)

**ვესტერნ ფორსი-ჰარიკეინ. 18:17**

ფორსი (ავს): 2ლ (მიჩელი, შეპარდი), გ, 2ს (შეპარდი); ჰარიკეინზი (ზელ): 2ლ (უმაგა, გოპერჩი), 2გ (სტიუარტი, გოპერსი), ს (სტიუარტი)

**ბლუზი-ლაიონზი 41:14**

ბლუზი (ზელ): 6ლ. (ჰოლუელი, ვულფი, ჰაულიტი 2, ატიგა, ბრეიდი), 4გ, ს. (ჰოლუელი); ლაიონზი (აფრ): 2ლ (ლუდიკი, რეინეცკე), 2გ (პრეტორიუსი, როუზი)

**ვორათაზი-ბულზი 19:32**

ვორათაზი (ავს): ლ (ბილი), გ,4ს (ჰიუეტი); ბულზი (აფრ): 3ლ (ჰაბანა, დიუპლესი 2), 3გ, 2ს (ჰუხარდი)

**ჩიტაზი-შარქსი 14:30**

ჩიტაზი (აფრ): 2ლ (სმიტი, კრუგერი), 2გ (დე ვაალი); შარქსი (აფრ): 3ლ (ბოუტსი, მარი, პიტერსენი), 3გ,3ს (პინარი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პრ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბლუზი | 6 | 5 | 0 | 1 | 180-99 | 3 | 23 |
| 2. შარქსი | 5 | 5 | 0 | 0 | 119-68 | 0 | 20 |
| 3. ბულზი | 6 | 4 | 0 | 2 | 135-120 | 2 | 18 |
| 4. ფორსი | 6 | 3 | 1 | 2 | 117-96 | 2 | 16 |
| 5. ჰაილენდ. | 6 | 3 | 0 | 3 | 107-110 | 4 | 16 |
| 6. ლაიონზი | 6 | 4 | 0 | 2 | 101-119 | 0 | 16 |
| 7. ბრამბიზი | 6 | 3 | 0 | 3 | 85-78 | 2 | 14 |
| 8. ჰარიკეინზი | 6 | 3 | 0 | 3 | 123-137 | 2 | 14 |
| 9. კრუსეიდ. | 5 | 2 | 0 | 3 | 136-120 | 4 | 12 |
| 10. ჩიტაზი | 6 | 2 | 1 | 3 | 141-160 | 2 | 12 |
| 11. სტორმერსი | 6 | 2 | 0 | 4 | 100-143 | 2 | 10 |
| 12. ჩიფსი | 5 | 0 | 1 | 4 | 112-133 | 5 | 7 |
| 13. ვორათაზი | 5 | 1 | 1 | 3 | 95-116 | 1 | 7 |
| 14. რედსი | 6 | 1 | 0 | 5 | 100-152 | 2 | 6 |

## კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. XVI ტური

# ავიას წაგების ქრონიკა

## კოლუაშვილმა დაიჭირა, გვიმრაძემ მოხარშა, ლაფანაშვილმა შეჭამა

**10 მარტი. ვერის პარკი**

**სტუ-მაკაბი 105:92**

27:25, 27:27, 23:16, 28:24

სტუ: ეძგვერაძე (14 ქ. 7 პ), სებისკვერაძე (5 ქ), ბერაია (12 ქ. 3 პ), კოხრეიძე (9 ქ. 10 პ. 3 ჩ), მაისურაძე (13 ქ. 4 ქ. 4 პ), ახალკაცი (13 ქ. 4 პ), ბარბაქაძე (30 ქ), ლ. ნოზაძე (9 ქ. 5 მ), დევიძე.

მაკაბი: დოლიძე (10 ქ. 12 პ. 3 ჩ), მ. შერმადინი (43 ქ. 12 მ. 2 დ), კორკოტაძე (2 ქ. 5 პ), ს. შერმადინი (28 ქ. 6 მ), პირველაშვილი (9 ქ. 7 პ), ბერსეგიანი, კორძაძე.

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

**ავიამშენი-დინამო 85:90**

18:17, 21:30, 23:21, 23:22

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (8 ქ. 6 პ), ბაბიაშვილი (10 ქ. 6 მ), ხოშტარია (22 ქ. 8 მ. 3 პ), ნიკოლაძე (4 ქ. 4 პ), ი. ბერიშვილი (11 ქ. 4 პ), ნინიაშვილი (2 ქ), კეიდია (6 ქ), როდუმტა (16 ქ. 6 მ), სუხიშვილი, კვიმსაძე (6 ქ).

დინამო: გულისაბედაშვილი (18 ქ. 6 მ. 3 პ), ბადრიძე ( 4 ქ), ლაფანაშვილი (17 ქ. 3 პ), ბოლქვაძე (6 ქ), გვიმრაძე (19 ქ. 11 მ. 4 პ), ნ. ნოზაძე (10 ქ. 3 პ. 3 ჩ), კოლუაშვილი (16 ქ. 9 მ), ფაიქრიძე.

მსაჯები: მ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 16 | 15 | 1 | 31 |
| 2. ავიამშენი | 16 | 12 | 4 | 28 |
| 3. თსუ | 16 | 10 | 6 | 26 |
| 4. დინამო | 16 | 5 | 11 | 21 |
| 5. სტუ | 16 | 3 | 13 | 19 |
| 6. მაკაბი | 16 | 3 | 13 | 19 |

მომდევნო ტური. 17 მარტი: მაკაბი-ავიამშენი, დინამო-აზოტი, სტუ-თსუ



ლექსო ლაფანაშვილი

### ტურის მოვლენა

**"უკვე მერამდენე მოსაგები მატჩი დავთმეთ ბოლო წუთებზე. მაგრამ არ ვნერვიულობ, მოვა დრო, როცა ბიჭები ბოლო მეოთხედშიც შეინარჩუნებენ ფსიქოლოგიურ მდგრადობას და მოსაგებს აუცილებლად მოვიგებთ".** - თქვა "დინამოს" მწვრთნელმა **ზაზა ცაგარეიშვილმა** მე-15 ტურში "მაკაბისთან" წაგების შემდეგ თქვა.

მწვრთნელს დიდხანს ლოდინი არ დასჭირდა - დინამოელებმა მომდევნო მატჩში, შაბათს, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი "ავიამშენი" სწორედ ბოლო წუთებზე გამოჩენილი ნერვების სიმტკიცის წყალობით დაამარცხეს. დიახ, "დინამომ" "ავიას" მოუგო და დააფიქსირა ჩემპიონატის პირველი სენსაცია, რომელსაც მთელი 16 ტურის განმავლობაში ველოდით. თუმცაღა, პირველივე წრეში დინამოელებს ავიატორების ძლევის უფრო კარგი შანსი ჰქონდათ - 15 ქულის სხვაობითაც დაწინაურდნენ, მაგრამ ბოლო მეოთხედში უპირატესობაც ხელიდან გაუშვეს და გამარჯვებაც.

"მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს, გადამწყვეტ ეპიზოდში ხელი არ აგვკანკალებია და ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ. იმედი მაქვს ამ მატჩის შემდეგ თავდაჯერება კიდევ უფრო შეგვემატება", - ეს სიტყვები ზაზა ცაგარეიშვილმა ისე წარმოთქვა, რომ თავი არ აუწევია ოქმიდან, რომელშიც ეწერა: ავიამშენი-დინამო 85:90.

შედარებით სუსტმა ძლიერი მეტოქე რომ დაამარცხა, უკვე გითხარით. ახლა გავარკვიოთ, როგორ მოახერხა "დინამომ" სენსაციის დაფიქსირება.

საწყის 5 წუთში "ავიამშენი" 10:1 დაწინაურდა და "დინამოს" თამაშის შემხედვარე ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ პირველივე ტაიმში გადაწყდებოდა გამარჯვებულის ბედი. სხვა ავიატორებთან ერთად ურიგოდ არ გამოიყურებოდა ახალწვეული **ბუბა კვიმსაძე**, რომელმაც ირანელს "ომიდიადან" დაბრუნების შემდეგ პირველივე მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო.

მეორე ათწუთეულში გუნდებმა როლები გაცვალეს - "დინამო" ქულას ქულაზე "აწებებდა", ხოლო "ავიამშენი" მეტოქის კალათისკენ შარას ვინ ჩივის, საცალფეხო ბილიკსაც ვერ პოულობდა. **ვიქტორ კოლუაშვილმა** ჯერ ანგარიში გაათანაბრა (22:22), ხოლო **დავით გვიმრაძემ** სპურტი სამქულიანით დააბოლოვა და თანაგუნდელებს 9-ქულიანი უპირატესობა მოაპოვებინა) 37:28. "ავიას" მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა** მოედანზე გამოცდილი ხუთეული დატოვა, **ირაკლი ხოშტარიამ** პერიმეტრიდან, ხოლო **როდუმტამ** ფარქვეშიდან თამაში გამოაცოცხლეს და მესამე პერიოდის ბოლოს სხვაობა 3 ქულამდე შემცირდა - 62:65.

როგორც წესი, მეორედ გამოფხიზლება დინამოელებს ყოველთვის უჭირდათ, მაგრამ ამჯერად ეს მოახერხეს: **ნიკო ნოზაძემ** და **ლექსო ლაფანაშვილმა** პერიმეტრიდან ზუსტად გაისროლეს და სირენამდე 8 წუთით ადრე სხვაობა 10 ქულამდე გაიზარდა (78:68). ამ ეპიზოდში იოლი შესამჩნევი იყო, როგორ ანერვიულდნენ "ავიატორები" და პირიქით, როგორ დამშვიდნენ დინამოელები. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შეხვედრის ბოლომდე არაფერი შეცვლილა: დინამოელ ლექსო ლაფანაშვილს ხელი არც მაშინ აჰკანკალებია, როცა სამ საჯარიმოს ესროლა და ტაბლოზე 78:80 ეწერა და არც მაშინ, როცა შორეული მანძილიდან სამქულიანი ესროლა და სირენამდე ერთი წუთით ადრე "დინამო" 84:80 დააწინაურა. ბოლო წუთზე "ავიას" ძრავამ ირაკლი ხოშტარიამ ფარქვეშეთიდან იოლი ბურთი ვერ ჩააგდო, რამაც ნათლად დაგვანახვა, რომ ჩემპიონებს გამარჯვებისთვის ემოცია აღარ შერჩენოდათ.

### ტურის მოთამაშე

"ავია"-"დინამოს" მატჩის მსვლელობისას ჟურნალისტებს შორის აქტიური მსჯელობა გაჩაღდა. ერთი ამბობდა - თუ "დინამომ" მოიგო, ტურის საუკეთესოდ დავით გვიმრაძე უნდა დავასახელოთ (მან საბოლოოდ 19 ქულა, 11 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა ჩაიწერა). იგი პერიმეტრიდან სიზუსტით გამოირჩევა, ფარქვეშეთიდანაც და დაცვაშიც ყოჩაღობსო. მეორემ შეაქო ვიქტორ კოლუაშვილი, რომელმაც მეორე მეოთხედში "დინამოს" აღმასვლას ჩაუყარა საფუძველი. მატჩის დასრულებისთანავე კი გაჩნდა მესამე პრეტენდენტი - ლექსო ლაფანაშვილი, რომელმაც შეხვედრის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყვიტა. აი, რა კომენტარი გააკეთა ლექსომ: *"სხვა შეხვედრებში მეოთხე პერიოდს კარგად ვერ ვატარებდით, რადგან გადაღლისაგან მწყობრი თამაში არ გამოგვდიოდა. ამჯერად თავი ხელში ავიყვანეთ, ერთ მუშტად შევიკარით და მატჩში გარდატეხაც შევიტანეთ. ამიტომაც, გადამწყვეტ მომენტში ისევე ზესტუდ ვისროდით, როგორც დასაწყისში."*

დინამოელმა იქვე მკითხა, ტურის MVP-ს რა კრიტერიუმებით ირჩევთო? ამ საკითხზე ყველას თავისი მოსაზრება აქვს და ჩემი აზრით, საუკეთესოობას ლაფანაშვილიც იმსახურებდა და გვიმრაძეც, მაგრამ ლექსოს ნათქვამიდანაც ნათელია, რომ "დინამომ" გუნდური თამაში უჩვენა და სხვადასხვა ეპიზოდში ლიდერად სხვადასხვა კალათბურთელი გვევლინებოდა. ამიტომ, თუ საუკეთესო მაინც და მაინც ამ მატჩიდან უნდა აგვერჩია, უპრიანი იქნებოდა MVP მთლიანად გუნდი ყოფილიყო.

...მაგრამ მე-16 ტურში ორი არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩი ჩატარდა - სტუ-ს "მაკაბისთან" **გიგი ბარბაქაძემ** ბოლო წამებზე მოაგებინა, ხოლო ორი ლიდერის, "აზოტისა" და თსუ-ს დაპირისპირებაში **დავით უგრეხელიძემ** პირველ ტაიმში რუსთაველებს 36-ქულიანი უპირატესობა მოაპოვებინა და მეორე ნახევარს აზრი დაუკარგა დათომ საწყის 10 წუთში 14 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა, საბოლოოდ 21 ქულასა და 11 მოხსნას მოუყარა თავი და გამოკითხვაში ლაფანაშვილს, გვიმრაძესა და ბარბაქაძეს ერთი ხმით აჯობა. ასე რომ, მე-16 ტურის MVP-დ დავით უგრეხელიძე დასახელდა, რომელსაც მკითხველი ოთხშაბათის ნომერში შეხვდება.

დაბოლოს, "მაკაბი"-სტუ-ს მატჩზე... როგორც ყოველთვის, ამ გუნდების დაპირისპირება ამჯერადაც თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ტექნიკოსების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მაკაბელი **გიორგი შერმადინის** გაუვნებელყოფა მეტ-ნაკლებად მაინც მოახერხეს - გიორგის წინ **გულივერ ახალკაცი** ედგა, უკან ან **დავით მაისურაძე**, ან **ლუკა ნოზაძე**.

შერმადინმა მატჩის ჩამთავრება ვერ მოახერხა - ხუთი ფოლი მიიღო. ვერც მაისურაძე დაეხმარა თანაკლუბელებს ბოლო წუთებში - ფეხსაცმელზე თასმა გაუწყდა...

როგორც უკვე ვთქვით, სტუ-ს გამარჯვება გიგი ბარბაქაძემ მოუტანა, რომელმაც ბოლო ათწუთეულში ჩაგდებული 5 სამქულიანით მაკაბელებს ფარქვეშ კარგი შრომა წყალში ჩაუყარა.

ბარბაქაძემ საბოლოოდ 12-დან 8 სამქულიანი გამოიყენა და 30 ქულას უწია. სტუ-ს მწვრთნელი, ნიკო ჩერქეზიშვილი მატჩის შემდეგ კმაყოფილი ჩანდა: *"ნოდარ ბერაია ტრავმირებული თამაშობდა, ალეკო ძიძიგურსა და ლაშა დევიძეს ვირუსი აქვთ, ამიტომ ღმერთს მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ დღეს გავიმარჯვეთ. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ბიჭები სადღეისოდ შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ ავლენენ. ხოლო ლუკა ნოზაძემ და დავით მაისურაძემ სულაც შესაძლებლობების 30 პროცენტი გამოავლინეს. მათ გაცილებით მეტი შეუძლიათ. "მაკაბისთან" გამარჯვებით ფლეი ოფში მოხვედრის შანსი შევინარჩუნეთ, წაგების შემთხვევაში შანსი 20 პროცენტამდე შემცირდებოდა..."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა


ზაზა ფაჩულია და კევინ გარნეტი

## კალათბურთი

### ქართველები NBA-ში

# სტაბილური ზაზა და გმირი სმიტი

ორი მატჩის მოგების მიუხედავად "ატლანტა ჰოქსის" საფლეიოფო პერსპექტივა ჯერაც ბურუსითაა მოცული, თუმცა, ჩვენთვის სასიამოვნოა, რომ **ზაზა ფაჩულიამ** და მისმა თანაგუნდელებმა უქმეებზე უდანაკარგოდ ითამაშეს, საქართველოს ნაკრების ლიდერმა კი საკმაოდ შთამბეჭდავად იბურთავა.

"მემფისთან" მატჩით დავიწყოთ.

**პაუ გასოლის** წინააღმდეგ თამაში არა მარტო ფაჩულიასთვის, არამედ ნებისმიერი ცენტრისთვის დამატებითი მოტივაცია და გამოწვევაა. ალმოსავლელთან მატჩში გასოლმა ზურგის ტრავმის გამო ვერ გაიბრწყინა და მოედანზე მხოლოდ 24 წუთი დაჰყო, რაც "მემფისის" სამნამიანში "ატლანტის" მაღლების უპრობლემოდ შეღწევასა და ქულების აღებაში აისახა.

დაშავებული გასოლი ზაზას გარჯასა და მონაგარს წამითაც არ აკნინებს. თუმცა, **მაიკ ვუდსონს** მორიგი "ნოვატორული" გადაწყვეტილება რომ არ მიეღო და ფაჩულია რეზერვში დიდხანს არ დაეტოვებინა, ზაზას ნადავლი გაცილებით სოლიდური იქნებოდა. ფაჩულიამ საბოლოოდ მთლად კარგად ვერ შეასრულა "ცოცხალი" სროლები და 11-დან მხოლოდ 3 გამოიყენა, თუმცა, 6 საჯარიმოდან 5 ჩააგდო და 10-ქულიანი ზღვარი აღნიშნულ მატჩშიც გადალახა.

ყველაფერი მატჩის ბოლო წამებზე გადაწყდა. 105:103 დაწინაურების შემდეგ "მემფისმა" უხეში შეცდომა დაუშვა. პოზიციური დაცვისას "გრიზლისის" ზონა **ჯოშ სმიტმა** გაარღვია და ძირითადის დასრულებამდე 11.5 წამით ადრე ორი ქულა ხომ ჩააგდო, ამასთან ერთად მასზე **მაიკ მილერი** დაჯარიმდა და ჯოშმაც საჯარიმოს უნაკლოდ შესრულებით შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. იმავე მილერს საფინალო სირენასთან ერთად ნასროლით თავისი გუნდისთვის გამარჯვების მოტანა შეეძლო, მაგრამ არ გაუმართლა.

**გაცილებით სერიოზული მეტოქე ჰყავდა "ატლანტას" მეორე დღეს. ჯორჯიაში კევინ გარნეტი და მისი "მინესოტა" ჩავიდნენ.**

ფაჩულიამ 14 მოხსნით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი გაიმეორა. "ატლანტამ" ვერაფერი მოუხერხა გარნეტს, რომელმაც თავის საშუალო სტატისტიკაზე მეტიც მოიმკო, მაგრამ "მემფისთან" შეხვედრის დარად, ბოლო წამებზე ამჯერადაც ჯოშ სმიტმა გაიბრწყინა - მან მიჯრით 6 ქულა დააგროვა, "მინესოტის" ერთ-ერთ შეტევაში გარნეტს დაუფარა, სტუმართა მომდევნო იერიშისას კი ბურთის ტარებისას შეცდომა **რიკი დევისს** დააშვებინა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჯოშ სმიტი "ჰოქსისთვის" ამ უიქენდის მთავარი გმირი იყო, ფაჩულია კი სტაბილურად აგროვებს თავის წილ ქულა-მოხსნას.

**ზურაბ თალაკვაძე**

### 10 მარტი

**ატლანტა-მემფისი 106:105**

31:23, 29:27, 21:30, 25:25

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (39 წთ. 20 ქ. 9 მ. 3 დ. 2 პ), მერვინ უილიამსი (35 წთ. 17 ქ. 3 მ. 2 პ. 2 ჩ. 1 დ), ჩილდრესი (44 წთ. 17 ქ. 3 მ. 3 პ. 2 ჩ. 1 დ), **ზაზა ფაჩულია (22 წუთი, 11 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 3 ფოლი)**, ე. ჯონსონი (23 წთ. 8 ქ. 6 პ. 1 ჩ) - ლიუ (27 წთ. 11 ქ. 1 მ. 1 პ), შელდენ უილიამსი (15 წთ. 11 ქ. 4 მ), ს. ჯოუნსი (19 წთ. 6 ქ. 8 მ. 4 პ. 1 ჩ), ს. სტაუდმაიერი (6 წთ. 5 ქ. 2 მ. 2 პ. 1 ჩ), ლ. რაიტი (6 წთ. უქულოდ, 2 მ).

**მემფისი:** მ. მილერი (41 წთ. 29 ქ. 8 მ. 5 პ. 1 დ), გეი (34 წთ. 15 ქ. 6 მ. 1 პ. 1 დ), დ. სტაუდმაიერი (37 წთ. 13 ქ. 9 პ. 3 მ. 2 ჩ), გასოლი (24 წთ. 10 ქ. 4 მ. 2 დ. 1 პ), ლ. რობერტსი (21 წთ. 8 ქ. 3 მ) - სვიფტი (31 წთ. 15 ქ. 13 მ. 4 დ. 3 ჩ), უორიკი (18 წთ. 7 ქ. 3 მ. 2 პ), დ. ჯოუნსი (13 წთ. 7 ქ. 2 პ. 1 მ), ჯ. ჰარინგტონი (10 წთ. 1 ქ. 2 მ. 1 პ), კინსი (6 წთ. უქულოდ, 2 მ. 1 პ. 1 ჩ).

**I მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 08:54 | მოხსნა: 1 (შეტ: 1, დაც: 0) |
| 08:52 | ორქულიანი: გასოლმა დაუფარა |
| 08:52 | მოხსნა: 2 (შეტ: 2, დაც: 0) |
| 08:51 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (10:4) |
| 08:51 | ფაჩულიაზე გასოლი დაჯარიმდა |
| 08:51 | საჯარიმო: არაზუსტი |
| 08:07 | ფოლი: 1 |
| 06:32 | ფოლი: 2 (თავდასხმაში) |
| 06:32 | შეცდომა: 1 (ფოლი თავდასხმაში) |
| 06:32 | ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა |

**II მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 07:33 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 06:44 | მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1) |
| 06:22 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:21 | ფოლი: 3 |
| 06:21 | ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა |

**III მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 12:00 | ფაჩულიამ ს. ჯოუნსი შეცვალა |
| 11:12 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 11:10 | მოხსნა: 4 (შეტ: 3, დაც: 1) |
| 10:58 | ორქულიანი: სვიფტმა დაუფარა |
| 10:16 | ფაჩულიაზე სვიფტი დაჯარიმდა |
| 10:16 | საჯარიმოები: 2/2 (4 ქ, 62:54) |
| 09:08 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (66:58) |
| 09:08 | ფაჩულიაზე გეი დაჯარიმდა |
| 09:08 | საჯარიმო: 7 ქ (67:58) |
| 07:20 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 05:58 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 03:49 | პასი: 1 (ჩილდრესი, 2 ქ. 76:71) |
| 02:33 | შეცდომა: 2 (გარბენი) |
| 02:02 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 02:02 | ორქულიანი ტყორცნა: 9 ქ (78:76) |
| 02:02 | მოხსნა: 5 (შეტ: 4, დაც: 1) |
| 01:44 | ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა |

**IV მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 05:36 | ფაჩულიამ ს. ჯოუნსი შეცვალა |
| 04:03 | მოხსნა: 6 (შეტ: 4, დაც: 2) |
| 03:14 | ფაჩულიაზე გასოლი დაჯარიმდა |
| 03:14 | საჯარიმოები: 2/2 (11 ქ. 101:96) |
| 02:38 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 01:46 | ჩაჭრა: 1 (მ. მილერს ჩაუჭრა) |
| 01:22 | მოხსნა: 7 (შეტ: 4, დაც: 3) |
| 00:23 | ფაჩულია ლიუმ შეცვალა |
| 00:11 | ფაჩულიამ ლიუ შეცვალა |

### 11 მარტი

**ატლანტა-მინესოტა 99:93**

22:21, 22:29, 30:22, 25:21

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (40 წთ. 32 ქ. 5 მ. 2 დ. 1 პ. 1 ჩ), **ზაზა ფაჩულია (34 წუთი, 16 ქულა, 14 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 3 შეცდომა, 3 ფოლი)**, ჩილდრესი (36 წთ. 16 ქ. 5 პ. 4 მ. 1 ჩ. 1 დ), მერვინ უილიამსი (39 წთ. 11 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ. 1 დ), ე. ჯონსონი (39 წთ. 4 ქ. 6 პ. 4 მ. 1 ჩ) - ლიუ (10 წთ. 10 ქ. 2 პ. 1 მ. 1 ჩ), ს. სტაუდმაიერი (16 წთ. 8 ქ. 1 პ. 1 ჩ), შელდენ უილიამსი (17 წთ. 2 ქ. 2 მ. 1 პ. 1 დ), ს. ჯოუნსი.

**მინესოტა:** გარნეტი (43 წთ. 32 ქ. 10 მ. 5 პ. 5 დ. 1 ჩ), რ. დევისი (35 წთ. 19 ქ. 3 მ. 2 პ. 1 ჩ), ჰადსონი (23 წთ. 10 ქ. 4 პ. 3 მ), იარიჩი (36 წთ. 6 ქ. 3 პ. 2 მ. 1 ჩ), მ. ბლაუნტი (19 წთ. 4 ქ) - კ. სმტი (28 წთ. 7 ქ. 9 მ. 2 მ. 1 დ), მ. ჯეიმსი (15 წთ. 6 ქ. 2 პ), ფოიე (20 წთ. 5 ქ. 2 პ. 1 მ), მაკკენტსი (12 წთ. 4 ქ. 2 პ. 1 მ), მედსენი (4 წთ. უქულოდ, 1 მ. 1 პ, 1 დ).

**I მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:31 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 10:58 | ჩაჭრა: 1 (ბლაუნტს ჩაუჭრა) |
| 10:24 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| 10:05 | შეცდომა: 1 (გარნეტმა ჩაუჭრა) |
| 09:16 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 07:04 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 06:11 | ფაჩულიაზე ბლაუნტი დაჯარიმდა |
| 06:11 | საჯარიმოები: 2/2 (2 ქ. 9:6) |
| 06:05 | მოხსნა: 4 (შეტ: 1, დაც: 3) |
| 05:30 | მოხსნა: 5 (შეტ: 1, დაც: 4) |
| 04:59 | პასი: 1 (ჯოშ სმიტი, 2 ქ. 13:7) |
| 04:26 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (15:9) |
| 04:26 | ფაჩულიაზე ბლაუნტი დაჯარიმდა |
| 04:26 | საჯარიმო: 5 ქ. 16:9 |
| 03:54 | მოხსნა: 6 (შეტ: 1, დაც: 5) |
| 03:51 | ორქულიანი ტყორცნა: 7 ქ (18:9) |
| 03:30 | პასი: 2 (ჯოშ სმიტი, 2 ქ. 20:12) |
| 03:08 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |

**II მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 12:00 | ფაჩულიამ შ. უილაიმსი შეცვალა |
| 09:07 | ორქულიანი ტყორცნა: 9 ქ (24:29) |
| 07:58 | ორქულიანი: მედსენმა დაუფარა |
| 07:58 | სადავო: მედსენს აჯობა |
| 06:04 | ორქულიანი ტყორცნა: 11 ქ (32:34) |
| 03:10 | ფოლი: 1 (მაკკენტსზე დაჯარიმდა) |
| 02:07 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 02:05 | ორქულიანი ტყორცნა: 13 ქ (41:41) |
| 02:05 | ორქულიანი მოხსნა: 7 (შეტ: 2, დაც: 5) |
| 01:50 | ფოლი: 2 |
| 00:57 | ორქულიანი: გარნეტმა დაუფარა |
| 00:01 | მოხსნა: 8 (შეტ: 2, დაც: 6) |

**III მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:44 | მოხსნა: 9 (შეტ: 2, დაც: 7) |
| 09:01 | მოხსნა: 10 (შეტ: 2, დაც: 8) |
| 05:30 | მოხსნა: 11 (შეტ: 3: დაც: 8) |
| 05:28 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 04:52 | მოხსნა: 12 (შეტ: 3, დაც: 9) |
| 04:03 | ფოლი: 3 (კ. სმიტზე დაჯარიმდა) |
| 02:43 | ორქულიანი ტყორცნა: 15 ქ (70:68) |
| 02:43 | ფაჩულიაზე კ. სმიტი დაჯარიმდა |
| 02:43 | საჯარიმო: 16 ქ (71:68) |
| 01:27 | შეცდომა: 2 (გარბენი) |
| 01:07 | მოხსნა: 11 (შეტ: 3, დაც: 10) |

**IV მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 10:42 | შეცდომა: 3 (გარბენი) |
| 10:20 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |
| 00:17 | ფაჩულიამ ს. სტაუდმაიერი შეცვალა |
| 00:09 | მოხსნა: 14 (შეტ: 3, დაც: 11) |

**ზაზა ფაჩულია:** 61 მატჩი, 11.9 ქულა, 6.9 მოხსნა, 1.4 პასი, 1.0 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.2 შეცდომა, 3.7 ფოლი. ტყორცნები: 508-დან 234 (46.1 პროცენტი), საჯარიმოები - 325-ში 258 (79.4).

**ატლანტა ჰოქსი:** 64 მატჩი, 25 მოგება, 39 წაგება, მე-4 ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-12 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში; **მომდევნო მატჩი:** ატლანტა-ფილადელფია (13 მარტი)

13-14 მარტს
გუდაურში
გაიმართება
საერთაშორისო სპორტული შეჯიბრი
სლალომსა და გიგანტურ სლალომში
10-დან 16 წლამდე მოზარდებს შორის
"აბუს თასი"

## სუმო


სააკაშვილი კოკაის მოგებას მიესალმება

# მოგება პრეზიდენტის თვალწინ

გუშინ ოსაკას გიმნაზიუმს ლევან ცაგურიას საგულშემატკივროდ საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** ეწვია. სუმოისტმაც გაუმართლა. აღმოსავლეთის მეშვიდე მაეგაშირა **კოკაიმ** მარტის ბაშო მოგებით დაიწყო, მან ოსი რიკიში **როჰო** დაამარცხა. ახლო მეგობრებისთვის ეს მეათე ორთაბრძოლა იყო, კოკაიმ იორიკირით იმარჯვა და ურთიერთშეხვედრებში ანგარიში გაათანაბრა - 5:5. დაჯახებისთანავე ქართველმა ოსის "მოხრჩობა" სცადა, მართალია, ეს ვერ გამოუვიდა, მაგრამ კოკაიმ როჰოს მავაში იგდო ხელთ და იორიკირით იმარჯვა. დღეს კოკაის მეტოქე იაპონელთა კუმირი ტაკამისაკარია. ურთიერთშეხვედრებში კოკაი 6:4-ს იგებს.

რანგით მესამე მაკუშიტას დივიზიონში ორი ქართველი სუმოისტი ასპარეზობს. გუშინ დივიზიონის 35-ე ნომერმა 20 წლის **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** წააგო სადანოფუჯისთან ბრძოლაში. სამაგიეროდ იმარჯვა 19 წლის **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)**, რომელმაც ყოფილ კომუსუბი ჩიოტენძანს აჯობა.

ბაშოს პირველი დღე სენსაციური გამოდგა - ერთბაშად სამმა ოძეკიმ წააგო, თუმცა, რაც ყველაზე მთავარია, დამარცხდა თავად დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ**. მონღოლმა **ტოკიტენკუმ** თავისი ტიტულოვანი თანამემამულე დოჰიოს წრეში ათრია, შემდეგ კი გარეთ მოისროლა. ოძეკთაგან **კოტოოშუ, ჩიოტაიკაი** და **ჰაკუჰო** დამარცხდნენ. ბაშოს დაწყებამდე ოძეკი ტოჩიაძუმამ საჯაროდ განაცხადა, რომ თუ პირველ ხუთ შეხვედრაში ორჯერ ვერ მოიგებდა, სუმოდან წასვლას გამოაცხადებდა. პირველ დღეს ტოჩიაძუმამ იმარჯვა. ბაშოს ჯერ მხოლოდ ერთი რიკიში დააკლდა ტრავმის გამო, ესტონელი **ბარუტო**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)**

**ოსაკა, 11-25 მარტი**

I დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი - როჰო 1:0 (იორიკირი, 20,7 წამი), ტოკიტენკუ - ასაშორიუ 1:0, ამა - ჩიოტაიკაი 1:0, კისენოსატო - ჰაკუჰო 1:0, ტოიონოშიმა - კოტოოშუ 1:0, კაიო - კიოკუტენჰო 1:0, ტოჩიაძუმა - ასასეკირიუ 1:0, კოტომიცუკი - მიაბიამა 1:0, კასუგაო - კოტოშოგიკუ 1:0, ტაკეკაძე - ფუტენო 1:0, ტამაკასუგა - ჰომაშო 1:0, კაკიძოე - ტაკამისაკარი 1:0, დეჯიმა - ტამანოშიმა 1:0, ტოჩინონადა - ამინიშიკი 1:0, ტოკიცუუმი - კასუგანიშიკი 1:0.**

II დღე. **კოკაი - ტაკამისაკარი, ასაშორიუ - მიაბიამა, ჰაკუჰო - ტოკიტენკუ, კოტოოშუ - ამა, კაიო - კასუგაო, ტოჩიაძუმა - კიოკუტენჰო, ჩიოტაიკაი - ასასეკირიუ, კოტოშოგიკუ - ტაკეკაძე, კოტომიცუკი - ფუტენო, ტოიონოშიმა - ტამაკასუგა, კისენოსატო - ჰომაშო, როჰო - კაკიძოე, ტამანოშიმა - ტოჩინონადა, დეჯიმა - ამინიშიკი.**


ტოკიტენკუმ ასაშორიუ დაამარცხა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ოსტინმა კლიჩკოს ორი რაუნდიც ვერ გაუძლო

ზემძიმე წონა

# კლიჩკოს ვალუევთან შეხვედრა სწყურია

ორი რაუნდიც კი არ დასჭირდა უკრაინელ **ვლადიმირ კლიჩკოს** იმისთვის, რომ ტიტულის ამერიკელი მოცილე **რეი ოსტინი** დაენოკაუტებინა და მის ხელთ არსებული, IBF-ის ტიტული შეენარჩუნებინა.

ბრძოლის შემდეგ, კლიჩკოს ბანაკი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ პრომოუტერი **დონ კინგი,** ვინც ოსტინის ბანაკში იმყოფებოდა, შეგნებულად არიდებს თავს ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის ორგანიზებას.

თავად ჩემპიონმა კი განაცხადა, რომ თუ WBA-ის ჩემპიონი, რუსი **ნიკოლაი ვალუევი** 14 აპრილს შეძლებს ტიტულის მოცილესა და თანამემამულის, **რუსლან ჩაგაევის** დამარცხებას, მაშინ მისი ბანაკი რუსი გიგანტის ამალას დაუკავშირდება და ტიტულების გამაერთიანებელ ბრძოლაში გამოიწვევს.

*"ეს ბრძოლა ვალუევსაც სურს და მეც. მაგრამ ხომ იცით, რამდენად ძნელია სასურველის მიღწევა, როცა საქმე დონ კინგთან გაქვს"*, - ბრძოლის შემდეგ განაცხადა კლიჩკომ. თურმე, მის გუნდს რამდენჯერმე მიუმართავს კინგისთვის და მისთვის ვალუევთან შეხვედრის ორგანიზება შეუთავაზებია, მაგრამ ცბიერებით ცნობილი პრომოუტერი ყოველთვის ახერხებდა თავის არიდებას.

ახლა კი, კლიჩკოს მენეჯერი **ბერნდ ბრიონტე** ამბობს, რომ დაუყოვნებლივ დაუკავშირდება გერმან პრომოუტერ **ვილფრედ ზაუერლანდს**, ვინც კინგთან ერთად, რუსი გიგანტის საქმეებს განაგებს.

კლიჩკოსა და ოსტინის შეხვედრა გერმანიის ქალაქ მანჰაიმში ჩატარდა, ვალუევმა კი მას ბერლინში, სასტუმროში უყურა. სატელეფონო საუბარში, მან განაცხადა, რომ ყოველთვის სურდა კლიჩკოსთან ბრძოლა, მაგრამ - ძმაო, შეხედე რინგს, ხომ ხედავ, რომ ამ საქმეს პრომოუტერები ჩარხავენ და მათ გარეშე რა გამომივაო.

სხვათა შორის, კლიჩკოები თავიანთ ბრძოლებს თავად უწევენ პრომოუშენს, რაშიც მათ გამოცდილი სპეციალისტები ეხმარებიან. **ვიტალი კლიჩკო** ამბობს, რომ თუ ვალუევს შეხვდება, ეს იქნება არამხოლოდ ორი მოკრივის, არამედ ორი პრომოუტერის ბრძოლაც. შეგახსენებთ, რომ ვიტალი WBC-ს ყოფილი ჩემპიონია.

რაც შეეხება ბრძოლას, უკრაინელს ტიტულის ასეთი იოლი დაცვა აქამდე არასოდეს ჰქონია. პირველი რაუნდი მან მეტოქის შესასწავლად გამოიყენა, მეორეშიც კი წუთზე ოდნავ მეტი რომ იყო გასული, ზედიზედ სამი ცაცია პუკით ძირს დასცა მეტოქე. ოსტინმა თვლის დასრულებამდე წამოდგომა კი შეძლო, მაგრამ წონასწორობას ძლივს იცავდა, რის გამოც რეფერი **ედი კოტონმა** ბრძოლა შეწყვიტა.

*"ძალიან გამიკვირდა, როცა დავინახე, რომ ოსტინმა წამოდგომა შეძლო, მაგრამ რეფერიმ შენიშნა, რომ მას თავი ძლივსლა ეჭირა და ამიტომ, ბრძოლა შეწყვიტა. ეს სრულიად ლოგიკური გადაწყვეტილება იყო. იქნებ, სხვა შემთხვევაში ბრძოლა უფრო დიდხანსაც გაგრძელებულიყო, მაგრამ ამჯერად მოტივაციის დამატებითი წყარო მქონდა - ოსტინმა და კინგმა ძალიან ბევრი ილაპარაკეს იმაზე, რომ მე უჯიგრო ჩემპიონი ვარ და როგორც კი ძლიერ მეტოქესთან მექნება საქმე, მაშინვე დავთმობ ტიტულს. ჰოდა, ახლა ხომ დაინახეს, ვისთან ჰქონდათ საქმე"*, - განაცხადა კლიჩკომ (48-3, 43 ნოკაუტი), ვისაც პირველ რაუნდში ბევრი არაფრით გამოუჩენია თავი, თუმცა მეორეს დასაწყისშივე შეუტია. მან მეტოქე ჯერ ბაგირებზე მიაგდო, შემდეგ კი მისი თავი ხელებს შორის მოიქცია და მიაყარა. პრეტენდენტს პირველად ცაცია პუკი მოხვდა, მერე მარჯვენა ასცდა, ისევ ცაცია მოხვდა, კვლავ ასცდა მარჯვენა და მესამე ცაციამ ძირს დასცა...

*"რაც დღეს ნახეთ, ამას კიდევ ბევრჯერ ნახავთ. ვლადიმირმა დარტყმის სტილი შეცვალა. გარდა ამისა, ყოველთვის ფლობდა მძიმე ჯებს. მოკლედ, სულ სხვა მებრძოლია, ვიდრე მაშინ იყო, როცა ტიტულს დაეუფლა"*, - განაცხადა უკრაინელის მწვრთნელმა **ემანუელ სტიუარდმა.**

ბრძოლის შემდგომ პრესკონფერენციას არც ოსტინი (24-4-4, 16 ნოკაუტი) და არც კინგი არ დასწრებიან. ცნობისთვის, ოსტინს ამ ნაგებამდე ნოკაუტი ერთადერთხელ ეწვნია - 2001 წელს ის მეცხრე რაუნდში დააგდო **ატილა ლევინმა**. იმ მარცხის შემდეგ, კლიჩკომდე ოსტინს წაგება არ ჰქონდა, თუმცა, არც ღირებული მეტოქე ჰყოლია.

შეგახსენებთ, რომ კლიჩკომ თავისი ტიტული შარშან, აპრილში მოიპოვა მას შემდეგ, რაც მეშვიდე რაუნდში ამერიკელ **კრის ბერდს** ნოკაუტი აწვნია. ოსტინმა კი ჩემპიონთა ბრძოლის უფლება მას შემდეგ მოიპოვა, რაც რუს **სულტან იბრაგიმოვთან** შეხვედრა ფრედ დაასრულა.

იმ დროს, როდესაც კლიჩკომ თავისი ტიტული მაეჰაიმში დაიცვა, იბრაგიმოვი ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" თეატრალურ დარბაზში, 46 წამში გაუსწორდა **ხავიერ მორას** და მაშინვე განაცხადა, ახლა ტიტულისთვის ბრძოლა მწყურია და სულერთია, ოთხი პრესტიჟული გაერთიანებიდან რომლის ჩემპიონთან მომიწევს შეხვედრაო. ოღონდ, ამჯერად "მედისონ სკვერის" მთავარ არენაზე მსურს ბრძოლაო.

მერე კი დააკონკრეტა, ყველაზე მეტად WBO-ის ჩემპიონ **შენონ ბრიგსთან** შეხვედრა მსურს, რადგან ეს ბიჭი ძალიან ბევრს ლაპარაკობს და მინდა, ხმა ჩავაკმედინოო. ჩემპიონს რომ პნევმონია არ დამართნოდა, იბრაგიმოვს სწორედ მასთან უნდა ებრძოლა, მაგრამ ბრიგსის ნაცვლად მორასთან შეხვედრამ მოუწია.

სასტარტო გონგისთანავე რუსმა შეუტია, ვინც მსუბუქწონოსანივით მკვირცხლად ირჯებოდა. რუსმა ჯერ მარჯვენა მუშტი შეაგება მეტოქეს, მერე ცაციაც მიაყოლა და მორა რინგზე დასცა. მან წამოდგომა კი შეძლო, მაგრამ დიდხანს ბრძოლა აღარ გაგრძელებულა - მაშინვე კიდევ ერთი მოხვდა და კვლავ დაეცა. რეფერი **მაიკლ ორტეგას** ისლა დარჩენოდა, ბრძოლა გაეჩერებინა.

ბრძოლის შემდეგ იბრაგიმოვმა (20-0-1) განაცხადა, მინდოდა, ეს შეხვედრა დიდხანს გაგრძელებულიყო - კარგი ვარჯიში გამომივიდოდა, მაგრამ რა ვქნა, მორამ (21-4-2) ჩემს მუშტებს ვერ გაუძლოო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

პრო ტური

# პროლოგი მილარისაა

სტარტი აილო საგზატკეცილო ველოსპორტში ყველაზე პოპულარულმა, პრო ტურის სერიამ, რომლის პირველი ეტაპი - პარიზი-ნიცას რბოლა, რომლის ჩატარებაც ველოსპორტის საერთაშორისო კავშირსა და ველომარათონების ორგანიზატორებს შორის დროებითი ზავის დადების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

რბოლის გამხსნელი ეტაპი, ეგრეთ წოდებული პროლოგი, შოტლანდიელი **დევიდ მილარის** გამარჯვებით დასრულდა. 4.7-კილომეტრიანი დისტანცია მან 6 წუთსა და 01 წამში გაიარა და ოდენ ერთი წამით აჯობა ჩეხ **რომან კროიციგერს**. მესამე ადგილი ფრანგმა **სებასტიან ჟოლიმ** დაიკავა.

მილარი დროზე ინდივიდუალური რბოლების სპეციალისტია. მას ტურ დე ფრანსის პროლოგიც აქვს მოგებული და ამავე დისციპლინაში 2003 წელს მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, თუმცა მალე ეს ტიტული ჩამოართვეს. ამის მიზეზი კი ის გარემოება გახდა, რომ მან აკრძალულ ჰორმონ ერითროპოიეტინის გამოყენება აღიარა. გარდა იმისა, რომ ამის გამო მან მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაკარგა, ორწლიანი დისკვალიფიკაციითაც დაისაჯა.

სასჯელის მოხდის შემდეგ, სულ ახლახანს, მას კიდევ დასდეს ბრალი დოპინგის გამოყენებასა და გავრცელებაში, თუმცა ამჯერად მილარმა ეს საქმე მოიგო. უფრო სწორად, პროკურორმა მისი საქმის შეჩერება მოითხოვა, რადგან მილარი გამოძიებასთან თანამშრომლობდა.

*"პარიზი-ნიცას პროლოგის მოგება, ამ სეზონისთვის ჩემი პირველი მიზანი იყო და ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვებას მივაღწიე. რაც მთავარია, გამოჩნდა, რომ სეზონს კარგ ფორმაში ვიწყებ. დისკვალიფიკაციის შემდეგ, გასული სეზონი ძალიან ძნელი იყო. ფიზიკურადაც გამიჭირდა და მორალურადაც. ამ სეზონში ჩემი მეორე დიდი მიზანი ისაა, რომ დროზე რბოლაში მუდმივად მოწინავეთა შორის ვიყო. იდეალურ შემთხვევაში კი ტურის პროლოგის მოსაგებად და მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროსთვის ვიბრძოლებ"*, - განაცხადა მილარმა, ვინც პროლოგზე მოპოვებული ყვითელი მაისურის შენარჩუნებას, რაც შეიძლება, დიდხანს ეცდება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მისი უპირატესობა მეტად მცირეა, ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდება. მაგრამ თავად იმედოვნებს, რომ თანაგუნდელების შემწეობით, ამას შეძლებს.

სხვათა შორის, მილარმა შარშანდელ ვუელტაზე დროზე ინდივიდუალური რბოლა მოიგო, მაგრამ თავად მიაჩნია, რომ მისი კარიერა სწორედ ახლა იღებს მეორე სტარტს. ის იმედოვნებს, რომ ამჯერად მისი აღმასვლა აღარ შეწყდება და კვლავ მიაღწევს იმას, რაც დოპინგის გამო ერთხელ უკვე ჩამოართვეს.

ველომრბოლმა თავის თავს ხუთწლიანი გეგმა დაუსახა, რომლის საბოლოო მიზანიც მსოფლიოს საუკეთესო ველომრბოლის სახელის მოხვეჭაა. მეორეც, ერთ დროს დოპინგის გამოყენების გამო დასჯილი ველომრბოლი ამჯერად დოპინგთან ბრძოლის ავანგარდში იმყოფება - დოპინგსაწინააღმდეგო კამპანიის ერთ-ერთი აქტიური წევრია.

პარიზი-ნიცა (საფრანგეთი). პროლოგი (4.7 კმ)

**1. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, სონიე დიუვალ-პროდირი) 6.01 (46.869 კმ/სთ); 2. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, ლიკიგაზი) 0.01; 3. სებასტიან ჟოლი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) 0.02; 4. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.02; 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 0.02; 6. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.03...**




დევიდ მილარი

## ჩოგბურთი

ტურნირები

**ATP**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**I წრე**

**მიკაელ ლოდრა (საფ)**-ტომაშ ხიბი (ჩეხ) 6:4, 6:4; **გილერმო გარსია ლორპესი (ესპ)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:3, 7:6 (3); **ფლორან სერა (საფ)**-კრისტიან პლესი (დან) 7:6 (6), 6:4; **ჟილ სიმონი (საფ)**-რაინერ შუტლერი (გერ) 6:1, 4:6, 7:5; **ნიკოლა მაუ (საფ)**-ხუან მონაკო (არგ) 3:6, 6:3, 7:6 (2); **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-კრისტოფ ვლიგენი (ბელ) 6:3, 6:4; **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-სიმონ გრეული (გერ) 6:7 (6), 7:5, 6:1; **ფრანკ დანჩევიჩი (კან)**-ალექსანდრ ვასკე (გერ) 6:1, 6:7 (5), 6:4; **ანდრეას სეპი (იტა)**-ალექს კუზნეცოვი (აშშ) 6:4, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-კრის გუჩიონე (ავსტრა) 6:2, 7:6 (6); **ჟულიან ბენეტო (საფ)**-გაელ მონფილსი (საფ) 3:6, 6:3, 7:5; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-გუსტავო კუერტენი (ბრა) 7:6 (5), 6:2; **ფლორიან მაიერი (გერ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:1, 6:2; **იონას ბიორკმანი (შვედ)**-ბიორნ ფაუ (გერ) 3:6, 6:4, 7:6 (4); **დანიელე ბრაჩიალი (იტა)**-ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:2, 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ჰიუნგ ტაიკ ლი (კორ) 6:4, 7:5; **უესლი მუდი (ს. აფრ)**-ლუკაშ დლუჰი (ჩეხ) 7:5, 6:3; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:5, 7:6 (3); **არნო კლემანი (საფ)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 6:7 (3), 6:4, 6:2; **ვინსენტ სპეიდი (აშშ)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:1, 6:2; **პოლ ანრი მატიო (საფ)**-ალბერტო მარტინი (ესპ) 6:4, 6:1; **ხოსე აკასუსო (არგ)**-სებასტიან გროსჟანი (საფ) 6:4, 6:4; **პოლ გოლდსტეინი (აშშ)**-სერხიო როიტმანი (არგ) 6:3, 7:6 (3); **ლუის ორნა (პერ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:0, 4:6, 6:2; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-პარადორნ შრიჩაფანი (ტაილ) 6:4, 6:2; **კარლოს მოია (ესპ)**-პოლ კაპდევილე (ჩილ) 6:4, 6:4; **ტომას იოჰანსონი (შვედ)**-მაქს მირნი (ბლრ) 6:4, 7:6 (7); **გილერმო კანიასი (არგ)**-ირჟი ჰაიეკი (ჩეხ) 6:1, 6:1; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 7:6 (1), 6:3; **იან ჰერნიჩი (ჩეხ)**-ტიმ ჰენმანი (ბრიტ) 7:5, 3:6, 7:5; **სემ კვერი (აშშ)**-კრისტოფერ როხუსი (ბელ) 6:2, 6:4.

**II წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-არნო კლემანი (საფ) 6:3, 7:6 (3); **ენდი როდიკი (აშშ, 3)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 7:6 (5), 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 15)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 7:6 (2), 6:2; **ხოსე აკასუსო (არგ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 16) 7:6 (9), 6:4; **იარკო ნიემინენი (ფინ, 18)**-პოლ გოლდსტეინი (აშშ) 1:6, 6:4, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 22)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:0, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 32)**-ანდრეას სეპი (იტა) 7:6, 6:3 (5); **ო. როხუსი (ბელ, 33)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:1, 6:4.

**WTA**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**II წრე**

**მარია შარაპოვა (რუს, 1)**-მიხაელა კრაიჩეკი (პოლ) 7:6 (5), 6:4; **მარტინა ჰინგისი (შვეიც, 3)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 6:1, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 7)**-შენაი პერი (აშშ) 6:1, 6:3; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 8)**-მირიანა ლუჩიჩი (ხორ) 6:2, 7:5; **შაარ პეერი (ისრ, 11)**-ტიან ტიან სუნი (ჩინ) 6:3, 6:0; **ნა ლი (ჩინ, 12)**-ნიკოლ პრატი (ავსტრა) 6:4, 1:6, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 14)**-კაია კანეპი (ესტ) 6:2, 2:6, 6:1; **ვერა ზვონარევა (რუს, 15)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:5, 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 18)**-მარტინა სუხა (სლოვაკ) 6:4, 6:4; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 19)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:3, 6:7 (2), 7:6 (4); **ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-ჟიე ჟენგი (ჩინ, 22) 6:3, 7:5; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 23)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 7:5, 7:5; **მარია კირილენკო (რუს, 25)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 3:6, 6:0, 6:4; **მარტინა მიულერი (გერ, 28)**-მეილენ ტუ (აშშ) 2:6, 6:3, 6:3; **ნატალი დეში (საფ)**-ფლავია პენეტა (იტა, 31) 6:7 (3), 6:4, 6:2; **ივონ მოისბურგერი (ავსტრია)**-რობერტა ვინჩი (32, იტა) 2:6, 6:2, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-რომინა ოპრანდი (რუმ) 7:5, 6:3; **ნადია პეტროვა (რუს, 4)**-ხისელა დულკო (არგ) 6:3, 6:4; **ნიკოლ ვაიდიშოვა (სლოვაკ, 6)**-ბეტანი მატკეი (აშშ) 6:4, 6:1; **დინარა საფინა (რუს, 9)**-მარტა დომაჩოვსკა (პოლ) 6:3, 5:7, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 10)**-ვანია კინგი (აშშ) 6:3, 6:0; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 13)**-აიკო ნაკამურა (იაპ) 6:0, 7:5; **აი სუგიამა (იაპ, 16)**-მენგ იუანი (ჩინ) 6:4, 7:6 (3); **მარიონ ბარტოლი (საფ, 17)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:1, 6:2; **ტატიანა გარბინი (იტა, 20)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 7:5, 6:2; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 21)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:3, 6:4; **ალისია მოლიკი (ავსტრა)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 24) 6:3, 5:7, 6:4; **ელენა ლიხოვცევა (რუს)**-ოლგა პუჩკოვა (რუს, 26) 7:6 (3), 6:2; **ლაურა გრენვილი (აშშ)**-სევერინ ბრემონი (საფ, 27) 6:3, 7:6 (3); **აშა როული (აშშ)**-მეგან შონესი (აშშ, 29) 1:6, 6:1, 6:4; **შუაი პენგი (ჩინ, 30)**-ვასილისა ბარდინა (რუს) 6:2, 6:0; **სიბილ ბამერი (საფ, 33)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:1, 6:0.

## სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

# კუშეს პატარა გლობუსი



დიდიე კუშე გამარჯვებას ზეიმობს

შვეიცარიელი **დიდიე კუშეს** გამარჯვებით დასრულდა დაშვებაში მიმდინარე სეზონის ბოლოსწინა რბოლა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სეზონში მისთვის ეს პირველი გამარჯვებაა, კუშემ მაინც ვადაზე ადრე გაინაღდა ამ ჩქაროსნულ დისციპლინაში ბროლის მცირე გლობუსი.

ნორვეგიის კვიტფელში ასპარეზობა ნისლიანმა ამინდმა გაართულა, რის გამოც, მისმა ორგანიზატორებმა რბოლა 90 წუთით შეწყვიტეს. ნარბოლევს კუშემ განაცხადა, როცა დავინახე, რომ ამინდის გამო, რბოლა შეიძლება საერთოდ გაუქმებულიყო, ძალიან გამიხარდაო. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ასე არ მოხდა, საბოლოოდ, მას მაინც მიეცა ზეიმის საშუალება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში კუშეს არაერთხელ ჰქონდა ტიტულის მოპოვების შანსი, მაგრამ მიზნამდე ხშირად ერთი ნაბიჯი აკლდებოდა. მიმდინარე სეზონი მისთვის აშკარად არ იყო საუკეთესო, თუმცა, სტაბილურობის წყალობით, შვეიცარიელმა როგორღაც მოახერხა და მოუგებლად სოლიდური უპირატესობით ლიდერობდა კლასიფიკაციას.

კვიტფელში მოპოვებული გამარჯვებით კი მეტოქეების ყველა იმედს, მისთვის გაესწროთ, წერტილი დაუსვა. დაშვებაში ამ სეზონში ერთი რბოლაღაა ჩასატარებელი, კუშე კი 168 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს, ლიხტენშტაინელ **მარკო ბიუხელს**. შეგახსენებთ რომ მოგებისთვის მოთხილამურეს 100 ქულა ეწერება.

კუშესთან მხოლოდ 0.06 წამი წააგო კანადელმა **ერიკ გაიმ**, მესამეზე კი ბიუხელი გავიდა.

*"როცა გავიგე, რომ რბოლა შეწყდა, მეგონა, რომ ის აღარ განახლდებოდა. ძალიან გამიხარდა, რადგან მეგონა, რომ ბოლოს და ბოლოს, მიზანს მივაღწიე. მერე კი გამოაცხადეს, რომ ნისლის გაფანტვის შემთხვევაში, რბოლა განახლდებოდა. ეს ძალიან ძნელი მომენტია, როცა გაიგებ, რომ თითქმის ჩაშლილი რბოლა მაინც ჩატარდება. როგორღაც მოვახერხე მობილიზება და ბედნიერი ვარ, რომ მოგება შევძელი"*, - განაცხადა კუშემ, ვისაც წელს 33 წელი უსრულდება.

კვიტფელში მოპოვებული გამარჯვება მხოლოდ მეექვსეა მის სპორტულ კარიერაში. ამასთან, ბოლო სამ სეზონში მან პირველად შეძლო მსოფლიო თასის რბოლის მოგება. კვიტფელამდე უკანასკნელად მან 2004 წელს გარმიშპარტენკირხენში მოიგო (დაშვება).

ყველაფერთან ერთად, ამ მოგების წყალობით, კუშემ აბსოლუტურ კლასიფიკაციაში ლიდერთა სამეულშიც შეაღწია, სადაც განლაგება არ შეცვლილა - ლიდერობა კვლავ ავსტრიელ **ბენი რაიხს** დარჩა, მეორეზე კი კვლავ ნორვეგიელი **აკსელ ლუნდ სვინდალი** იყო.

პარალელურად, გერმანიის ცვაიზელში ქალებს გიგანტური სლალომის ბოლოსწინა რბოლა ჰქონდათ, რომელშიც ყველას ფინელმა **ტანია პოუტიაინენმა** აჯობა, ვისაც მხოლოდ 0.11 წამით ჩამორჩა ავსტრიელი **ნიკოლ ჰოსპი**. მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა ამერიკელი **ჯულია მანკუზო**, ვისაც პირველი ცდის შემდეგ საუკეთესო შედეგი ჰქონდა.

ჰოსპმა თავისი მეორე ადგილით გიგანტურ სლალომშიც შეინარჩუნა ლიდერობა და აბსოლუტურშიც ერთპიროვნულად ჩაუდგა ცხრილს სათავეში.

ის ახლა 19 ქულას უგებს მანკუზოს, ვისაც რეალური შანსი აქვს, 1983 წლის შემდეგ გახდეს პირველი ამერიკელი, ვინც ბროლის დიდ გლობუსს დაეუფლება. ცნობისათვის, ამერიკელთაგან ბოლოს ეს პატივი **ტამარა მაკკინის** ერგო.

### კვიტფელი (ნორვეგია). კაცები. დაშვება

1. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:28.51; 2. ერიკ გაი (კანადა) 1:28.57; 3. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 1:28.80; 4. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 1:28.84; 5. პეტერ ფილი (იტალია) 1:28.94; 6. იოჰან კლარი (საფრანგეთი) 1:29.20; 7. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 1:29.25; 7. ბრუნო კერნენი (შვეიცარია) 1:29.25; 9. ვერნერ ჰეელი (იტალია) 1:29.27; 10. ლარს ელტონ მირე (ნორვეგია) 1:29.30...

### დაშვების კლასიფიკაცია

1. დიდიე კუშე (შვეიცარია) 607; 2. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 439; 3. ერიკ გაი (კანადა) 393; 4. პეტერ ფილი (იტალია) 382; 5. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 346...

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1055; 2. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 952; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 903; 4. ბოდე მილერი (აშშ) 707; 5. პეტერ ფილი (იტალია) 691; 6. მარიო მატი (ავსტრია) 664; 7. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 517; 8. მარკ ბერთო (შვეიცარია) 496; 9. მარიო შაიბერი (ავსტრია) 484; 10. კალე პალანდერი (ფინეთი) 482...

### ცვაიზელი (გერმანია). ქალები. გიგანტური სლალომი

1. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 1:50.12 (55.44, 54.68); 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:50.23 (56.05, 54.18); 3. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 1:50.26 (55.51, 54.75); 4. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 1:50.31 (55.57, 54.74); 5. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:50.54 (55.28, 55.26); 6. ანია პერსონი (შვედეთი) 1:50.86 (56.43, 54.43); 7. ვიქტორია რებენსბურგი (გერმანია) 1:50.89 (56.51, 54.38); 8. მარლის შილდი (ავსტრია) 1:50.92 (56.45, 54.47); 9. ჟენევიევ სიმარი (კანადა) 1:51.07 (55.76, 55.31); 10. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) 1:51.18 (56.26, 54.92)...

### გიგანტური სლალომის კლასიფიკაცია

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 390; 2. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 374; 3. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 297; 4. ჯულია მანკუზო (აშშ) 251; 5. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 206...

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1263; 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 1244; 3. მარლის შილდი (ავსტრია) 1202; 4. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1200; 5. ლინდსი კილოდუ (აშშ) 808; 6. ანია პერსონი (შვედეთი) 669; 7. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 643; 8. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 575; 9. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 568; 10. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 508...

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

#### 9 მარტი

**ვაშინგტონი-კაროლინა 0:3**

0:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ლედი-8 (ს. უოკერი-25, ე. სტაალი-35), 0:2 ჯასტინ უილიამსი-32 (ბრინდამორი-50), 0:3 ვალინი-2.

**კოლამბუსი-დალასი 0:3**

0:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ზუბოვი-10 (ნადი-34, ბუშე-26), 0:2 ჰაგმანი-14 (ი. ლეჰტინენი-13, ი. იოკინენი-25), 0:3 რიბეირო-11 (ბუშე-27, ზუბოვი-33).

**დეტროიტი-ლოს ანჯელესი 3:2 (ო)**

0:1, 1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ივანანსი-4 (ცაილერი-1), 1:1 დაციუკი-21 (ფრანცენი-17, ფილპულა-5), 1:2 უილსი-8 (დალმანი-9, კოსტოპულოსი-12), 2:2 ლებდა-4 (ჰაშეკი-2), 3:2 სამუელსონი-12 (დაციუკი-51).

**ბაფალო-მინესოტა 1:5**

0:2, 0:0, 1:3

**გოლები:** 0:1 მური-7 (ბუშარი-31), 0:2 მური-8 (სკოულა-14, როსლტონი-29), 0:3 დემიტრა-22 (გაბორიკი-15, ბერნსი-14), 0:4 კარნი-3 (რადივოევიჩი-12, მ. კოივუ-28), 1:4 რაინი-3, 1:5 ტ. უაიტი-12 (ბერნსი-15).

**ანაჰაიმი-ედმონტონი 5:1**

1:0, 3:1, 1:0

**გოლები:** 1:0 გეტცლაფი-22 (ბოშემენი-13, ს. ნიდერმაიერი-43), 2:0 კ. პერი-15 (პენერი-15, გეტცლაფი-23), 3:0 გეტცლაფი-23 (ს. ნიდერმაიერი-44, კ. პერი-21), 3:1 პეტერსენი-4 (მ. გრინი-8), 4:1 პენერი-25 (ჯეკმენი-9, ჰასკინსი-2), 5:1 ე. მაკდონალდი-20 (ო'დონელი-12, კუნიტცი-29).

**სან ხოსე-ვანკუვერი 1:2 (ო)**

0:0, 0:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 პიატი-18 (დ. სედინი-36, მიტჩელი-10), 0:2 მარლო-30 (ჯ. ტორნტონი-69, მ. კარლი-24), 1:2 ჰ. სედინი-9 (ბიეკსა-27).

#### 10 მარტი

**ფილადელფია-ბოსტონი 4:1**

1:1, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 განიე-37 (აპშოლი-5, პიტკანენი-34), 1:1 ვიდემანი-6 (სავარი-64), 2:1 მ. რიჩარდსი-7 (აფანასენკოვი-9), 3:1 აპშოლი-7 (უმბეგერი-11), 4:1 აფანასენკოვი-10 (ს. კაპანენი-13).

**პიტსბურგი-რეინჯერსი 3:2 (ო)**

0:1, 0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 რახუნეკი-6 (ნიულანდერი-48, პრუხა-16), 0:2 კულენი-13 (ორტმაიერი-8), 1:2 მალკინი-31 (რეი უიტნი-37, გონჩარი-44), 2:2 კროსბი-28 (მალკინი-42, გონჩარი-45), 3:2 კ. არმსტრონგი-10 (ტელბოტი-10).

**ბაფალო-ნიუ ჯერსი 2:3**

1:1, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ზუბრუსი-21 (ვანეკი-31, ტალინდერი-7), 1:1 ზაიაცი-14 (ლანგენბრუნერი-32, პარიზე-25), 1:2 რუპი-5 (ელიაში-44, პ. მარტინი-23), 2:2 ბრიერი-28 (პაეტში-18, ბ. კემპბელი-35), 2:3 რაფალსკი-8 (დაუდი-4).

**ტორონტო-ოტავა 4:3 (ო)**

0:1, 1:2, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ალფრედსონი-24 (რედენი-26, სპეცა-43), 0:2 ფიშერი-18 (ალფრედსონი-50, რედენი-27), 1:2 ტაკერი-21 (სუნდინი-35, მაკეიბი-37), 1:3 ჰიტლი-42 (სპეცა-44), 2:3 დევეროო-4 (სტაიანი-24, კოლაიაკოვო-5), 3:3 ანტროპოვი-13 (სუნდინი-36, პონიკაროვსკი-20), 4:3 ტაკერი-22 (კუბინა-12, სტაიანი-25).

**ნეშვილი-კოლამბუსი 2:1**

2:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ბრული-7 (ჩიმერა-16, მალორტა-14), 1:1 კარია-23 (ლეგვანდი-33, ერატი-41), 2:1 ლეგვანდი-23 (ჰამჰუისი-11, კარია-47).

**სენტ ლუისი-მონრეალი 3:4**

0:2, 1:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ბიგინი-4 (დანდენო-5, პლეკანეცი-22), 0:2 ლაპიერი-4, 0:3 ლატენდრესი-13 (კოვალიოვი-28, ბუიონი-8), 1:3 უეიტი-11 (ბოიესი-24, ვოივიტკა-6), 2:3 ბეკსი-9 (მაკლემანი-20, ბრიუერი-21), 3:3 მეტროპოლიტი-13 (სტემპნიაკი-22, დვორაკი-23), 3:4 კოვალიოვი-14 (კომისარეკი-11).

**აილენდერსი-ვაშინგტონი 5:2**

2:0, 2:0, 1:2

**გოლები:** 1:0 სილინჯერი-23 (ჰილბერტი-19, უიტი-13), 2:0 ჰილბერტი-7 (მ-ა. ბერჟერონი-24, ჰანტერი-11), 3:0 ჯ. ბლეიკი-34 (რ. სმიტი-24, რ. რობიტაილი-24), 4:0 მ-ა. ბერჟერონი-11 (პოტი-26, სილინჯერი-29), 4:1 ოვეჩკინი-39 (ნოვოტნი-9, შ. მორისონი-8), 4:2 ბრაშირი-3 (იურჩინა-5, შ. მორისონი-9), 5:2 ჯ. ბლეიკი-35 (რ. რობიტაილი-25, რ. სმიტი-25).

**ატლანტა-ფლორიდა 2:3**

1:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 1:0 მარიან ჰოსა-40 (ქიტნიკი-26, ბელანჟე-17), 1:1 ო. იოკინენი-31 (ბუტი-5, მონტადორი-7), 1:2 ჰორტონი-25 (გელინასი-27, ბ. ალენი-17), 1:3 ბოუმისტერი-10 (ო. იოკინენი-38), 2:3 ტკაჩუკი-23 (მარიან ჰოსა-49, ქიტნიკი-27).

**ფინიქსი-ჩიკაგო 5:7**

3:5, 0:2, 2:0

**გოლები:** 0:1 ტ. რუუტუ-15 (ჰავლატი-28), 0:2 შარპი-14 (რენე ბურკი-5, ჯ. ჰამილტონი-15): 0:3 შარპი-15 (ჯ. ჰამილტონი-16, არხიპოვი-11), 0:4 ჰოლმკვისტი-5 (ლაპოინტი-8, ბონდრა-9), 1:4 ბ. ტომასი-3 (დ. მორისი-12, რაინპრეხტი-17), 2:4 ზიგომანისი-12 (კ. ადამსი-6, ტიარნკვისტი-6), 2:5 ჯ. ჰამილტონი-15 (რენე ბურკი-6, კეიტი-26), 3:5 ტეფი-3 (დ. მორისი-13, ბ. ტომასი-3), 3:6 ჯ. ჰამილტონი-16 (რენე ბურკი-7, არხიპოვი-12), 3:7 ჯ. ჰამილტონი-17, 4:7 კარჩილო-1 (ნ. კაპანენი-11, ნოლანი-19), 5:7 ტიარნკვისტი-3 (ნ. კაპანენი-11, დ. მორისი-14).

**კალგარი-ტამპა ბეი 2:3 (ო)**

0:1, 1:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ტარნავსკი-4 (ტ. ტეილორი-4, ჯ. უორდი-8), 1:1 ფრიზენი-5 (უორენერი-6, ზიუზინი-4), 2:1 კონროი-11 (ზიუზინი-5, ტანგეი-49), 2:2 ლეკავალიე-46 (ტარნავსკი-3, ფედოტენკო-18), 2:3 ბოილი-15 (ლეკავალიე-47, სენტ ლუისი-53).

## TV სპორტი

### 12 მარტი. ორშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-დეპორტივო.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-არსენალი.
20:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:05 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:35 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:35 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:35 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-დეპორტივო.
09:50 კრივი. რინგ-საიდი.
10:50 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-რეინჯერსი.
12:25 სპორტული ტანვარჯიში.
13:05 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/4 ფინალი. ჩელსი-ტოტენჰემი.
15:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
17:15 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სანტოსი-სან პაულუ.
19:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. მარიტიმუ-პორტუ.
21:15 ცურვა.
21:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
22:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 სპორტკლუბი.
00:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:00 პროფესიული კრივის საღამო.
03:35 მძლეოსნობა.
04:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-დეპორტივო.
05:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
06:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ბარსელონა.

#### EUROSPORT

11:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
12:00 ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. II ცდა. კურიტიბა. ბრაზილია.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
13:30 მოტოსპორტი. კატარის გრან-პრი. დოჰა.
14:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი.
15:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი.
18:00 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. I ეტაპი (LIVE).
19:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი.
20:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. კვალიფიკაცია. კუოპიო. ფინეთი (LIVE).
21:30 ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-დანია. პორტუგალია (LIVE).
23:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. კვალიფიკაცია. კუოპიო, ფინეთი.
00:00 ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-შვედეთი. პორტუგალია (LIVE).
02:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
03:00 მულტისპორტი.
04:00 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

10:15 საერთაშორისო რალი. კენია.
10:30 ახალი ამბები.
13:00 რაგბი. ამხანაგური მატჩები. ბიარიტცი (საფრანგეთი)-ტულუზა (საფრანგეთი).
14:00 ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ხტომები. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
14:30 ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ორმაგი მოგული. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ლაკროსი. ჩრდილოამერიკის ლიგა. ოლ სტარი.
18:00 ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-გერმანია. პორტუგალია.
19:15 მოტოსპორტი. კატარის გრან-პრი. მოტოგრანპრი. დოჰა.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ავტოსპორტი. FIA WTCC. ტელეჟურნალი.
22:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/16 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
23:45 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. კახა სან ფერნანდო-ბარსელონა.
01:00 პოკერი. ევროპის მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-გერმანია. პორტუგალია.
03:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ლოს ანჯელესი (LIVE).
05:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| არგენტინა | |
|---|---|
| ნუევა ჩიკაგო-ხიმნასია (ხ) | 0:0 |
| ინდეპენდიენტე-როსარიო | 2:0 |
| ველესი-კილმესი | 1:0 |
| ესტუდიანტესი-ბოკა | 1:3 |
| რივერი-არსენალი | 2:1 |
| ხიმნასია (ლ)-ბელგრანო | 2:2 |
| გოდოი-კოლონი | 2:0 |
| ნიუელსი-არგ. ხუნიორსი | 1:0 |
| სან ლორენსო-ბანფილდი | 2:1 |
| ლანუსი-რასინგი | გვ. დასრულდა |

| მექსიკა | |
|---|---|
| ტეკოსი-მონტერეი | 2:0 |
| სან ლუისი-ს. ლაგუნა | 2:3 |
| ვერაკრუსი-ატლანტე | 0:1 |
| მორელია-პაჩუკა | 0:1 |
| ტიგრესი-ტოლუკა | 0:2 |
| კერეტარო-ნეკაქსა | 2:0 |
| ატლასი-ხაგუარესი | 0:1 |
| პუმასი-ჩივასი | 0:0 |
| ამერიკა-კრუს ასული | გვ. დასრულდა |

| ჩილე | |
|---|---|
| უნ. დე ჩილე-კობრელოა | 0:1 |
| იტალიანო-უაჩიპატო | 1:0 |
| ლა სერენა-ევერტონი | 1:1 |
| ანტოფაგასტა-ო'ჰიგინსი | 1:1 |
| ლოტა-უნ. კონსეპსიონი | 2:4 |
| ნუბლენსე-კოლო კოლო | 0:2 |
| პუერტო მონტი-უნ. ესპანიოლა | გადაიდო |
| სანტიაგო-მელიპილა | გვ. დასრულდა |
| კობრესალი-კოკიმბო | გვ. დასრულდა |
| დ.კონსეპსიონი-უნ.კატოლიკა | გვ.დასრულდა |

| ურუგვაი | |
|---|---|
| ბელა ვისტა-სენტრალი | 1:0 |
| სერიტო-დანუბიო | 1:3 |
| დეფენსორი-როჩა | 0:1 |
| მირამარი-ნასიონალი | 2:0 |
| ლივერპული-რივერ პლეიტი | 1:4 |
| პროგრესო-ტაკუარემბო | 2:2 |
| რამპლა-რენტისტასი | 1:1 |
| უონდერერსი-პენიაროლი | გვ. დასრულდა |

| იაპონია | |
|---|---|
| კოფუ-ნაგოია | 0:2 |
| ჰიროშიმა-კაშივა | 1:1 |
| ივატა-ოიტა | 2:1 |
| ომიია-ტოკიო | 0:2 |
| იჩიჰარა-შიმიცუ | 1:3 |
| იოკოჰამა-იოკოჰამა მარინოსი | 1:0 |
| კაშიმა-გამბა | 0:1 |
| ნიიგატა-ურავა | 2:2 |
| კობე-კავასაკი | 1:1 |

### კალათბურთი

| საბერძნეთი | |
|---|---|
| პაოკ-მარუსი | 61:60 |
| ოლიმპიაკოსი-ოლიმპია | 74:60 |
| ეგალეო-მაკედონიკოსი | 84:63 |
| პანელინიოსი-აპოლონი | 83:72 |
| აეკ-არისი | 64:89 |
| ლარისა-პანათინაიკოსი | 65:82 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| რეალი-გრან კანარია | 82:85 |
| კ. სან ფერნანდო-ბარსელონა | 85:95 |
| ბილბაო-ვალიადოლიდი | 71:64 |
| ხუვენტუდი-ტაუგრესი | 79:67 |
| ფუენლაბრადა-მურსია | 98:80 |
| უნიკახა-გრანადა | 96:73 |
| მენორკა-ვალენსია | 100:89 |
| ბრუესა-ალიკანტე | 81:64 |
| ხირონა-ესტუდიანტესი | 79:84 |

| იტალია | |
|---|---|
| აველინო-ნაპოლი | 88:75 |
| მილანი-სნაიდერო | 91:84 |
| კლიმამიო-ვირტუსი | 81:92 |
| რეჯო ემილია-რომა | 83:85 |
| მონტეპასკი-ვარეზე | 74:61 |
| ტერამო-ბიელა | 78:74 |
| ლივორნო-დ'ორლანდო | 96:92 |
| მონტეგრანარო-ბენეტონი | 71:70 |
| კანტუ-სკაფატი | 100:85 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ვილერბანი-ბეზანსონი | 96:88 |
| ბურჟი-დიჟონი | 67:69 |
| კლერმონი-პავრი | 85:77 |
| გრაველინი-შოლე | 72:65 |
| ტულონი-პსჟ | 91:90 (ო) |
| რეიმსი-ნანსი | 63:93 |
| სტრასბური-შალონი | 94:63 |
| ორლეანეზი-პო ორტეზი | 61:87 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| აკ ბარსი-მეტალურგი (ნ) | 4:2 |
| მეტალურგი (მ)-მვდ | 7:1 |
| ცსკა-ლადა | 4:1 |
| სიბირი-ნეფტიხიმიკი | 2:0 |
| ხიმიკი-სევერსტალი | 3:0 |
| ს. იულაევი-სკა | 1:1 ო.ტ. 2:1 |
| ავანგარდი-ვიტიაზი | 5:1 |
| ლოკომოტივი-დინამო | 3:2 |

| გერმანია | |
|---|---|
| კრეფელდი-ჰამბურგი | 3:5 |
| აისბარენი-ფრანკფურტი | 1:2 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| სლოვანი-პოპრადი | 4:1 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ილვესი-ლუკო | 2:1 |
| პელიკანსი-ტაპს | 3:1 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ზნოიმო-პარდუბიცე | 3:1 |
| ტრშინეცი-ლიბერეცი | 4:1 |
| ბუდეიოვიცე-სლავია | 4:3 |
| სპარტა-ქლინი | 3:2 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| დავოსი-ციურიხი | 3:0 |
| ცუგი-რაპერსვილი | 6:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| მორა-ფერიესტადი | 2:4 |
| ბრინასი-ჰვ 71 | 4:2 |
| ტიმრა-მოდო | 3:3 |
| ლულეა-ლინჩოპინგსი | 1:2 |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# შაკი, ჩიქსი და სპურსის სერია

**მორის ჩიქსი** მომავალ სეზონშიც "ფილადელფიის" მთავარი მწვრთნელი იქნება. ამის შესახებ "ლეიკერსთან" თამაშამდე მასმედიელებს გუნდის მფლობელებმა შეატყობინეს.

რეგულარულის კოშმარულად დაწყების შემდეგ, "ფილადელფია" ისე ათამაშდა, თავიდან უამრავი დაუგეგმავი წაგებები რომ არ ეგემა, ახლა იქნებ, აღმოსავლეთის პირველ ხუთეულშიც ყოფილიყო.

**ალენ აივერსონი** "სიქსერზის" სახე აღარ არის, მაგრამ გუნდის ულაპარაკო ლიდერის გასწვრივ ამჯერადაც მანამდე ნახსენები ვარსკვლავის აღმნიშვნელი ინიციალებია. ოღონდ, AI ახლა **ანდრე იგუოდალაა.**

"ლეიკერსთან" შეხვედრაში იგუოდალამ სამივე სამქულიანი გამოიყენა და **კობი ბრაიანტთან** პრინციპულ დაპირისპირებაში, მეტოქეზე ბევრად სარგებლიანადაც ითამაშა. ანდრეს დაცვაში სიხისტის გამო, "ლეიკერსის" ვარსკვლავმა 44 წუთში 27-დან 15 სროლა გააფუჭა და ოთხი პერსონალური შენიშვნაც მიიღო. იგუოდალამ კი თავის გუნდს ზედიზედ მეექვსე მატჩი მოაგებინა, შინ კი ჩიქსის შეგირდებმა ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მოიპოვეს.

*"მორისი ამ გუნდისთვის საუკეთესო მწვრთნელია. არასოდეს დაგვიყენებია ეჭვქვეშ მისი კვალიფიკაცია. უბრალოდ, როდესაც სეზონის სტარტზე ბევრი რამ არ გამოგვდიოდა, მისი გაკრიტიკებით გუნდისთვის მოტივაციის შეძენა გადავწყვიტე. იმაშიც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ალენ აივერსონისა და კრის უებერის გაშვებით, გუნდი უკეთეს თამაშს ითამაშებდა"*, - ამბობდა ნამატჩევს "ფილადელფიის" პრეზიდენტი **ბილი კინგი.**

ბრაიანტს კი მშობლიურ ფილადელფიაში დაბრუნება შთამბეჭდავი ნაღდად არ გამოუვიდა. კობიმ თავისი საშუალო მონაგარი შეასრულა, მაგრამ დაცვაში ხელი არ გაუნძრევია, "ლეიკერსს" კი ამჯერადაც დაეტყო ტრავმირებული **ლამარ ოდომის, ლიუკ უოლტონის, ვლადიმირ რადმანოვიჩისა** და **ჯორდან ფარმარის** არყოფნა. "ლეიკერსში" გადასვლიდან თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა საქართველოს ნაკრების ყოფილმა წევრმა **შემონდ უილიამსმა,** რომელმაც 20 წუთში 6-დან 4 სამქულიანი გამოიყენა, ერთი შეცდომაც არ დაუშვია და არცთუ მცირე დროში არ დაჯარიმებულა. უილიამსმა მატჩი 14 ქულითა და 2 შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

"ფილადელფიის" გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მასპინძლებმა "ლეიკერსზე" ლამის სამჯერ მეტი საჯარიმო შეასრულეს. "სიქსერზმა" 37-დან 29 ერთქულიანი გამოიყენა, "ლეიკერსმა" კი - 14-დან 11. დიდი შესვენების შემდეგ, კობიმ 14-დან 11 სროლა გააფუჭა, **ფილ ჯექსონის** გუნდი კი ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა.

■ ■ ■

უმაღლესი დონის კალათბურთის დემონსტრირებას განაგრძობს "სან ანტონიო სპურსი".

"დალას მავერიქსისა" და "ფინიქს სანზის" რამდენიმე ფეერიული სერიის ფონზე, სპეციალისტებს და ალბათ, ჩვენც გამოგვრჩა მხედველობიდან **ტიმ დანკანისა** და მისი გუნდის აშკარა პროგრესი.

ტეხასურმა გრანდმა ზედიზედ მე-12-ედ დატოვა მოედანი გამარჯვებულის რანგში, ხოლო შვიდჯერ კი მისმა მეტოქეებმა 80-ზე მეტი ქულა ვერ დააგროვეს. ის კი არა, ამ 12 შეხვედრაში "სან ანტონიოს" ოპონენტებს ერთხელაც არ გაუკეთებიათ 100 ქულა.

**ბრიუს ბოუენმა** ხელი არ გაანძრევინა **ვინს კარტერს**, რომელმაც მატჩი ხუთი არაზუსტი სამქულიანით ჩაამთავრა, შეხვედრის მსვლელობისას კი "ნიუ ჯერსიმ" ორ-ორი ტექნიკური შენიშვნით ჯერ მთავარი მწვრთნელი **ლოურენს ფრენკი,** შემდეგ კი **ჯეისონ კიდიც** დაკარგა. "სან ანტონიოში" კი ინდივიდუალურად ვინმეს გამოყოფა გვიჭირს, რადგან წინა მატჩების დარად (რამდენიმე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით), "სპურსმა" ამჯერადაც იდეალური გუნდური თამაშით მიაღწია სანადელს.

■ ■ ■

დაივიწყეთ **დუეინ უეიდი**, მისი ტრავმა და მთელი ის აურზაური, რაც "მაიამი ჰიტის" ახალგაზრდა მეგავარსკვლავის ირგვლივ შეიქმნა.

სპეციალისტთა მეტი წილი მოქმედ ჩემპიონებს ხაზს იმ უბრალო მიზეზით უსვამდა, რომ უეიდს რეგულარულის ბოლომდე ველარ უნდა ეთამაშა. ეს საკითხი ჯერაც ღიადაა, მაგრამ, როგორც არ უნდა წარიმართოს, უეიდის გამოჯანმრთელების პროცესი, იქამდე, სანამ "მაიამის" **შაკი** ჰყავს, ეს გუნდი მხოლოდ და მხოლოდ გრანდთა შორის მოხსენიების ღირსია.




"მინესოტასთან" ონილმა 32 ქულით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი დაამყარა. შაკმა პირველი შვიდი სროლა გამოიყენა, საბოლოოდ კი 16-დან მხოლოდ სამჯერ ვერ ივარგა.

ეს იყო "ჰიტის" ზედიზედ მეხუთე გამარჯვება და შინ მიჯრით მოგებული მეთერთმეტე მატჩი.

"მაიამიში" გადასვლის მერე, პირველი ორმაგი დუბლი გამოჭედა ბებერმა **ედი ჯოუნსმა,** მისმა გუნდმა კი თამაშიდან სროლების 58% შეასრულა ზუსტად.

"მინესოტას" კი ვერაფერი შველის. **კევინ გარნეტი** ჯერაც სტაბილურობის ეტალონია, მაგრამ მისი და ხანდახან **რიკი დევისის** ოცქულიანი მატჩები გუნდის ასტრალიდან გამოსაყვანად არ კმარა.

"მგლები" ბოლო 9 მატჩში მეშვიდედ დამარცხდნენ, რაშიც ხელი შაკის საწყისმა "აფეთქებამ" შეუწყო. ონილმა პირველ ათ წუთში 15 ქულა დააგროვა, მშვენივრად ჩაერთო თამაშში მისი შემცვლელი **ალონზო მურნინგიც, გარი პეიტონმა** კი რიკი დევისს ძალიან ბევრი ფორსირებული ტყორცნა განახორციელებინა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "მაიამი" ფლეი ოფშია, "მინესოტას" კი ზემძლავრი დასავლეთის 8 საუკეთესოში მოსახვედრად ძალიან დიდი ბრძოლა მოუწევს.

■ ■ ■

მორიგი სამარცხვინო მატჩი ჩაატარა "დენვერ ნაგეტსმა".

**ჯორჯ კარლმა** პირობა დაარღვია და მისი სასტიკად გამაკრიტიკებელი **კარმელო ენტონი** სასტარტო ხუთეულში დააყენა. შვილის შეძენიდან ორი დღის მერე, "ნაგეტსის" კაპიტანმა 39 წუთში 21-დან მხოლოდ 6 ტყორცნა გამოიყენა, 7 (!) შეცდომა დაუშვა და 5 პერსონალური შენიშვნა მიიღო.

სწორედ ენტონის საშინელ თამაშს უნდა დაბრალდეს "დენვერის" მესამოცე შეხვედრაში 31-ე წაგება.

"დეტროიტი" კი უკვე საბოლოოდ გვარწმუნებს, რომ აღმოსავლეთში იგი ნომერი პირველი ფავორიტია, **რაშიდ უოლასი** კი თუ ოდნავ იშვიათად მიიღებს ტექნიკურებს, უკეთესი იქნება. მიჩიგანელთა ერთ-ერთმა ლიდერმა "დენვერთან" შეხვედრაში ამ სეზონში მე-16 ტექნიკური დაირტყა, რის გამოც მომდევნო შეხვედრას ავტომატურად გამოტოვებს. რაც შეეხება **კრის უებერს,** მან 11-დან მხოლოდ 2 სროლისას ვერ ივარგა და უოლასთან და **ანტონიო მაკდაიესთან** ერთად მთლიანად გადაუკეტა მასპინძლებს სამწამიანი.

ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ "დეტროიტი" "კლივლენდთან" ერთ საინტერესო გაცვლას ამზადებს. სეზონის დაწყებამდე "სან ანტონიოდან" აყვანილი ცენტრი **ნაზრ მოჰამედი** კარიერას, ალბათ, **ლებრონ ჯეიმსის** გუნდში გააგრძელებს, ხოლო "დეტროიტი" კი **ანდერსონ ვარეჟაოს** მიიღებს. "კლივლენდს" ასევე 2008 წლის დრაფტის მეორე წრეში "დეტროიტის" კუთვნილი მოთამაშის აყვანის უფლება მიეცემა.

■ ■ ■

ამ რეგულარულის მიმოხილვისას თითქმის არც ერთხელ არ შევხებივართ ზელიგის ყველაზე ტიტულოვან გუნდს, დღეს კი ყველაზე უიმედო აუტსაიდერ "ბოსტონ სელტიქსს".

გუნდური ანტირეკორდის დამყარებამ "ბოსტონს" ძალიან ბევრი ფანი ჩამოაშორა, მაგრამ თუ "სელტიქსი" დღევანდელი შემადგენლობიდან სამ მოთამაშეს შეინარჩუნებს, მაშინ მომდევნო რეგულარულში ამ გუნდს ფლეი ოფში გასვლის არცთუ ურიგო პერსპექტივა ექნება.

ულაპარაკოდ უნდა დარჩეს **პოლ პირსი, დელონტე უესტი** შესაძლოა **ანდრე მილერის** დონის ფლეიმეიქერად იქცეს, ხოლო **ელ ჯეფერსონის** სახით კი, "სელტიქსს" **ჯერმეინ ონილის** მერე მთელ აღმოსავლეთში ყველაზე სახიფათო და მოძრავი მაღალი მოთამაშე ეყოლება.

ჯეფერსონი ლამის მატჩიდან მატჩამდე უმატებს. "სიეტლთან" შეხვედრაში, რომლის მსვლელობისას "ბოსტონი" მეორე მეოთხედში მეტოქეს 16 ქულითაც კი ჩამორჩა, ჯეფერსონმა 31 ქულა მოიმკო და რაც მთავარია, დიდი შესვენების შემდეგ "ზებგერითების" მაღლების ტანდემს (**ნიკ კოლისონი** და **კრის უილკოქსი**) მხოლოდ 9 ქულა დააგროვებინა.

დელონტეს ნაცვლად სასტარტოში **რაჯონ რონდო** დადგა და მშვენივრადაც შეცვალა გუნდის ძირითადი გამთამაშებელი. რონდომ 9-დან 7 საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა და **ჯერალდ გრინთან** ერთად **რეი ალენს** დიდი პრობლემები შეუქმნა. "სონიქსის" მთავარმა მექულემ 9-დან 7 სამიანი არაზუსტად შეასრულა, **რაშარდ ლიუისისთვის** კი ეს ბოლო ორ კვირაში ყველაზე პასიური მატჩი იყო. 16 ქულა საგანგაშო ნამდვილად არ არის, მაგრამ რაშარდმა თამაშიდან ბედი მხოლოდ 11-ჯერ სცადა, რაც მის საშუალო მაჩვენებელზე 5-ით ნაკლებია.

ითამაშა **სებასტიან ტელფეირმა,** თუმცა "ბოსტონში" "პორტლენდიდან" გადასულმა უკანახაზელმა მთავარი მწვრთნელი **დოკ რივერსი** თავის სარგებლიანობაში ვერც ამჯერად დაარწმუნა. 23 წუთში ტელფეირმა უფრო მეტი ფოლი (5) აიკიდა, ვიდრე თანაგუნდელებს შედეგიანი გადაცემა ჩამოურიგა (4).

**ზურაბ თალაკვაძე**

### 10 მარტი

**ფილადელფია-ლეიკერსი 108:92**

30:26, 21:31, 32:18, 25:17

**ფილადელფია:** იგუოდალა (31 ქ. 8 მ. 3 პ. 2 ჩ), ა. მილერი (23 ქ. 8 პ), კორვერი (18 ქ. 2 ჩ), დალემბერი (12 ქ. 16 მ. 3 დ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (30 ქ. 4 მ. 4 პ), შემონდ უილიამსი (14 ქ. 3 მ. 2 პ. 1 ჩ), კუკი (11 ქ), კვამე ბრაუნი (11 ქ. 10 მ. 4 პ. 2 დ).

**ბოსტონი-სიეტლი 118:103**

31:35, 26:31, 27:16, 34:21

**ბოსტონი:** ე. ჯეფერსონი (31 ქ. 16 მ. 4 პ. 2 დ), პირსი (21 ქ. 7 მ. 7 პ), რონდო (20 ქ. 2 ჩ), ჯ. გრინი (19 ქ).

**სიეტლი:** რ. ალენი (22 ქ. 5 მ. 5 პ), უოტსონი (17 ქ. 7 პ. 3 ჩ), კოლისონი (17 ქ. 8 მ), რ. ლიუისი (16 ქ), უილკინსი (13 ქ), უილკოქსი (12 ქ. 10 მ).

**ატლანტა-მემფისი 106:105**

31:23, 29:27, 21:30, 25:25

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (20 ქ. 9 მ. 3 დ), ჩილდრესი (17 ქ), მერვინ უილიამსი (17 ქ), **ზაზა ფაჩულია (11 ქ. 7 მ. 1 პ. 1 ჩ),** ლიუ (11 ქ), შელდენ უილიამსი (11 ქ).

**მემფისი:** მ. მილერი (29 ქ. 8 მ. 5 პ), სვიფტი (15 ქ. 13 მ. 4 დ. 3 ჩ), გეი (15 ქ. 6 მ), დ. სტაუდმაიერი (13 ქ. 9 პ), გასოლი (10 ქ. 4 მ).

**მაიამი-მინესოტა 105:91**

29:25, 21:19, 31:25, 24:22

**მაიამი:** შ. ონილი (32 ქ. 9 მ), ჯეისონ უილიამსი (20 ქ. 6 პ. 3 ჩ), ე. ჯოუნსი (15 ქ. 11 მ), მურნინგი (14 ქ. 5 მ), პოუსი (10 ქ).

**მინესოტა:** გარნეტი (23 ქ. 11 მ. 4 პ), რ. დევისი (21 ქ), მ. ბლაუნტი (17 ქ. 5 მ), ფოიე (12 ქ).

**ჰიუსტონი-ნიუ ჯერსი 112:91**

31:18, 21:24, 33:22, 27:27

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (34 ქ. 5 პ. 4 მ), მინი (24 ქ. 13 მ), ალსტონი (12 ქ. 6 პ. 5 მ), ჩ. ჰეიესი (11 ქ. 7 მ), ჰედი (10 ქ).

**ნიუ ჯერსი:** ნახბარი (29 ქ. 7 მ), ვ. კარტერი (14 ქ), ე. ჰაუსი (13 ქ0, მარკუს უილიამსი (12 ქ. 9 პ), კიდი (7 ქ. 6 მ. 6 პ).

**დენვერი-დეტროიტი 82:95**

23:27, 24:20, 15:27, 20:21

**დენვერი:** აივერსონი (19 ქ. 2 ჩ), ენტონი (17 ქ. 7 მ), კლეიზა (14 ქ. 9 მ), ნახერა (11 ქ. 2 ჩ), კემბი (6 ქ. 13 მ. 3 დ. 3 პ).

**დეტროიტი:** უებერი (20 ქ. 9 მ. 3 პ), რ. უოლასი (17 ქ. 10 მ. 5 პ. 4 ჩ), ბილაპსი (16 ქ), რ. ჰამილტონი (14 ქ. 6 პ. 5 მ), მაკდაიესი (4 ქ. 10 მ. 4 პ).

**ფინიქსი-ნიუ ორლეანი 104:103**

34:29, 21:25, 23:22, 26:27

**ფინიქსი:** ბარბოსა (19 ქ), ა. სტაუდმაიერი (18 ქ. 11 მ. 4 ჩ. 2 დ), რ. ბელი (17 ქ), ნეში (15 ქ. 10 პ), დიაო (14 ქ. 9 მ. 5 პ), მერიონი (6 ქ. 11 მ. 5 პ).

**ნიუ ორლეანი:** დევინ ბრაუნი (19 ქ. 6 მ), დევიდ უესტი (19 ქ. 9 მ. 4 პ), პარგო (15 ქ), პოლი (14 ქ. 7 მ), ჩენდლერი (12 ქ. 11 მ).

**გ.სტეიტი-კლიპერსი 99:89**

36:32, 29:16, 20:24, 14:17

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (25 ქ. 7 მ), ბარნსი (16 ქ. 8 მ. 3 ჩ), ს. ჯექსონი (15 ქ. 6 პ), ე. ჰარინგტონი (12 ქ. 6 მ), მ. ელისი (12 ქ).

**კლიპერსი:** მაგეტი (20 ქ), მობლი (15 ქ. 4 ჩ), ტიმ ტომასი (14 ქ. 9 მ. 2 ჩ), ბრენდი (11 ქ. 9 მ. 5 პ), ჰარტი (11 ქ. 3 ჩ).

### 11 მარტი

**ვაშინგტონი-ნიუ იორკი 89:90**

21:19, 20:20, 25:28, 23:23

**ვაშინგტონი:** არენასი (25 ქ. 5 მ. 3 ჩ), ჯეიმისონი (18 ქ. 6 მ. 2 ჩ), სტივენსონი (12 ქ), კ. ბატლერი (10 ქ. 7 მ. 5 პ).

**ნიუ იორკი:** ფრენსისი (26 ქ. 7 მ. 3 პ), კარი (19 ქ. 9 მ), მარბერი (15 ქ. 5 პ), ფრაი (12 ქ), ჯეფრიზი (9 ქ. 9 მ).

**შარლოტი-მემფისი 107:115**

21:31, 35:26, 16:21, 35:37

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (24 ქ. 17 მ. 2 ჩ. 2 დ), ფელტონი (24 ქ. 4 პ), დ. ანდერსონი (16 ქ. 6 პ. 4 ჩ), მეი (13 ქ. 2 ჩ), კეროლი (10 ქ).

**მემფისი:** გასოლი (31 ქ. 15 მ. 4 პ. 2 დ), უორიკი (18 ქ. 6 მ), მ. მილერი (17 ქ), გეი (16 ქ. 10 მ).

**ატლანტა-მინესოტა 99:93**

22:21, 22:29, 30:22, 25:21

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (32 ქ. 5 მ. 2 დ), **ზაზა ფაჩულია (16 ქ. 14 მ. 2 პ. 1 ჩ),** ჩილდრესი (16 ქ. 5 პ), მერვინ უილიამსი (11 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), ლიუ (10 ქ).

**მინესოტა:** გარნეტი (32 ქ. 10 მ. 5 პ. 5 დ), რ. დევისი (19 ქ), ჰადსონი (10 ქ. 4 პ).

**ინდიანა-ფილადელფია 96:100**

24:30, 28:19, 19:25, 25:26

**ინდიანა:** დ. გრეინჯერი (18 ქ. 2 დ), მერფი (18 ქ. 7 მ), დიოგუ (17 ქ. 17 მ), მ. დანლივი-უმცროსი (17 ქ. 4 პ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (25 ქ. 5 პ. 5 ჩ. 4 მ), უ. გრინი (18 ქ), ა. მილერი (16 ქ. 8 პ. 5 ჩ), კორვერი (14 ქ), დალემბერი (12 ქ. 8 მ. 5 დ).

**ს. ანტონიო-ნიუ ჯერსი 93:77**

18:15, 24:18, 24:19, 27:25

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (19 ქ. 6 პ. 4 მ. 2 ჩ), დანკანი (17 ქ. 13 მ. 4 პ. 4 დ), ჯინობილი (12 ქ. 4 პ), ბ. ბერი (11 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (17 ქ. 7 მ), მური (14 ქ. 7 მ. 2 დ), ბუნი (11 ქ. 8 მ), კიდი (7 ქ. 7 პ).

**მილუოკი-კლივლენდი 92:94**

24:21, 23:25, 24:16, 21:32

**მილუოკი:** რედი (29 ქ. 5 მ. 4 პ), პატერსონი (24 ქ. 3 ჩ), ბოგუტი (13 ქ. 12 მ. 2 ჩ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (32 ქ. 9 პ. 8 მ. 3 ჩ), დ. მარშალი (19 ქ), გუდენი (13 ქ. 8 მ), ვარეჟაო (6 ქ. 10 მ).

**იუტა-ნიუ ორლეანი 96:86**

18:25, 26:22, 28:16, 23:23

**იუტა:** ოქური (29 ქ. 5 მ), ბუზერი (20 ქ. 13 მ), გირიჩეკი (16 ქ. 6 მ), დ. უილიამსი (10 ქ. 13 პ. 3 ჩ), ჰარპრინგი (10 ქ. 7 მ).

**ნიუ ორლეანი:** პარგო (15 ქ. 4 პ), დევიდ უესტი (19 ქ. 10 მ), ჩენდლერი (12 ქ. 6 მ. 6 დ), პოლი (12 ქ. 11 პ), დევინ ბრაუნი (11 ქ. 3 ჩ).


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უბულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა